ბ. საყვარელიძე

ბ.ვ.ვლესანოვის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი

სახელგამი
ТБИЛИСИ - 1957

წინასიტყვაობა

მარქსიზმის გავრცელებასა და გამარჯვებას რუსეთში ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი დაკავშირებულია დიდ მსხვერპლთან და რუსეთის მოწინავე ადამიანების თავგანწირულ რევოლუციურ გმირობასთან.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჭეშმარიტად ტანჯვით მოიპოვა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, უმაგალითო რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერგიისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკაში გამოცდის, იმედგაცრუების, შემოწმების, ევროპის გამოცდილებასთან შედარების ნახევარი საუკუნის ისტორიით“[1].

ავტორი მიზნად ისახავს გააშუქოს ამ ღირსშესანიშნავი ისტორიის პირველი ეტაპის — პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნისა და მოღვაწეობის ძირითადი მომენტები.

რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

შედარებით ადრინდელ მოღვაწეთაგან. ფილიპე მახარაძე 1923 წელს დაწერილ წიგნაკში, როგორც თვითონ უწოდებს თავის ნაშრომს „როგორ გავხდი მარქსისტი“, საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმის შესახებ თუ რა საშუალებებით შემოჰქონდათ პლეხანოვის ჯგუფის გამოცემები რუსეთში, ამიერ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 11.

კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. იგივე ავტორი მეორე ნაშრომში „ტფილისის ორგანიზაციის 30 წლისთავისათვის", აღწერს, თუ როგორ გახდა ცნობილი ქართველ სოციალისტთა წრეებში მარქსიზმის მოძღვრება და „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის არსებობა.

პროფესორი სიმონ ხუნდაძე 1927 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში" (ტომი II), გაკვრით იხსენიებს პლეხანოვს, ზასულიჩს, აქსელროდსა და დეიჩს და მოაქვს ვრცელი ამონაწერი ფილიპე მახარაძის ზემოთ დასახელებული სტატიიდან.

თანამედროვე მკვლევართაგან „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხს, რამდენადაც ეს მათ სჭირდებათ თავიანთ ძირითად კვლევის საგანთან დაკავშირებით, აშუქებენ პროფ. ა. კიკვიძე, დოც. ლ. გორგილაძე, დოც. კ. აქბარდია, დოც. ვ. სიფრაშვილი, მეცნიერებათა კანდიდატი ა. კაკულია და სხვ.

ამგვარად, „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ სპეციალური ნაშრომი ქართულ ენაზე არ არსებობს და რამდენადაც ჩვენი წამოწყება წარმოადგენს ქართულ ენაზე ასეთი ნაშრომის შექმნის პირველ ცდას, მას არ შეიძლება ჰქონდეს რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ამ მნიშვნელოვანი საკითხის მონოგრაფიულად ყოველმხრივ გაშუქების პრეტენზია.

აქ ჩვენ განვიხილავთ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მოღვაწეობას მისი შექმნიდან 1895 წლამდე. ჯგუფის მოღვაწეობის ამ ძირითადი პერიოდის გამოყოფა შემთხვევითი არ არის. ესაა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის პირველი პერიოდი, სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პროგრამის წარმოშობისა და განმტკიცების პერიოდი, როცა რუსეთში მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელების საქმეში მთავარ როლს ასრულებდა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი. 1895 წლიდან იწყება რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპი. ამ დროიდან თეითმპყრო-

ბელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი და ხელმძღვანელი ძალა გახდა მუშათა კლასი და მის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი". ამის შემდეგ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფს აღარ უთამაშია რამდენადმე სერიოზული როლი რუსეთის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში.

ჩვენი ამოცანაა, კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით ავსახოთ რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფის მოღვაწეობის მთავარი მომენტები და ვუჩვენოთ ამ ჯგუფის როლი რუსეთში მარქსიზმის გავრცელების საქმეში.

ავტორი

თავი I

ისტორიული ვითარება, რომელშიაც აღმოცენდა „ზრომის განთავისუფლების“ ჯგუფი

რუსეთში მარქსიზმის გავრცელება უზრუნველყო კაპიტალიზმის განვითარებამ და სამრეწველო პროლეტარიატის ზრდამ.

კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები რუსეთში ჩაისახა ფეოდალურ-ბატონყმური ეკონომიკის წიაღში, ბატონყმობის გაუქმებამდე დიდი ხნით ადრე.

კერძო საკუთრებასა და პირად შრომაზე დაფუძნებული მარტივი საქონლური წარმოება დიდხანს იყო რუსეთის მრეწველობის ძირითადი ფორმა.

ხელოსნის შრომის პროდუქცია ვაჭრის ხელში გადადიოდა. ხელოსანთა გაერთიანებებს შორის გაჩაღებული მწვავე კონკურენციის შედეგად ბევრი ხელოსანი კარგავდა წარმოების საშუალებებს და დაქირავებულ მუშად იქცეოდა.

სახელოსნოთა მეპატრონეებისა და ვაჭართა წინააღმდეგ დაქირავებული მუშა-ხელოსნების ბრძოლა პროლეტარიატის მომავალი კლასობრივი ბრძოლის ჩანასახს წარმოადგენდა.

ხელოსნური მრეწველობის გვერდით წარმოიშვა კაპიტალისტური მანუფაქტურები. პირველი ასეთი საწარმო — რკინის დამმუშავებელი მანუფაქტურა, შეიქმნა ტულაში 300-ზე მეტი წლის წინათ. შემდეგ მანუფაქტურები გაჩნდა საფეიქრო, ბამბის, ტყავისა და მრეწველობის სხვა დარგებში.

მნიშვნელოვნად იზრდებოდა მეტალურგიული მრეწველობა. 1630 — 1690 წლებში რუსეთში 20-ზე მეტი მეტალურგიული საწარმო აშენდა.

დაქირავებული მუშების რიგებს თანდათანობით ავსებდნენ ხელოსნები. მეფაბრიკენი ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე ყმა-გლეხების შრომას. მუშათა რიგები იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობის უღარიბესი ფენებიდანაც.

შედარებით ნელა იზრდებოდა მსხვილ საწარმოებში თავმოყრილი მუშების რაოდენობა. რუსეთში ცოტა იყო დიდი ფაბრიკები და ქარხნები. 1725 წლისათვის მთელი საფეიქრო მრეწველობა მაუდისა და ტილოს ათ-ათი და აბრეშუმის შვიდი ფაბრიკისაგან შედგებოდა. ამ ოცდაშვიდ ფაბრიკაში მხოლოდ ექვსი ათასამდე მუშა ითვლებოდა.

მარტივ საქონლურ წარმოებასთან შედარებით მანუფაქტურებში გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მაგრამ საერთოდ იგი მაინც მეტად დაბალი იყო. მაგალითად, საფეიქრო მანუფაქტურებში ერთი მრთველის დღიური გამომუშავება ორ გირვანქა ნართს უდრიდა, მქსოველისა კი — 4 არშინ ქსოვილს.

კაპიტალისტურ მანუფაქტურებში შრომის კატორღული წესები მეფობდა.

ბატონყმობის პირობებში ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარება ძალზე შეზღუდული იყო. მე-19 საუკუნის დასაწყისში ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმული მუშა-გლეხები მიწაზე იყვნენ მიჯაჭვულნი და საკუთარ სამუშაო ძალას თვითონ არ განაგებდნენ. მემამულეებს როცა სურდათ, მაშინ დააბრუნებდნენ სოფელში მუშების ამ კატეგორიას. მათი იძულებითი და ბუქთი შრომა დაბალნაყოფიერი იყო და ხელს უშლიდა ტექნიკის განვითარებასა და მანქანების დაწერგვას მრეწველობაში.

უმძიმესი იყო ყმა-გლეხების მდგომარეობა. მათ ეპყრობოდნენ არა როგორც ადამიანებს, არამედ როგორც ნივთს, საქონელს.

ბატონყმური რუსეთის გაზეთები აჭრელებული იყო განცხადებებით: იყიდება მზარეული ქალიშვილი, რომელსაც

ზეუძლია აგრეთვე უთოობა და სარეცხის გახამება, და — ძველებური, ფრიად მაგარი კარეტა; იყიდება ტყავის ოსტატი, 26 წლისა, ცოლითა და ქალიშვილითურთ; იყიდება მეეტლე ცოლით, 8 და 9 წლის გოგონებით. ოჯახის უკანასკნელი ფასია 550 მანეთი. იქვე იყიდება ორი სამგზავრო ეტლი და ყარგი ჯიშის ძროხა[1] და ა. შ.

ალექსანდრე I მეფობისას ყმები იყიდებოდნენ პეტერბურგის სასამართლო დაწესებულებათა შენობებში თვით იმპერატორის თვალწინ.

გლეხობა, რომელიც არსებობის ამ არაადამიანურ პირობებს ვერ ურიგდებოდა, არაერთხელ ამხედრებულა მემამულეთა წინააღმდეგ.

გლეხთა მღელვარებებმა მოიცვა რუსეთის ცენტრალური რაიონები, ურალი, უკრაინა და ნაციონალური მხარეები. 1826 — 1834 წლებში რუსეთში მოხდა გლეხთა 145 მღელვარება, 1835 — 1844 წლებში — 181, 1845 — 1854 წლებში — 348. 1826 წლიდან 40 წლის განმავლობაში სულ გლეხთა მღელვარების 1 186 შემთხვევაა აღრიცხული.

გლეხობის მღელვარებათა ასეთი ზრდა მეფის მთავრობის დიდ შეშფოთებას იწვევდა. მმართველ წრეებში აშკარად ლაპარაკობდნენ ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობაზე.

მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთი დამარცხდა ყირიმის ომში, რომელმაც ქვეყნის მთელი პოლიტიკური და ეკონომიური სისტემის საფუძვლები შეარყია, ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ძველი წესების შენარჩუნება აღარ შეიძლებოდა.

ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ გლეხთა აჯანყებები გაძლიერდა.

1856 წლის 30 მარტს იმპერატორ ალექსანდრე II მემამულეთა წარმომადგენლების წინაშე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ უკეთესია გლეხები გავათავისუფლოთ ზემოდან, სანამ ისინი თვითონ გაითავისუფლებდნენ თავს ქვემოდანო.

---

[1] Газета «Московские Ведомости», № 39 за 1799 г. и №№ 2 и 21 за 1800 год.

სამრეწველო განვითარება და კაპიტალისტური ურთიერთობის ზრდა ძირს უთხრიდა ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას. იგი იჭრებოდა ამ ურთიერთობის თვით ციტადელში — მიწათმფლობელთა მეურნეობაში. კრიზისიდან თავის დასაღწევად მემამულენი აძლიერებდნენ გლეხთა ექსპლოატაციას, ზრდიდნენ საბატონო ბეგარას და უსპობდნენ გლეხობას საკუთარი მეურნეობის წარმოების საშუალებას.

ბატონყმობის ეკონომიური საფუძვლების შერყევა გავლენას ახდენდა ფეოდალური საზოგადოების ყველა ზედნაშენზე, რომლებიც რაც დღე გადიოდა, მით უფრო ნაკლებად შეესაბამებოდნენ განვითარების გზაზე მდგარ ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობას; თვითმპყრობელობა და ბატონყმობა უდიდეს დაბრკოლებად იქცეოდა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზაზე. ახალ საწარმოო ძალებსა და ძველ ბატონყმურ საწარმოო ურთიერთობას შორის ღრმა და შეურიგებელი კონფლიქტის გადაჭრა მხოლოდ რევოლუციური გზით იყო შესაძლებელი. მეფის მთავრობა იძულებული გახდა 1861 წელს ბატონყმობა გაეუქმებინა.

ბატონყმობის გაუქმებას გლეხობის მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. რეფორმის შედეგად იგი უფრო გაძარცული აღმოჩნდა. გლეხობამ მიიღო ყველაზე ცუდი, ან სრულიად უვარგისი მიწები. შიმშილით სიკვდილისაგან თავის დასაღწევად გლეხები იძულებული იყვნენ უმძიმეს პირობებში იჯარით აეღოთ მიწები მემამულეებისაგან.

მუშებისა და გლეხებისათვის რეფორმას არავითარი პოლიტიკური უფლებები არ მიუცია.

მეფის რუსეთი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების საპყრობილეს წარმოადგენდა. ცარიზმი ხელოვნურად აფერხებდა საწარმოო ძალთა განვითარებას ნაციონალურ ოლქებში და არარუს ხალხებს დამოუკიდებლობის უკანასკნელ ნარჩენებსაც კი უსპობდა.

ულმობელი ექსპლოატაცია, სიღატაკე და უვიცობა იყო მეფის რუსეთის დამონებული ხალხების ხვედრი ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც.

1861 წლის რეფორმის შემდეგ, ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთების სიჭარბის მიუხედავად, ქვეყნის საწარმოო ძალებს

შემდგომი განვითარების შესაძლებლობა მიეცა. გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა, დაიწყო რკინიგზების ფართო მშენებლობა, სოფლად განვითარდა საავერო-ფულადი ურთიერთობა, გაფართოვდა საშინაო ბაზარი, დაიწყო მანქანების მასობრივი გამოყენება. უდიდეს ნაბიჯებს დგამდა წინ რუსული ტექნიკა.

„...რეფორმისშემდგომი ეპოქა მკვეთრად განირჩევა რუსეთის ისტორიის წინა ეპოქებისაგან. კავისა და საცეხველის, წყლის წისქვილისა და ხელით საქსოვი დაზგის რუსეთი სწრაფად იქცეოდა გუთნისა და სალეწი მანქანის, ორთქლის წისქვილისა და ორთქლის საქსოვი დაზგის რუსეთად"[1].

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ აშენდა ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები, გაფართოვდა ქვანახშირისა და ნავთობის ამოღება. ბატონყმობის გაუქმებიდან 20 წლის განმავლობაში 19 ათასზე მეტი ვერსი რკინიგზა იქნა გაყვანილი. თუ 1861 წელს რკინიგზის ქსელი 1488 ვერსს უდრიდა, 80-იანი წლების დასაწყისისათვის იგი 21100 ვერსამდე გაიზარდა. დაიწყო რუსეთის რკინიგზელი მუშების — პროლეტარიატის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი რაზმის ჩამოყალიბება.

რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სამრეწველო აღმავლობისათვის. რკინიგზამ ერთმანეთთან დააკავშირა რუსეთის უშორესი კუთხეები.

რკინიგზების ინტენსიური მშენებლობა დიდი რაოდენობით მოითხოვდა რკინას, თუჯს, ფოლადს, ქვანახშირს, ნავთობს. ამან გამოიწვია ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი დარგების — შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და სხვ. საჭიროება. 1870 წელს გამოდნობილ იქნა 22 მილიონი ფუთი თუჯი, 1894 წელს კი — 81,9 მილიონი ფუთი. ქვანახშირის ამოღება 1860 — 1890 წლებში გაიზარდა 20-ჯერ, რკინისა და ფოლადის წარმოება — თითქმის 4-ჯერ. ნავთობის ამოღება 60-იანი წლების შუახანებში 1 მილიონ ფუთს უდრიდა,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 707.

80-იანი წლების დამლევს კი მან 243 მილიონ ფუთამდე მიაღწია.

60 — 80-იან წლებში პეტერბურგსა, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში მრავალი მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხანა აშენდა. რეფორმის შემდეგ, 30 წლის განმავლობაში, მანქანათმშენებელი ქარხნების რიცხვი გაიზარდა 3.5-ჯერ, მათში მომუშავე მუშების რაოდენობა კი — 20-ჯერ და უფრო მეტადაც.

სწრაფად იზრდებოდა ქალაქები. ისინი მსხვილ სამრეწველო და სავაჭრო ცენტრებად იქცეოდნენ. 1863 — 1897 წლებში სოფლის მოსახლეობა 48,5%-ით გაიზარდა. ქალაქისა კი — 97%-ით. იმ ქალაქების რაოდენობა, რომელთა მოსახლეობა 50 ათასს აღემატებოდა, 1863 წლიდან 1897 წლამდე 3-ჯერ და უფრო მეტადაც გადიდდა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდნენ პეტერბურგი, მოსკოვი, კიევი, ბაქო და სხვ.

კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია სამრეწველო პროლეტარიატის ზრდა. ევროპულ რუსეთში თუ 1867 წელს 7 082 ფაბრიკა და ქარხანა იყო 315 759 მუშით, 1891 წელს საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა 16 770-მდე, ხოლო მუშების რიცხვი — 738 146-მდე.

70-იანი წლების დამლევსა და 80-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული მოსკოვის გუბერნიის სამი მაზრის ფაბრიკებისა და ქარხნების სანიტარული გამოკვლევის მონაცემებით ამ დროისათვის მუშების 86%-ს ყოველგვარი კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი სოფელთან.

წვრილ მწარმოებელთა რიგების განუწყვეტელი დაშლა ქმნიდა თავისუფალი სამუშაო ძალის უდიდეს რეზერვებს.

კუსტარული მრეწველობა სულ უფრო და უფრო კარგავდა თავის დამოუკიდებლობას. სწრაფი ტემპით იზრდებოდა კაპიტალისტური ფაბრიკების მუშათა რიცხვი და მცირდებოდა კუსტარულ მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა რაოდენობა.

წარმოებაში მანქანების გამოყენებამ მასობრივი ხასიათი მიიღო. სწრაფად გაიზარდა მექანიკური ჩარხების რაოდენობა.

მანქანური შრომის მასობრივად დანერგვამ გამოიწვია წარმოების გაძლიერებული კონცენტრაცია. მაგალითად, 1866 წელს ბამბეულის მრეწველობის იმ საწარმოებში, რომლებშიც ათასზე მეტი მუშა ითვლებოდა, ამ დარგის მუშათა მთელი რაოდენობის 43,2% ერთიანდებოდა, 1879 წელს კი ეს პროცენტი 56,9-მდე გაიზარდა. ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა სელის სართავ, ტილოს საქსოვ და სხვა წარმოებებში.

მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის სწრაფი ტემპით ზრდის შესაბამისად იზრდებოდა სამრეწველო პროლეტარიატიც. გასული საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან 80-იანი წლების დასასრულამდე მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებაში ჩაბმული მუშების რაოდენობა 706 000-დან 1 432 000-მდე გაიზარდა [1].

ლენინი ხაზს უსვამდა რუსი მუშების მაღალი კონცენტრაციის უდიდეს მნიშვნელობას და მიუთითებდა. რომ ეს მოვლენა არევოლუციონერებდა მუშათა კლასს. ხელს უწყობდა წერილი, დაქუცმაცებული აჯანყებების ორგანიზებულ კლასობრივ ბრძოლად გადაქცევას. .

მუშათა ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ მუშათა კლასის წარმოშობასთან ერთად დაიწყო, მაგრამ მან განსაკუთრებით სერიოზული ხასიათი მიიღო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კაპიტალისტური მრეწველობის სწრაფი განვითარების პირობებში.

რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას ამწვავებდა კაპიტალისტების მხრივ უმკაცრესი ექსპლოატაცია. საგლეხო რეფორმის შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში არავითარი კანონი არ არსებობდა, რომელიც ფორმალურად მაინც შეზღუდავდა მეფაბრიკეებისა და მექარხნეების თვითნებობას. 60 — 70-იან წლებში რუსეთის ფაბრიკებსა და ქარხნებში 13 — 14-საათიანი სამუშაო დღე იყო. ხშირად სამუშაო დღე 16 — 18 საათს და მეტ ხანსაც გრძელდებოდა. მოგებას გამოდევნებული მეფაბრიკენი და მექარხნენი ხან-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 589.

გრძლივი სამუშაო დღით არ კმაყოფილდებოდნენ და ფართოდ მიმართავდნენ ზედმეტ საათებში მუშაობის პრაქტიკას. მუშები მოსწრებულად გამოხატავდნენ თავიანთ მდგომარეობას როცა ამბობდნენ, რომ თვეში მათ „მეტი აქვთ სამუშაო დღე, ვიდრე თვითონ ღმერთს“.

ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონეებს, ცხადია, ნაკლებად აწუხებდათ ის, რომ ზედმეტ საათებში მუშაობა გამანადგურებლად მოქმედებდა მუშების ჯანმრთელობაზე. დამახასიათებელია, რომ, როცა ეს საკითხი მოსკოვის მეფაბრიკეების ერთ-ერთ სხდომაზე დაისვა, მეფაბრიკე პროხოროვმა ცინიკურად განაცხადა: „ჯერ კიდევ საკითხავია — მართლა ისე ცუდად მოქმედებს მუშის ჯანმრთელობაზე ღამით მუშაობა, როგორც აქ სურთ დაგვარწმუნონ? ჩვენც ხომ ვთამაშობთ ბანქოს ღამის სამ საათამდე!“

დაუძლურებულ და ძილსდანატრებულ მუშებს ეძინათ: ყოველგვარ პირობებში, მუშაობის დროსაც კი, მიუხედავად ადმინისტრაციის მეთვალყურეობის მთელი სიმკაცრისა, მიუხედავად ძილისათვის შემოღებული ჯარიმებისა.

სამუშაო დღის ხანგრძლიობა ბავშვებისა და ქალებისათვის იგივე იყო, თუმცა ისინი გაცილებით ნაკლებ ხელფასს იღებდნენ. საერთოდ ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ მუშასა და მისი ოჯახის წევრებს ძლივს შეეძლოთ თავიანთი ფიზიკური არსებობის შენარჩუნება. ისინი გადაყრილი და სრულიად უვარგისი პროდუქტების ნარჩენებით იკვებებოდნენ.

70-იან წლებში კრენჰოლმის მანუფაქტურაში მომხდარ არეულობასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის მასალა გვიჩვენებს, რომ 4500 მუშიდან 250 ღებულობდა თვეში 18-დან 30 მანეთამდე, 15 მუშა — 35-დან 45 მანეთამდე, დანარჩენები კი — 6 მან. და 50 კაპიკიდან 10 — 12 მანეთამდე. ბავშვების თვიური ხელფასი 3 მანეთსა და 50 კაპიკს უდრიდა.

ეს ისედაც მცირე ხელფასი უზომოდ იკვეცებოდა უდიდესი ჯარიმებით. ამ მხრივ ადმინისტრაციის გამომგონებლობას საზღვარი არ ჰქონდა. ზოგან, დადგენილ ვადამდე ფაბრიკის დატოვებისათვის დაწესებული იყო ჯარიმა 10 მანეთი, ეკლე-

სიაში წაუსვლელობისათვის — 1 მანეთი, კვირადღეობით ცეკვა-თამაშისა და სიმღერისათვის — 5 მანეთი და ა. შ.

ფაბრიკა-ქარხნებში შრომის არავითარი დაცვა აო არსებობდა. არავინ ფიქრობდა უშიშროების ტექნიკაზე. ყოველივე ეს ამრავლებდა უბედურ შემთხვევებს. ფაბრიკების საავადმყოფოები სავსე იყო მუშაობის პროცესში დასახიჩრებული მუშებით.

განსაკუთრებით დიდი იყო მუშებისა და მათი შვილების სიკვდილიანობა. მუშის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა 31 — 32 წელიწადს ძლივს აღწევდა. ა. სმირნოვს სტატიაში „ფაბრიკა და საფაბრიკო მუშა“ მოყავდა ტიპიური ცნობები საფაბრიკო მუშათა ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, 18-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა მუშები მუშათა მთელი რაოდენობის 44%-ს შეადგენდნენ. ერთ მეოთხედზე ნაკლები იყვნენ 35 წელზე უფროსი ასაკისანი, ხოლო 40 წელს გადაცილებულნი — მთელი რაოდენობის მხოლოდ 12%-ს შეადგენდნენ.

არსებობის არაადამიანური პირობები, უსაზღვრო ექსპლოატაცია, გამანადგურებელი ჯარიმები, პოლიტიკური უუფლებობა, კაპიტალისტებისა და მეფის მოხელეების აღვირახსნილი თვითნებობა და უკანონობა — ქმნიდა განუზომელ უკმაყოფილებას და ზრდიდა მუშათა მღელვარებას. განუწყვეტლივ იზრდებოდა გაფიცვებისა და გაფიცულ მუშათა რაოდენობა.

ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმამდე მუშები არაერთხელ ამხედრებულან არსებობის აუტანელი პირობების გამო. აჯანყებულ ყმა-მუშებს მემამულე-მეფაბრიკენი უსასტიკესად უსწორდებოდნენ. მათ ასახლებდნენ ციმბირში და ამუშავებდნენ ფაბრიკებში, სადაც ცხოვრებისა და მუშაობის პირობები უფრო საშინელი იყო, ვიდრე კატორღაში: უმცირესი დანაშაულისათვის მუშებს აგლეჯდნენ ნესტოებს, დაღავდნენ გაკვარვარებული შანთებით, აჯაჭვავდნენ სამუშაო ადგილზე, შეუბრალებლად სცემდნენ კეტებით.

რეფორმის შემდეგ მუშები მიმართავდნენ ბრძოლის სპეციფიკურ, პროლეტარულ საშუალებას — გაფიცვას. ეს იყო საიმედო და ძლიერი იარაღი პროლეტარიატის ხელში.

1861 — 1869 წლებში მოხდა 50-ზე მეტი მასობრივი გაფიცვა, მაგრამ მათ არ გამოუწვევიათ მუშაობის შეწყვეტა. 60-იანი წლების გაფიცვები არაორგანიზებული და ნაკლებად შეგნებული იყო. ისინი წარმოადგენდნენ ცალკეული მეწარმეების წინააღმდეგ მიმართულ სტიქიურ მღელვარებებს. ზოგიერთი გაფიცვისას ხდებოდა სამუშაოს მიტოვება, მეწარმეთა უსამართლობაზე საჩივრების წარდგენა და სხვა. ამ წლების გაფიცვები ხშირად ანარქისტული აჯანყებების ფორმას ღებულობდა და მეფაბრიკეებისა და მექარხნეების წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებში გამოიხატებოდა. მუშები ამსხვრევდნენ მანქანებს, ცეცხლს უკიდებდნენ დუქნებს, კანტორებს და თვით ქარხნებსაც.

გაფიცვებმა უდიდესი როლი ითამაშეს პროლეტარიატის პოლიტიკური გამოწრთობის საქმეში.

70-იანი წლების საგაფიცვო მოძრაობა წარმოადგენდა წინგადადგმულ ნაბიჯს წინაათეული წლის მუშათა მოძრაობასთან შედარებით. ამ პერიოდში არა მარტო გაფიცვათა რაოდენობა გაიზარდა; მაშინდელი სტიქიური გაფიცვები ადასტურებენ კაპიტალისტებთან შეურიგებელი ბრძოლის გზაზე დამდგარი მუშების კლასობრივი თვითშეგნების გაღვიძებას.

1870 — 1879 წლებში, ოფიციალური ცნობებით, ადგილი ჰქონდა მუშათა 326 გაფიცვასა და მღელვარებას. ამათგან მარტო 1878 — 1879 წლებში 113 გაფიცვა მომხდარა.

საგაფიცვო მოძრაობის ცენტრი პეტერბურგი იყო. გაფიცვების რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე იყვნენ ფეიქრები, მათ მიყვებოდნენ მელითონეები და შემდეგ დანარჩენი პროფესიების მუშები.

დიდი გაფიცვა მოხდა ნევის ძაფსართავ ფაბრიკაში 1870 წლის 22 მაისს. გაფიცვა დაიწყო ხელფასის მომატების შესახებ 800 მუშის მოთხოვნაზე ადმინისტრაციის უარის გამო. ობერ-პოლიცმეისტერმა ტრეპოვმა გაფიცულთა საქმე სასამართლოს გადასცა. იგი მეფეს აიმედებდა — ჩვენთვის დიდად

ხელსაყრელი იქნება ის შეიბეჭდილება, რასაც დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დასჯა სატახტო ქალაქის მთელ მუშათა მოსახლეობაზე მოახდენსო. ტრეპოვის ამ ცნობას იმპერატორმა წააწერა: „ღმერთმა ქნას“.

მაგრამ შედეგი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორსაც მოელოდნენ. სასამართლომ გაფიცვის ორგანიზატორებს მიუსაჯა მხოლოდ შვიდ-შვიდი, ხოლო 54 მონაწილეს — სამ-სამი დღით პატიმრობა. მეფის ხელისუფლება არ დააკმაყოფილა ამ სასჯელმა და გაფიცვის მოთავეები ადმინისტრაციული წესით გადაასახლა.

70-იანი წლების ერთ-ერთი დიდი გაფიცვა კრენჰოლმის ფანუფაქტურის მუშათა გაფიცვა იყო.

გაფიცვა დაიწყო 1872 წლის 16 აგვისტოს. მუშები მოითხოვდნენ სასადილო შესვენების აღდგენას, ხელფასიდან უკანონო დაქვითვების შეწყვეტას, რამდენიმე, განსაკუთრებით აუტანელი ოსტატის დათხოვნას და მუშებისაგან მამასახლისების არჩევის უფლებას. ფაბრიკის ადმინისტრაციამ დააკმაყოფილა მუშების რამდენიმე მოთხოვნა, მაგრამ მალე ძველი წესები აღადგინა. ამას მოჰყვა მუშების ხელახალი გაფიცვა. მოსალაპარაკებლად წარგზავნილი მუშათა წარმომადგენლები დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა დასაცავად ფეხზე დადგა მთელი ფაბრიკა. მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს გაფიცვის ჩასაქრობად გაგზავნილ სამხედრო ნაწილებს, მაგრამ უიარაღო მუშები, ცხადია, დიდხანს ვერ გაუმკლავდებოდნენ ხიშტების ძალას.

გაფიცვის 35 ხელმძღვანელი, რომელთაგან ბევრი მუშათა არალეგალური რევოლუციური წრეების წევრი იყო, სასამართლოს გადასცეს. 6 მათგანს კატორღა მიესაჯა, 16-ს — სხვადასხვა ვადით პატიმრობა, რამდენიმე კაცი კი ციმბირის შორეულ ადგილებში იქნა გადასახლებული. ამ გაფიცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა მოძრაობის გამოცოცხლებისათვის. მთავრობა იძულებული გახდა რამდენადმე გაეუმჯობესებინა მუშების მდგომარეობა.

მეფის მთავრობის მხრივ მწვავე რეპრესიების მიუხედავად, მუშათა კლასის ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

მოწინავე მუშებში თანდათანობით იღვიძებდა იმის შეგნება, რომ კაპიტალისტების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლა შეუძლებელია მუშათა კლასის დარაზმვის, მისი ორგანიზაციის გარეშე.

იმ დოკუმენტალური მასალის ანალიზი, რომელიც 60—80-იანი წლების პროლეტარიატის საგაფიცვო მოძრაობას ეხება, გვარწმუნებს, რომ მუშათა წრიდან ნიჭიერი ორგანიზატორების გამოყოფა ერთბაშად არ მომხდარა. ეს მასალა ადასტურებს აღნიშნულ წლებში მუშათა კლასის მნიშვნელოვან ზრდას, მისი რიგებიდან მოწინავე, რევოლუციური მუშების თანდათანობით გამოყოფას და რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების თანდათანობით გაღვიძებას.

60-70-იან წლებში დაიწყო ცენზურის მიერ აკრძალული, მებრძოლი დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური შინაარსის ნაწარმოებების ხალხში გავრცელება.

70-იან წლებში მუშათა მასებში რევოლუციური პროპაგანდა მნიშვნელოვნად დიდი მასშტაბით გაიშალა. ეს მოღვაწეობა დაიწყო მ. ა. ნატანსონის მიერ 1869 წელს შექმნილმა ნაროდნიკულმა წრემ, რომელიც ისტორიაში ჩაიკოვსკელთა წრის სახელით შევიდა (ჩაიკოვსკი ამ წრის ერთ-ერთი წევრი იყო). თავდაპირველად ჩაიკოვსკელები ავრცელებდნენ დემოკრატიული მიმართულების ლეგალურ წიგნებს. 1872-1873 წლებში მათ დაიწყეს პროპაგანდისტული მუშაობის გაშლა მუშათა შორის, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გაწყვეტილი კავშირი სოფელთან და ამდენად ახლოს იდგნენ გლეხობასთან. ჩაიკოვსკელები მუშებს განიხილავდნენ, როგორც შეგნებულსა და უფრო აქტიურ გლეხობას. წრეში კითხულობდნენ და სწავლობდნენ ფლეროვსკის წიგნს „მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში“, ლასალის თხზულებებს და „კაპიტალის“ I ტომსაც კი.

ერთ-ერთი ჩაიკოვსკელი ს. ს. სინეგუბი იგონებს, რომ მასთან მივიდნენ ტორნტონის მაუდის ფაბრიკის მუშები

თხოვნით — შეესწავლებინათ მათთვის სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლები. ამ მუშებს შორის იყო მქსოველი პეტრე ალექსეევი, რომელიც მაშინ უკვე დაინტერესებული იყო საზოგადოებრივი საკითხებით და დიდი ხალისით კითხულობდა ისტორიულ ლიტერატურას, განსაკუთრებით —წიგნებს გლეხთა მოძრაობის ისტორიიდან.

მუშათა მასებში პროპაგანდა განსაკუთრებით გაიშალა 1873 წლის ზაფხულში პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ოდესასა და სხვა ქალაქებში. მუშათა წრეები უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ერთ ორგანიზაციად ისინი არ ერთიანდებოდნენ.

როგორც კი შეამჩნია მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობა, ან, როგორც იმპერატორის კანცელარიის მაშინდელ დოკუმენტებშია მოხსენებული, „სახელმწიფოს ძირითადი საფუძვლების, საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების დამამხობელი მავნე მოძღვრების“ გავრცელების ნიშნები, მთავრობა მაშინვე შეუდგა მთელს იმპერიაში ამ მოვლენის ძირშივე მოსასპობად სასტიკი ღონისძიებების გატარებას.

ჟანდარმთა სამმართველოები და გუბერნატორები პეტერბურგიდან განუწყვეტლივ ღებულობდნენ ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებებით უნდა მიეღწიათ მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო მოძრაობის ძირშივე აღკვეთისათვის.

1875 წლის 28 აპრილს თბილისის ჟანდარმთა სამმართველომაც მიიღო საგანგებო გაფრთხილება, რომელშიაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ როგორც ცალკე პირების, ისე წრეების დანაშაულებრივი რევოლუციური მუშაობა თბილისის გუბერნიაშიც წარმოებდა [1].

რევოლუციური ბრძოლების მსვლელობაში უფრო და უფრო ღრმავდებოდა პროლეტარიატის თვითშეგნება და სოლიდარობის გრძნობა.

---

[1] ცსსა, ფონ. 7c, საქ. 1, ფურ. 149.

მუშების უფრო შეგნებული ნაწილი, რომელიც განადგურებას გადაურჩა, — გამოეთიშა ნაროდნიკებს და დაადგა დამოუკიდებელი მუშათა ორგანიზაციის შექმნის გზას. უკვე ნაროდნიკული პროპაგანდის პერიოდში 1872-1874 წლებში იქმნება მთელი ჯგუფი მოწინავე საქარხნო მუშებისა, რომლებიც თავიანთი გონებრივი ჰორიზონტითა და პოლიტიკური განვითარებით ბევრ ინტელიგენტსაც წინ უსწრებდნენ.

პეტერბურგის მუშათა შორის რევოლუციური პროპაგანდის შესახებ იმპერატორის კანცელარიის მესამე განყოფილების ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები გვიხატავენ საქარხნო მუშების ენერგიულ გონებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებას და მათ პირად მაღალ თვისებებს.

მთავრობამ ასობით ადამიანი დააპატიმრა რევოლუციური პროპაგანდის წარმოებისათვის და 1874 წელს მოწყო „193-ის" დიდი სასამართლო პროცესი. მათ შორის იყვნენ მუშებიც.

პროლეტარიატის კლასობრივი გამოღვიძების პროცესი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

პროლეტარიატის კლასობრივი და პოლიტიკური შეგნების სწრაფი ზრდის მაგალითია რევოლუციური მოღვაწეობა პეტერბურგის ჩეშერის ფაბრიკის მოწინავე მუშებისა, რომლებიც ვ. მ. დიაკოვის წრეში იყვნენ გაერთიანებულნი. დიაკოვმა შეადგინა პროგრამა, რაც თავისთავად ახალი და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რამდენადაც ნაროდნიკებს მანამდე მუშებს შორის პროპაგანდის ჭპეციალური პროგრამა არ ჰქონიათ.

დიაკოვის პროგრამა მით უფრო საყურადღებოა, რომ ზოგიერთ პუნქტში იგი ცილდებოდა ნაროდნიკულ თეორიებს. მასში ხაზგასმული იყო იმის აუცილებლობა, რომ მუშები უნდა გაერკვნენ თანამედროვე საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობებსა და პოლიტიკურ წყობაში. პროგრამა აგრეთვე მოითხოვდა აღწერილი ყოფილიყო შრომის პირობები და მუშათა მდგომარეობა მრეწველობის სხვადასხვა დარგში. იგი ყურადღებას ამახვილებდა მუშათა მასების სიღატაკეზე და რუსეთის საზოგადოების თვითეული წოდების მდგომარეობაზე. დიაკოვის პროგრამის დასკვნითს ნაწილში მოკლედ იყო

დასასიათებული ექსპლოატაციის წინააღმდეგ მუშათა ბრძოლის საშუალებები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში იყო ბაკუნიზმის ელემენტები, იგი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს წინ ნაროდნიკობასთან შედარებით, რომელიც სრულიად უარყოფდა „მუშათა საკითხს“. დიაკოვის პროგრამა მუშათა კლასს აღიარებდა დამოუკიდებელ რევოლუციურ ძალად.

1874-1875 წლებში საფაბრიკო მუშებში ფართო პროპაგანდა გაშალა „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციურმა ორგანიზაციამ“, რომლის შექმნის ინიციატორი იყო შვეიცარიიდან დაბრუნებული მოსწავლე ახალგაზრდობის ჯგუფი ივ. ჯაბადარის, სოფია ბარდინასა და სხვათა მეთაურობით. იმ მუშებიდან, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ, განსაკუთრებით ცნობილნი არიან მიხეილ გრაჩევსკი, მჭედელი ვასილ გრიაზნოვი, ფეიქრები სიმონ აგაპოვი და პეტრე ალექსეევი.

ამ ნაროდნიკული ორგანიზაციის მოღვაწეობა უმთავრესად მოსკოვში გაიშალა. ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა 20-მდე ფაბრიკასა და წვრილ სახელოსნოსთან და აგრეთვე კურსკ-ხარკოვის რკინიგზელებთან. ორგანიზაციამ პროპაგანდის გაშლა სცადა აგრეთვე ივანოვო-ვოზნესენსკის, კიევის, ოდესისა და სხვა ქალაქების მუშებს შორისაც.

მაგრამ ხალხში ეს „მცირე გასვლაც“ ისეთივე მარცხით დასრულდა, როგორც „193“-ის ცნობილი პროცესით დამთავრებული შედარებით უფრო დიდი ლაშქრობა.

„50-ის“ ახალი პროცესი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის მუშათა კლასის ცხოვრებაში. ამ პროცესზე მეფის სასამართლოს დარბაზიდან მთელს რუსეთში პირველად გაისმა რუსი მუშის მრისხანე ხმა. აქ 1877 წლის 10 მარტს მოსკოველმა ფეიქარმა მუშამ პეტრე ალექსეევმა, რომელიც ბრალდებულიდან რუსეთის მმართველი კლასების ბრალმდებლად იქცა, მკაცრად და მთელი სიმართლით გადაშალა რუსი მუშების არაადამიანური მდგომარეობა. თავისი სიტყვა ალექსეევმა ცარიზმისადმი მრისხანე მუქარით დაამთავრა: „აღიმართება მილიონობით მუშის კუნთმაგარი მკლავი...“ შესძახა ალექსეევმა.

სასამართლოს თავმჯდომარე წამოიჭრა და რამდენჯერმე შეჰყვირა: „გაჩუმდი!“ პეტრე ალექსეევმა ხმას აუწია და განაგრძო: „და დაიმსხვრევა დესპოტიზმის უღელი, რომელსაც ჯარისკაცთა ხიშტები იცავს“[1].

ამ სიტყვას ლენინმა რუსეთის მუშათა კლასის უდიდესი წინასწარმეტყველება უწოდა. სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. იგი პროკლამაციად დაიბეჭდა და უძლიერეს პროპაგანდისტულ დოკუმენტად იქცა. ალექსეევის სიტყვამ ხელი შეუწყო რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების გაღვიძებას.

1889 წელს პეტრე ალექსეევის სიტყვა დაიბეჭდა და გამოიცა საზღვარგარეთ. მის წინასიტყვაობაში პლეხანოვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ალექსეევი თავს კი არ იცავდა, ბრალს დებდა მთავრობას, და მოუწოდებდა რუსეთის მუშებს ჰქონოდათ მხოლოდ საკუთარი თავისა და ძალის იმედი. ამ დასკვნამდე თანდათანობით მიდიოდნენ თვით მუშები, რომლებიც სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდნენ დამოუკიდებელი გზით სვლის აუცილებლობაში.

70-იანი წლების შუახანებში საგაფიცვო მოძრაობაში ჩაება პეტერბურგის მუშათა აქტიური და შეგნებული ნაწილი — ლითონის წარმოების მუშები. მათი რიგებიდან გამოვიდნენ პირველი მუშა-რევოლუციონერები ვიქტორ ობნორსკი, სტეფანე ხალტურინი, ვინოგრადოვი და სხვ., რომლებიც ენერგიულად ამზადებდნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ბრძოლას.

მუშათა პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია მოეწყო პეტერბურგში 1876 წელს, ყაზანის ტაძართან. დემონსტრაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო გ. პლეხანოვი. დემონსტრაციაში მონაწილე მუშების რაოდენობა 250-ს არ აღემატებოდა, მაგრამ მათმა მონაწილეობამ ამ გამოსვლას საბრძოლო ხასიათი მისცა.

---

[1] Сборник документов и материалов „Рабочее движение в России в XIX веке“. т. II, ч. 2-я, стр. 47, Госполитиздат, 1950.

დამოუკიდებელი გზით სვლის მისწრაფება მკვეთრად გამოვლინდა „სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირისა“ და „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის“ მოღვაწეობაში.

„სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირი“ შეიქმნა ქ. ოდესაში 1875 წელს ე. ო. ზასლავსკის მეთაურობით.

კავშირის ძირითადი ბირთვი 60 კაცისაგან შედგებოდა. მთლიანად კი იგი 300-მდე მუშას აერთიანებდა. კავშირს თავისი განყოფილებები ჰქონდა ტაგანროგსა, ხარკოვსა და დონის როსტოვში.

ზასლავსკი მხურვალედ უჭერდა მხარს მუშათა შორის სოციალისტური პროპაგანდის წარმოების აუცილებლობას. მის მიერ კავშირისათვის შემუშავებული წესდება I ინტერნაციონალის იდეების გავლენის კვალს ატარებდა.

კავშირის წესდებაში წამოყენებული იყო მუშათა პოლიტიკური თავისუფლებისა და კლასობრივი სოლიდარობის იდეა. კავშირის მიზნად წესდება აცხადებდა კაპიტალისა და პრივილეგიური კლასების ჩაგვრისაგან მუშათა განთავისუფლების იდეის პროპაგანდას და არსებული პოლიტიკური და ეკონომიური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სამხრეთ-რუსეთის მუშათა გაერთიანებას. წესდება მოითხოვდა ენერგიულ ბრძოლას ყოველგვარ პრივილეგიათა და უპირატესობათა მოსპობისათვის.

წესდება ატარებდა ნაროდნიკობის გავლენის კვალს. იგი არ აღიარებდა პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და ახალი სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის მოწინავე როლს რევოლუციაში. გარდა იმისა, რომ მასში გარკვევით არაფერი იყო ნათქვამი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და მისი ისტორიული როლის შესახებ, არც მუშათა ტაქტიკაზე იყო კონკრეტული მითითება.

კავშირი იღვწოდა შეექმნა მუშათა დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაცია. ზასლავსკი და მისი თანამებრძოლნი დიდ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა კლასობრივი თვითშეგნების ზრდას და მათი დამოუკიდებელი მოქმედების გაფართოებას.

მთავრობას შეგნებული ჰქონდა კავშირის საქმიანობით გამოწვეული საშიშროება. ოდესის ჟანდარმთა სამმართველოს საგანგებო მოხსენება იმპერატორის კანცელარიის მესამე განყოფილებისადმი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ კავშირის საქმიანობას სრულიად ახალი და სერიოზული ხასიათი ჰქონდა და იგი წარმოადგენდა იმ თესლის ნაყოფს, რომელიც რევოლუციურმა მოძღვრებამ დათესა.

„სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირმა" 8-9 თვეს იარსება. იგი განადგურებულ იქნა 1876 წლის შემოდგომაზე. კავშირის ხელმძღვანელებს კატორღა მიუსაჯეს. ერთი წლის შემდეგ ე. ზასლავსკი გარდაიცვალა პეტერბურგის ციხეში.

კავშირის მოღვაწეობა დიდად უწყობდა ხელს მუშებს შორის პოლიტიკური იდეების გავრცელებას. მუშები აშკარად გამოთქვამდნენ ნაროდნიკებისადმი უკმაყოფილებას და იწყებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნათა უფრო ხშირად წამოყენებას.

„რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი" 1878 წელს შეიქმნა პეტერბურგში. კავშირის ორგანიზატორები იყვნენ გამოჩენილი მუშა-რევოლუციონერები დურგალი სტეფანე ნიკოლოზის-ძე ხალტურინი და ზეინკალი ვიქტორ პავლეს-ძე ობნორსკი.

ხალტურინი 70-იანი წლების მუშა-რევოლუციონერთა გამოჩენილი წარმომადგენელი და რუსეთის რევოლუციურ-სოციალისტური მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. იგი 17-18 წლისა იყო, როცა მოსკოვის რკინიგზის სახელოსნოებში დურგლად დაიწყო მუშაობა. აქედან ხალტურინი პეტერბურგში გადავიდა და დაუახლოვდა რევოლუციონერ მუშებს.

ხალტურინი მონაწილეობდა როგორც პროგრამის შედგენაში, ისე სტამბისა და კავშირის სხვა წამოწყებათა შექმნაში. კავშირის პროგრამის თვალსაზრისი არსებითად განსხვავდებოდა ნაროდნიკული შეხედულებებისაგან. პროგრამაში მკვეთრად იყო ხაზგასმული, რომ მუშათა ორგანიზაცია თავის უახლოეს ამოცანად ისახავს პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებას.

„რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“ თავისი სტამბით და მრავალი წევრითურთ განადგურებულ იქნა 1880 წლის დასაწყისში. ხალტურინი ამ დროს გადარჩა. იგი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მუშათა მოძრაობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობის შედეგად და მიემხრო „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიას. ხალტურინი ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ტერორისტი გახდა.

1879 წელს ხალტურინი მოხვდა დურგლად ზამთრის სასახლეში. იგი შეუდგა მეფეზე თავდასხმის მზადებას. უდიდესი სიძნელეებისა და ფარული პოლიციის მხრივ გულმოდგინე თვალყურის დევნის პირობებში, 1880 წლის 5 თებერვალს, ხალტურინმა მოახერხა ზამთრის სასახლეში დინამიტით აფეთქების მოწყობა. გადაურჩა რა ამ საქმის გამო დაპატიმრებას, ხალტურინი აგრძელებდა მუშაობას, როგორც ტერორისტი. 1880 წელსვე ნ. ჟელვაკოვთან ერთად მან თავდასხმა მოაწყო სამხედრო პროკურორ სტრელნიკოვზე და მოკლა იგი. იმპერატორის ბრძანებით ხალტურინი ამხანაგებთან ერთად სამხედრო საველე სასამართლოს. გადასცეს, რომელმაც იგი გაასამართლა როგორც სტეპანოვი. ნამდვილი გვარის გაგება პოლიციამ ვერ შესძლო, თუმცა იგი თავგამოდებით ეძებდა ხალტურინს, როგორც ზამთრის სასახლეში მომხდარი აფეთქების ორგანიზატორს.

ხალტურინმა შეძლო თეორიულად უფრო მაღლა ასულიყო, ვიდრე ბევრი ნაროდნიკი ინტელიგენტი. მას ესმოდა ნაროდნიკების პროგრამის მთელი უტოპიურობა; იგი მათ პოლიტიკურ ბრძოლას მიემხრო და გმირულად დადო თავი სოციალიზმის გამარჯვებისათვის. მისი სახით ჩვენს წინაშეა ნათელი და მთლიანი ფიგურა მუშა-რევოლუციონერისა, მუშა-სოციალისტისა, ჩვენი დიადი მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი წინამორბედისა.

70-იანი წლების გამოჩენილ მუშა-რევოლუციონერთა პლეადას ეკუთვნის ამავე კავშირის ორგანიზატორი ვიქტორ პავლეს-ძე ობნორსკი. რომელიც 1872 წელს შევიდა ჩაიკოვსკელ მუშათა წრეში. შემდეგ იგი ოდესაში მონაწილეობდა

რუსეთის პირველ მუშათა წრეებში. 1873 წ. ობნორსკი გაემგზავრა ჟენევაში. აქ იგი გაეცნო დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას, I ინტერნაციონალისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიების მოღვაწეობას.

ამ გარემოებამ თავისებური კვალი დააჩნია კავშირის პროგრამას, რომელშიც, გარდა პოლიტიკური თავისუფლების მოთხოვნისა, ჩაწერილი იყო სიტყვის, პრესისა და კრების თავისუფლების, წოდებათა და პრივილეგიათა მოსპობის, უფასო სავალდებულო სწავლების განხორციელების, მუდმივი ჯარის შემცირებისა .და სახალხო შეიარაღებით მისი შეცვლის მოთხოვნები. პროგრამა ითვალისწინებდა აგრეთვე სამუშაო დღის შემცირებას.

პროგრამა ხაზს უსვამდა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუშათა კლასის გადამწყვეტ როლს. იგი აცხადებდა, რომ უკვე დაიწყო დიადი სოციალური ბრძოლები და რომ პირობები დაყოვნებას აღარ ითმენს, რომ მუშებს ეკისრებათ საკუთარი თავისა და დანარჩენი მშრომელების განთავისუფლება და ექსპლოატატორული სამყაროს მოსპობა. პროგრამა მუშებს განუმარტავდა, რომ მათ გარეშე შეუძლებელია სისხლისმწოველი კლასების არსებობა და აღნიშნავდა, რომ მუშები თანდათანობით იწყებენ ამ ჭეშმარიტების შეგნებას, მაგრამ მათ არ გააჩნიათ სახელმძღვანელო იდეები და ზნეობრივი მხარდაჭერა, რაც ესოდენ საჭიროა წარმატებისათვის.

პროგრამა აცხადებდა, რომ „რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“ თავისი ამოცანებით ემხრობოდა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიებს და საბოლოო მიზნად ისახავდა სოციალისტური რევოლუციის განხორციელებასა და არსებული პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების, როგორც უაღრესად უსამართლო წყობილების, განადგურებას.

„რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირი“, „სამხრეთ-რუსეთის მუშათა კავშირისაგან“ განსხვავებით, უფრო ფართო მუშათა მოძრაობისა და რუსეთში მომწიფებული რევოლუციური სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენდა.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ 70-იანი წლების ბოლოს რუსეთში დაიძრა რევოლუციური ბრძოლების ახალი ტალღა,

რომელმაც მოიცვა პეტერბურგის პროლეტარიატი. პეტერბურგის მუშების 1878-1879 წლების გაფიცვებმა მუშათა მასები დაარწმუნა დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციის აუცილებლობაში. მკვეთრად დაისვა მუშათა სოლიდარობის საკითხი. ობნორსკი მოითხოვდა კავშირის დამყარებას საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან.

კავშირის ორგანიზატორები ცდილობდნენ კონკრეტულად და ნათლად განესაზღვრათ რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები, რაც ქვეყნის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდა.

„რუს მუშათა ჩრდილოეთის კავშირის" პროგრამის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი განსაზღვრავდა მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების მოწინავე კლასის როლს. პროგრამა რუსეთში პირველად მოითხოვდა მუშებისათვის პოლიტიკურ უფლებებსა და პოლიტიკურ თავისუფლებას და მოუწოდებდა რუსეთის მუშათა კლასს კლასობრივი ბრძოლისაკენ მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად.

ეს აძლევდა პლეხანოვს საფუძველს გაეკეთებინა დასკვნა: რომ „1879 წლის დასაწყისისათვის **მუშათა მოძრაობამ ნაროდნიკულ მოძღვრებას** მთელი თავით გაუსწრო" [1]. კავშირის პროგრამა არ იყო თავისუფალი ნაროდნიკობის უტოპიური ელემენტებისაგან. მის ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ შეთვისებული მეცნიერული სოციალიზმის თეორია. მუშათა მოძრაობა მაშინ რევოლუციური თეორიის განვითარებასთან კავშირის გარეშე მიმდინარეობდა.

* *
*

რუსეთში მარქსიზმის გავრცელების ერთ-ერთი წანამძღვარი დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატების მოღვაწეობა იყო.

1914 წელს ლენინი წერდა: „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად

---

[1] Г. В. Плеханов, соч., 1928, Т. III, стр. 184.

რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825 წლიდან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861 წლიდან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე"[1].

საზოგადოებრივი მოძრაობა აღნიშნულ პირველ ეტაპზე გამოხატავდა ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოვ-ხდარ იმ ცვლილებებს, რასაც რუსეთში ადგილი ჰქონდა 1861 წლის საგლეხო რეფორმის წინაპერიოდში.

გასული საუკუნის პირველი მეოთხედის დამლევიდან 1861 წლის საგლეხო რეფორმამდე განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ძალას თავადაზნაურთა წრიდან გამოსული რევოლუციონერები წარმოადგენდნენ.

ცნობილ სტატიაში „წოდებათა და კლასთა როლი" განმათავისუფლებელ მოძრაობაში" ვ. ი. ლენინს მოჰყავდა ციფრობრივი მონაცემები, რომლებიც ნათლად ადასტურებენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავადაზნაურ-მემამულეთა უპირატესობას გასული საუკუნის მთელი მეორე მეოთხედის განმავლობაში.

ამ მონაცემების მიხედვით 1827-1846 წლებში სახელმწიფოებრივი დანაშაულისათვის სამართალში მიცემულთა საერთო რაოდენობის 76 პროცენტს თავადაზნაურობის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

აღნიშნული პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ დეკაბრისტები. მათი მარცხენა ფრთა, პესტელის მეთაურობით, რესპუბლიკის მომხრეთაგან შედგებოდა. ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა დეკაბრისტების რესპუბლიკურ ტრადიციებს.

ვ. ი. ლენინი იმეორებდა გერცენის სიტყვებს და აღნიშნავდა, რომ „თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, უამრავი „ლოთი ოფიცრები, შფოთისთავები, ბანქოს მოთამაშეები, ბაზრობათა გმირები, მეძაღლეები, მო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 292.

ჩხუბრები, მათრახისა და პარამხანის გმირები“ და ყოვლადკეთილი მანილოვები. „და მათ შორის, — წერდა გერცენი, — განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა, რომლებიც რომულისა და რემის მსგავსად, გამოზრდილი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რაღაც დევგმირები, თავით ფეხებამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს. რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი“ [1].

დეკაბრისტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რუსეთის რევოლუციური ძალების გამოღვიძების საქმეში.

თავადაზნაურთა და მემამულეთაგან გამოსული რევოლუციონერების წრე ვიწრო იყო. ისინი შორს იყვნენ ხალხისაგან, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მათ ღვაწლს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა რევოლუციური სული შთაბერეს გერცენს, რომელმაც შემდგომ ფართო აგიტაცია გაშალა და გამოაღვიძა „მომავალი ქარიშხალის ახალგაზრდა მოიერიშენი“, როგორც თვით გერცენი უწოდებდა ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზიის განათლებულ და უკეთეს წარმომადგენლებს.

სტატიაში „გერცენის ხსოვნას“ ვ. ი. ლენინი წერდა:

„აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 11 — 12.

დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრებული“ [1].

დეკაბრისტების აჯანყებიდან 25 წლის შემდეგ გერცენი წერდა, რომ ამ ხნის განმავლობაში რევოლუციური იდეები ბევრად უფრო ძლიერად გავრცელდა, ვიდრე იგი ვრცელდებოდა დეკაბრისტების აჯანყებამდე მთელი საუკუნის განმავლობაში.

განმათავისუფლებელი იდეების გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი ა. ს. პუშკინის მოღვაწეობამ. პუშკინის შემოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული თავადაზნაურ რევოლუციონერთა იდეოლოგიასთან. იგი უმღეროდა დეკაბრისტების განმათავისუფლებელ, პატრიოტულ იდეალებს. ცნობილია, რომ დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ პესიმიზმმა მოიცვა თავადაზნაურთა ბევრი მოწინავე წარმომადგენელი. პუშკინი კი ყოველთვის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ რევოლუციონერთა საქმე ამაოდ არ ჩაივლიდა. მისი ცნობილი ეპისტოლე ციმბირში გადასახლებულ, ილაჯგაწყვეტილ დეკაბრისტებისადმი გამსჭვალული იყო იმის ღრმა რწმენით, რომ დეკაბრისტების გმირობა და თავდადება რევოლუციონერთა ახალ თაობას გამოაღვიძებდა.

60-იანი წლების დასაწყისიდან ხდება განმათავისუფლებელი მოძრაობის სწრაფი დემოკრატიზაცია და მოძრაობაში მონაწილეთა კლასობრივი შემადგენლობის მკვეთრი შეცვლა.

ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღებას იწყებენ არათავადაზნაურული წრიდან გამოსული, ახალი საზოგადოებრივი ფენების — მეშჩანების, მოხელეების, ვაჭრების, სასულიერო წოდების, მასწავლებლების, ექიმების წარმომადგენლები.

ვ. ი. ლენინი განიხილავდა 1827-1908 წლების პერიოდს და მოჰყავდა ცნობები, რომელთა მიხედვით სახელმწიფო დანაშაულობათათვის სამართალში მიცემულ ყოველ 100 კაცზე მოდიოდა:

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 18—19.

ეპოქები	მავანდარი	მდაბიო ინტელიგენტები	სამლვდელოება	ვაჭრები
1827—1846	76	23	?	?
1884—1890	30,6	46,6	6,4	12,1
1901—1903	10,7	80,9	1.6	4,1
1905—1908	9,1	87,7	?	?

განმარტავდა რა ამ მონაცემებს, ლენინი დაასკვნიდა: „აქედან ნათლად ჩანს, რა სწრაფად ხდებოდა განმათავისუფლებელი მოძრაობის დემოკრატიზაცია XIX საუკუნეში და რა მკვეთრად იცვლებოდა მისი კლასობრივი შემადგენლობა“ [1].

მოტანილი ცნობებიდან ჩანს აგრეთვე, რომ მდაბიო მოქალაქეთა წრიდან გამოსულთ ერთბაშად არ შეუცვლიათ თავადაზნაური რევოლუციონერები და ერთბაშად არ მოუპოვებიათ ხელმძღვანელი როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ნაკადებს შეიცავს: ერთი მათგანია დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები, რომელთა პროგრესულმა მსოფლმხედველობამ უდიდესი როლი ითამაშა რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში, სოლო მეორე—ნაროდნიკობა, რომელიც წარმოადგენს ნაბიჯს უკან სოციალ-დემოკრატიის წინამორბედთა მოწინავე და პროგრესული იდეებიდან.

გასული საუკუნის 40-60-იანი წლების რუსეთის რევოლუციური ბრძოლის იდეოლოგებისა და ბელადების გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და სხვ. რევოლუციური პროპაგანდა იდეურად ამზადებდა ნიადაგს რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის.

მაშინდელი რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები ვერ ამაღლდნენ კლასთა ბრძოლისა და მუშათა კლასის ისტორიული როლის მეცნიერულ-მატერიალისტურ გაგებამდე. ისინი უტოპიური

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 387—388.

სოციალიზმის პოზიციებზე დარჩნენ, მაგრამ მათი მოძღვრებ: მკვეთრად განსხვავდება ევროპის უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენელთა მოძღვრებისაგან. ამ გამოჩენილი რუსი მოაზროვნეების მოძღვრება რევოლუციური დემოკრატიზმის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ისინი გლეხობის ფართო მასების ინტერეს-განწყობილებასა და ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ მათ პროტესტს გამოხატავდნენ და კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას ქადაგებდნენ. აკრიტიკებდნენ რა დასავლეთის სოციალისტ-უტოპისტებს, რომლებიც სოციალიზმის მშვიდობიანი გზით დამყარების შესაძლებლობას ამტკიცებდნენ, რუსი დემოკრატები მივიდნენ ძველი წყობილების ძალის საშუალებით დამსხვრევის გარდუვალობის გაგებამდე.

რევოლუციონერი-დემოკრატები მიუთითებდნენ რევოლუციური ორგანიზაციისა და პროპაგანდის გზით მასების განათლების საჭიროებას და აღიარებდნენ ახალი წყობილების გამარჯვებისათვის ეკონომიურ გარდაქმნათა აუცილებლობას. ოუენისა და ფურიესაგან განსხვავებით მათ დაამტკიცეს, რომ სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის შედეგად დემოკრატიული ხელისუფლების დამყარების გზით. მარატისა და რობესპიერის მსგავსი ბურჟუაზიული დემოკრატებისაგან განსხვავებით. რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა დაამტკიცეს, რომ ჭეშმარიტ რევოლუციონერს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს თანასწორობისა და ძმობა-ერთობის უბრალო გამოცხადებით, რომ აუცილებელია უზრუნველყოფა საზოგადოებაში ქონებრივი თანასწორობისა, რომელიც გამორიცხავს სხვისი შრომის მითვისების ყოველგვარ შესაძლებლობას.

რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის დიდმა მედროშეებმა ფრიად თვალსაჩინო როლი შეასრულეს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში. ისინი იყვნენ მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლნი, თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის ჭეშმარიტად დიდი პატრიოტები. ქადაგებდნენ რა პროგრესულ იდეებს, ისინი შეუპოვრად იბრძოდნენ ხალხის ინტე-

რესების დასაცავად, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდნენ ძალმომრეობაზე დამყარებულ სოციალურ ინსტიტუტებს და გამოდიოდნენ პროგრამით, რომლის მიზანს შეადგენდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა და სოციალიზმის განხორციელებისათვის ხელის შეწყობა. მათ შეძლეს იმის გაგება, რომ კაპიტალისტური წყობილების დაღუპვა გარდუვალია, განსკვრიტეს მომავალი და იწინასწარმეტყველეს ისეთი რევოლუციის აუცილებლობა, რომელიც დაამყარებდა ექსპლოატაციისაგან და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრისაგან თავისუფალ ახალ საზოგადოებრივ წესრიგს.

რევოლუციონერ-დემოკრატებმა იცოდნენ, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში ძველი და დრომოჭმული მოვლენები იცვლება ახალი, სიცოცხლისუნარიანი, განვითარების პერსპექტივის მქონე მოვლენებით. ჩერნიშევსკი აცხადებდა, რომ ვინც გაიგო ფორმათა მარადიული ცვლა, მარადიული უკუგდება ფორმისა, რომელიც წარმოშობილია გარკვეული შინაარსით თუ მისწრაფებით, იმავე მისწრაფების გაძლიერების შედეგად, იმავე შინაარსის უმაღლესი განვითარების შედეგად, მას ვერ ენანება არაფერი, რასაც თავისი დრო მოუჭამია და ამბობს: „დაე მოხდეს, რაც მოხდება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც იქნება ჩვენს ქუჩაზე ზეიმი“ [1].

გერცენი წერდა: „ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ საქმე შემდეგში ისე ვეღარ წავა, როგორც მიდიოდა, რომ ბოლოს, კაპიტალის განსაკუთრებულ ბატონობას და საკუთრების უცილობელ უფლებას ისევე ეღება ბოლო, როგორც ოდესღაც ბოლო მოეღო ფეოდალურ და არისტოკრატიულ სამეფოს... როგორც მაშინ თავადაზნაურობის ჯიუტობამ და გადაგვარებამ ხელი შეუწყო მის საკუთარ დაღუპვას, ისე ახლაც ჯიუტი და გადაგვარებული ბურჟუაზია საფლავისაკენ ეწევა თავის თავს“[2].

ქადაგებდნენ რა, რომ საზოგადოების განვითარება მხოლოდ რევოლუციის საშუალებით არის შესაძლებელი, რე-

---

[1] ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზ., თბილისი, 1945, გვ. 196.

[2] А. И. Герцен, Избранные философские сочинения, стр. 352.

ვოლუციონერ-დემოკრატებს სათანადოდ ჰქონდათ შეგნებული ამ გზით სვლის მთელი სიძნელე. „სისულელეა იფიქრო,— წერდა ჩერნიშევსკი,— რომ კაცობრიობას შეუძლია პირდაპირი და სწორი გზით სვლა, როცა ეს დღემდე არასოდეს ასე არ ყოფილა... ისტორიის გზა — ნევის პროსპექტის ტროტუარი როდია, ის მთლად მიჰყვება მინდვრებს, ხან მტვრიანს, ხან ტალახიანს, ხან კი ტყე-ღრეზე მიდის. თუ გეშინია — მტვერი არ მომეცხოს და ფეხსაცმელი არ გამიჭუჭყიანდესო,— მაშინ ხელს ნუ მოკიდებ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ეს ადამიანისათვის კეთილი საქმეა, მაგრამ საქმე, რომელიც მაინცდამაინც საამური არ არის“ [1].

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ბატონყმური მონობისაგან რუსეთის განთავისუფლების საქმისადმი გულწრფელი სამსახური ამოძრავებდა ბელინსკის, როცა იგი დრამაში „დიმიტრი კალინინი“ ყმების ბედით აღშფოთებული აცხადებდა: ნუთუ ეს ხალხი მხოლოდ იმისთვის იბადებიან, რომ ემსახურონ ჟინს ისეთივე ადამიანებისას, როგორიც ისინი თვითონ არიან? ვინ შექმნა ეს დამღუპველი უფლება — ადამიანების ერთმა ნაწილმა თავისი ძალით დაიმორჩილოს ნებისყოფა მონათესავე არსებებისა, წაართვას მათ წმიდათა წმიდა საუნჯე — თავისუფლება?

მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის დროს ბელინსკის მიერ დაწერილი ეს დრამა წარმოადგენდა გაბედულ პროტესტს არსებული სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ ცენზურამ იგი უნივერსიტეტის შემარცხვენელ, ამორალურ ნაწარმოებად მიიჩნია.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მებაირახტრე ნ. გ. ჩერნიშევსკი გულდასმით აკვირდებოდა ჩაგრული ხალხის ცხოვრებას. იგი აღშფოთებული იყო მით, რომ თვითმპყრობელობამ ხალხი გადააქცია მონების საცოდავ ბრბოდ. ამ დიდი მოაზროვნის რევოლუციური განწყობილება მკვეთრად მოჩანს მის წერილში გერცენისადმი, სადაც იგი აღნიშნავ-

---

[1] Н. Г. Чернышевский, Литературное наследие, т. I, стр. 497.

და, რომ მხოლოდ ნაჯახს შეეძლია აუტანელი და გამოუვალი მდგომარეობიდან რუსეთის ხსნა.

ცარიზმისა და ბატონყმური წყობილების დამხობა წარმოადგენდა დობროლიუბოვის პოლიტიკურ მისწრაფებათა საფუძველს. სტატიებში „ბნელი სამეფო“ და „სინათლის სხივი ბნელ სამეფოში“ დობროლიუბოვმა მხატვარ-პუბლიცისტის ნიჭიერი კალმით დახატა ბატონყმური რუსეთის შემაძრწუნებელი სურათი, სურათი ქვეყნისა, რომელიც წარმოადგენდა „საკაცობრიო აზრებისა და ნებისყოფის სასაფლაოს“. სადაც არ იყო ცხოვრება და თავისუფლება, სიხარული და ბედნიერება, სინათლე და სითბო, სადაც შეუზღუდველად ბატონობდა მხეცური თვითნებობა და ფეხქვეშ ითელებოდა ყოველგვარი ადამიანური უფლება-ღირსება.

ჩერნიშევსკიმ შესანიშნავად გაიგო 1861 წლის საგლეხო რეფორმის ბურჟუაზიული ხასიათი და მის მიმართ იმთავითვე უარყოფითი პოზიცია დაიკავა. ვ. ი. ლენინი წერდა: „საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, რომ იმ დროს თვით საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში (როცა ის დასავლეთშიც კი არ იყო ჯერ კიდევ საკმაოდ გაშუქებული), ასე ნათლად გაეგო მისი ძირითადი ბურჟუაზიული ხასიათი...“[1]

რევოლუციონერი-დემოკრატები, რომლებსაც ღრმად სწამდათ რუსი ხალხის დიდი შესაძლებლობანი და უნარი, სასტიკად ესხმოდნენ თავს და დაუნდობლად ანადგურებდნენ ყველას, ვინც რუსი ხალხის დამცირებას ლამობდა და ამ ხალხის მოაზროვნეების შეხედულებათა დამოუკიდებლობას უარყოფდა. „შეხედულებათა და ადამიანთა ერთიანობა ჩვენში მხოლოდ მტკიცდებოდა, და წარმოშობილი კი არ იყო გარეგანი ზეგავლენებით. ის მოღვაწეები, რომლებიც მაშინ სათავეში ედგნენ ჩვენს გონებრივ მოძრაობას, რასაკვირველია, გამხნევებული იყვნენ იმით, რომ ევროპის ყველა თანამედროვე მოაზროვნეთა თანხმობა მათთან მათი შეხედულებების სამართლიანობას ადასტურებდა; მაგრამ ეს ადამიანები უკვე არავითარი უცხო ავტორიტეტისაგან აღარ იყვნენ დამოკიდე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 331.

ბულნი თავიანთ შეხედულებებში... ის პროგრესი შეხედულებებში, რამაც წინანდელი დაქსაქსულობა მოსპო, ჩვენში დამოუკიდებელი სახით მოხდა... იმ დროიდან, რაც ჩვენი გონებრივი მოძრაობის წარმომადგენლებმა დამოუკიდებლად გააკრიტიკეს ჰეგელის სისტემა, ეს მოძრაობა უკვე აღარ დამორჩილებია არავითარ უცხო ავტორიტეტს"[1].

რევოლუციონერი-დემოკრატები გამოდიოდნენ, როგორც უშიშარი დიალექტიკოსები თეორიასა და რევოლუციურ პრაქტიკაში, წინ იხედებოდნენ და არა უკან, იცავდნენ ახალს, მოწინავეს და ცდილობდნენ ყოველნაირად შეეწყოთ ხელი საზოგადოების პროგრესული ძალების გამარჯვებისათვის.

მათ შრომებში გვხვდება ისტორიის მატერიალისტური გაგებისა და საზოგადოებრივ განვითარებაში პიროვნების როლის სწორი გაგების ჩანასახი. ისინი მეტად ახლოს მივიდნენ ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებასთან: საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას.

„ცხოვრება კი არ მიდის ლიტერატურული თეორიების მიხედვით, არამედ ლიტერატურა იცვლება ცხოვრების მიმართულების შესაბამისად"[2], — აცხადებდა დობროლიუბოვი.

რევოლუციონერ-დემოკრატებს ესმოდათ, რომ საზოგადოების განვითარება კანონზომიერად მიმდინარეობს, რომ პიროვნების მოღვაწეობა ისტორიულად არის გაპირობებული და გამოჩენილი ადამიანები გამოხატავენ ისტორიულ აუცილებლობას, საზოგადოების განვითარების მოთხოვნილებებს. ბელინსკი ამბობდა, რომ დიდი პიროვნება არის თავისი დროის მსახური, შვილი თავისი ეპოქისა, თავისი ხალხისა.

საზოგადო მოღვაწეებისაგან ბელინსკი თანამედროვეობისადმი ჭეშმარიტ სამსახურს მოითხოვდა. იგი აცხადებდა: რომ შეძლო ნამდვილი სამსახური გაუწიო თანამედროვეობას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყო მოქალაქე, ნამდვილი შვი-

---

[1] ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზ., თბილისი, 1945 წ., გვ. 544.

[2] Н. А. Добролюбов, Избранные философские произведения т. 1, стр. 126, Госполитиздат, 1948.

ლი შენი ხალხისა და შენი ეპოქისა, უნდა აითვისო მათი ინტერესები. და საკუთარი მისწრაფებანი შეუთანხმო მათ მოთხოვნებსა და მისწრაფებებს. ამ პრინციპებიდან გამოდიოდა ბელინსკი, როცა იგი თავის ცნობილ წერილში გოგოლისადმი აშკარად და მკვეთრად გამოთქვამდა საკუთარ სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს და ამ მომენტში ხალხის ჭეშმარიტი სამსახურის გზიდან ამცდარ დიდ მწერალს გონზე მოსაყვანად დაუზოგავად შოლტავდა.

თუ გამოჩენილი ადამიანი თავისი ეპოქისა და თავისი ხალხის შვილია, უაზრო და სასაცილოა კითხვები: „რა იქნებოდა, რომ პეტრე I დაბადებულიყო საფრანგეთში, ხოლო ნაპოლეონ I რუსეთში?“, „რა მოუვიდოდა რეფორმაციას ლუთერი რომ არ ყოფილიყო?“ და სხვ. ბელინსკი დასცინოდა ასეთ კითხვებს, როგორც საკითხის გულუბრყვილო და არა მეცნიერულ დაყენებას. ლუთერი შეიძლება დაბადებულიყო ან არ დაბადებულიყო, მაგრამ ისტორიული მოვლენები მაინც თავიანთი გზით განვითარდებოდნენ — ამბობდა ბელინსკი. პიროვნებას არ შეუძლია შეცვალოს მოვლენათა კანონზომიერი განვითარება, მაგრამ მას შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს იგი.

უარყოფდა რა ვოლუნტარისტულ თვალსაზრისს საზოგადოების განვითარების ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ, დობროლიუბოვი წერდა: „არ სურთ გაიგონ, რომ ისტორიული პიროვნება, თუნდაც დიდი, შეადგენს მხოლოდ ნაპერწკალს, რომელსაც შეუძლია თოფის წამლის აფეთქება, მაგრამ ქვებს კი ვერ აანთებს, და მყისვე თვითონვე ჩაქრება, თუ ვერ შესვდა მასალას, რომელსაც ადვილად ეკიდება ცეცხლი. არ სურთ გაიგონ, რომ ეს მასალა ყოველთვის მზადდება ხალხის ისტორიული განვითარების გარემოებებით და რომ სწორედ ისტორიულ გარემოებათა გამო გაჩნდებიან ხოლმე პიროვნებანი, რომელნიც საზოგადოებისა და დროის მოთხოვნილებებს გამოხატავენ“[1].

---

[1] Н. А. Добролюбов. Полное собрание сочинений, т. III, стр. 335, 1936.

ახასიათებდა რა ბელინსკის, როგორც ენციალური კრიტიკოსის ისტორიულ როლს, ჩერნიშევსკი წერდა: „პიროვნება დროისა და ისტორიული აუცილებლობის მსახურს წარმოადგენს... და თუ კრიტიკის წარმომადგენელი ამ დროს ბელინსკი იყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი პიროვნება სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ისტორიული აუცილებლობა მოითხოვდა. თუ იგი ასეთი არ იქნებოდა, ეს განუხრელი ისტორიული აუცილებლობა ნახავდა თავისთვის სხვა მსახურს, სხვა გვარითა და სახის სხვა ნაკეთებით, მაგრამ არა სხვა ხასიათით: ისტორიული მოთხოვნილება იწვევს სამოღვაწეოდ ადამიანებს და აძლევს ძალას მათ მოღვაწეობას, თვითონ კი არავის არ ემორჩილება, არავის საამებლად არ იცვლება"[1].

რუსმა დემოკრატებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმს და ნაციონალურ-სლავიანოფილურ შეზღუდულობას.

რუსეთის საზოგადოებრივი პროგრესისა და სოციალიზმის გზით მისი გარდუვალი სვლის მტკიცე რწმენა რევოლუციონერ-დემოკრატებს პრინციპულად ანსხვავებდა როგორც ლიბერალებისაგან, ისე სლავიანოფილებისაგან.

დასავლეთის ბურჟუაზიული წყობილების კრიტიკა, რომელსაც, მაგალითად, დობროლიუბოვი იძლეოდა, იმის ღრმა რწმენით იყო გამსჭვალული, რომ რუსეთმაც და დასავლეთ ევროპის ქვეყნებმაც აუცილებლად უნდა გაიარონ საზოგადოებრივი პროგრესის გზა. გზას, რომლითაც მაშინ დასავლეთ ევროპის ქვეყნები მიდიოდნენ, დობროლიუბოვი რუსეთისთვისაც აუცილებლად თვლიდა, მაგრამ ეს მას მიაჩნდა მხოლოდ „პირველ სადგურად", საიდანაც იწყება სოციალიზმის დამყარებისათვის ბრძოლის გზა.

დიდი რუსი დემოკრატები სათანადოდ აფასებდნენ რუსეთის როლსა და მნიშვნელობას ბარბაროს დამპყრობთაგან ევროპისა და მისი ცივილიზაციის გადარჩენაში და გენიალურად წინასწარმეტყველებდნენ, რომ რუსი ხალხი მომავალში კიდევ

---

[1] Н. Г. Чернышевский, Избранные философские соч., т. I, стр. 634—635, Госполитиздат, 1950.

უფრო დიდ როლს ითამაშებდა კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეში. ჩერნიშევსკი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ რუსები პოლიტიკურ ისტორიაში გამოდიან არა დამპყრობლებად და მძარცველებად ჰუნებივითა და მონღოლებივით, არამედ მხსნელებად; რომ რუსებმა იხსნეს მთელი ევროპა ჯერ მონღოლთა უღლისაგან და შემდეგ ნაპოლეონის უღლისაგან.

„...დაე რუსეთმაც შეიტანოს ის,— წერდა ჩერნიშევსკი,— რაც უნდა შეიტანოს მსოფლიოს სულიერ ცხოვრებაში, როგორც შეიტანა და შეაქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში, გამოვიდეს მძლავრად, დამოუკიდებლად, მაშველად კაცობრიობისათვის ცხოვრების სხვა დიად სარბიელზედაც — მეცნიერების სარბიელზე... და დაე ჩვენის მეშვეობით ნაწილობრივ მაინც აღსრულდეს ეს დიადი საქმე... ხელი შეუწყო შენი სამშობლოს არა გარდამავალ, არამედ სამარადისო დიდებას და კაცობრიობის კეთილდღეობას — რა უნდა იყოს ამაზე უმაღლესი და ამაზე სასურველი?“[1]

ასევე ღრმად სწამდა რუსეთის ბრწყინვალე მომავალი ბელინსკის. „დიალ, ჩვენში არის ნაციონალური ცხოვრება, — აცხადებდა იგი, — ჩვენ მოწოდებული ვართ საკუთარი სიტყვა, საკუთარი აზრი ვუთხრათ მსოფლიოს; მაგრამ როგორი იქნება ეს სიტყვა, როგორი იქნება ეს აზრი,— ამაზე ჩვენი ზრუნვა ჯერ კიდევ ნაადრევია. ჩვენი შვილიშვილები და შვილიშვილიშვილები გაიგებენ ამას დაძაბულ ძიებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ჯაფის გარეშე, იმიტომ, რომ ეს სიტყვა, ეს აზრი მათ მიერ იქნება ნათქვამი“[2]. შეუძლებელია არ გაიხსენო ისტორიის შემდგომი განვითარების შედეგად ესოდენი სიზუსტით გამართლებული ბელინსკის გენიალური წინასწარმეტყველება: „შევნატრით ჩვენს შვილიშვილებს და შვილიშვილიშვილებს, რომელნიც ნახავენ რუსეთს 1940 წელს, განათლებული მსოფლიოს სათავეში მდგომს, რომელიც კანონს დაუდებს მეცნიერებასაც და ხელოვნებასაც და პატივისცემის

---

[1] Н. Г. Чернышевский, Литературное наследие, т. II, стр. 44. 1928.

[2] В. Г. Белинский, соч., т. III, стр. 654 — 655, Москва, 1948.

მოკრძალებულ ხარკს ძიიღებს მთელი განათლებული კაცობრიობისაგან"[1].

რევოლუციონერი დემოკრატები თვალსაჩინო პრაქტიკულ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ.

გერცენმა ლონდონში მოაწყო პირველი რუსული სტამბა და სცემდა ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდას" (1855—1869 წ.წ.) და გაზეთ „კოლოკოლს" (1857 — 1867 წ.წ.).

თავისი პირველი პერიოდული გამოცემისათვის გერცენმა აირჩია რილეევის ალმანახის სახელწოდება და მისი პირველი გვერდი სიკვდილით დასჯილი დეკაბრისტების პესტელის, რილეევის, ბესტუჟევის, მურავიოვისა და კახოვსკის პორტრეტებით დაამშვენა. გერცენის ამ გამოცემებმა ჩაუყარა საფუძველი მთელს შემდგომ არალეგალურ რევოლუციურ ლიტერატურას რუსეთში. ამით იწყება რუსეთის იატაკქვეშეთის სასახელო და დიადი ისტორია, რომელიც ვ. ი. ლენინის მოღვაწეობით და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინდა.

ლენინურმა „ისკრამ", რომელიც იქ იბეჭდებოდა, სადაც გერცენმა პირველად დადგა რუსული საბეჭდი დაზგა, ეპიგრაფად აირჩია ცეცხლოვანი ფრაზა დეკაბრისტების პასუხიდან პუშკინისადმი —„ნაპერწკლიდან ალი აინთება". ეს თითქოს სიმბოლოა ასწლოვანი რევოლუციური ბრძოლის ტრადიციების უწყვეტობისა. რევოლუციონერ-დემოკრატებს შორის მჭიდრო მემკვიდრეობითი კავშირია, რაც თავის დასაწყისს ღებულობს ლომონოსოვის, რადიშჩევის და დეკაბრისტების ყველაზე უფრო პროგრესული იდეებიდან, ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებიდან. ამ მემკვიდრეობითს კავშირს აგრძელებდნენ ბისარევი, სალტიკოვ-შჩედრინი, ანტონოვიჩი, რუსული საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მატერიალიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები და მარქსიზმის პიონერი რუსეთში გ. ვ. პლეხანოვი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედთა გავლენა შორს ცილდებოდა რუსეთის ფარგლებს.

---

[1] В. Г. Белинский, Полное собр. соч. т. 12, стр. 224.

წინასიტყვაობაში, რომელიც გიორგი მიხეილის-ძე დიმიტროვმა წარუმძღვარა ჩერნიშევსკის რომანს „რა ვაკეთოთ?“, ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა რევოლუციონერთა თაობანი ბალკანეთის ქვეყნებში იზრდებოდნენ ამ რომანის გმირების — რახმეტოვის, კირსანოვის, ლოპუხოვისა და ვერა პავლეს ასულის მაგალითზე „და ძალიან ხშირად პირდაპირ ცდილობდნენ მისაბაძ ნიმუშად გაეხადათ პირადი სიმტკიცე, ამტანიანობა, რევოლუციის საქმისადმი ერთგულება და მტრებისადმი შეურიგებლობა — თვისებები, რომელნიც ჩერნიშევსკის გმირებს ახასიათებს“[1].

ძლიერი და მრავალმხრივი იყო რევოლუციონერი-დემოკრატების გავლენა საქართველოში. ქართველი ხალხი მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებებს. ამას ემატებოდა წრეგადასული ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა, ნაციონალური დამცირება და მრავალსაუკუნოვანი ქართული ნაციონალური კულტურის ჩახშობა.

რუსეთის გავლენით საქართველოშიც გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მოწინავე რუსეთმა, თავისი ღირსეული შვილების სახით, მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა და დახმარების ხელი გამოუწოდა ქართველ ხალხს მის ბრძოლაში მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. რევოლუციონერ-დემოკრატებმა კეთილმყოფელი გავლენა იქონიეს ქართული ლიტერატურის განვითარებაზე.

ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად ახასიათებდა ქართული ლიტერატურისა და მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე რუსული კულტურისა და დიდი რუსი მოღვაწეების მადლიან გავლენას: „...რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი

---

[1] Г. Димитров, Предисловие к роману Чернышевского „Что делать“?, 1935, стр. I.

ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოჰქმედი კაცი მწერლობაში. თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოთ ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვეის მიხედვით გამოურჩევია"[1].

მოწინააღმდეგეები ილიას „ბრალს დებდნენ" იმაში, რომ მის ნაწერებში ძალზე იგრძნობოდა ბელინსკისა და ჩერნიშევსკის გავლენა.

ცნობილი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებია დიდი რუსი დემოკრატების იდეების საქართველოში ფართოდ გავრცელების შესახებ.

ს. მგალობლიშვილის მოგონებების იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია მის მასწავლებლობაზე გორში, ვკითხულობთ: „სასწავლებელში' ქართული ენის რვა გაკვეთილი იყო, ამისათვის ხაზინიდან არ იყო დადებული ფული და მასწავლებლები აგრეთ რიგად ქართული ენის სწავლებით თავს არ იტკივებდნენ. მე უსასყიდლოდ ვიკისრე სწავლება. ეს გარემოება ჩემთვის ძალიან ხელსაყრელი იყო: ქართულით მოწაფეებს დავაინტერესებდი და ნელ-ნელა შევიტანდი ახალგაზრდობაში, როგორც მამულიშვილურს, ისე კიდეე ახალი მიმართულების აზრებსა.

ამისათვის მაშინდელი დროის მიხედვით საკმაო ქართული და რუსული წიგნებიც მქონდა... ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი... და სხვ."[2].

ს. მგალობლიშვილი წერს, რომ მოწინავე მასწავლებელს ვასო დეკანოზიშვილს სტუდენტებმა გორში ჩამოუტანეს რე-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, ტ. II, 1941, გვ. 607.

[2] ს. მგალობლიშვილი, „მოგონებები", თბილისი, 1938, გვ. 71 — 72.

ვოლუციური შინაარსის სხვადასხვა წიგნები. გერცენის „კოლოკოლის“ ნომრები და სხვა“[1].

1976 წელს ს. მგალობლიშვილი დააპატიმრეს. იგი იგონებდა დაკითხვისა და პატიმრობიდან თავის დაღწევის ამბებს და დასძენდა, რომ „სახლიდან წაღებული წიგნები: დობროლიუბოვი, პისარევი და „სოვრემენნიკის“ ნომრები (როტმისტრმა. გ. ს.) არ დამიბრუნა, თუმცა ბევრი ვემუდარეო“[1].

ამ პერიოდში რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის რუსი რევოლუციონერი-დემოკრატებით გატაცება ბევრი სხვა მასალითაც დასტურდება.

თბილისის სემინარიის ყოფილ მოსწავლეს, დუშეთელი მღვდლის შვილს დავით კეზელს არსებული წყობილებისადმი შეურიგებლობისათვის ახალგაზრდობიდანვე დევნიდნენ. იგი გადასახლებული იყო რუსეთში, საიდანაც თანამშრომლობდა გაზეთ „შრომაში“ არაგველის ფსევდონიმით.

კეზელის წერილები ყურადღებას იქცევს რადიკალური სულისკვეთებით, რაც გამეფებული იყო ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გავლენას განიცდიდა. ამ წერილებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ახალგაზრდობის ეს ნაწილი ეწაფებოდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების თხზულებებს.

დუშეთიდან კეზელი მეგობარს სწერდა: „მე ჩამოვალ სექტემბერში, მაგრამ არ ვიცი გავუძლებ მანდაურ წესებს თუ ვერა... კაცობრიობას შეთვისებული აქვს ბევრი რამ, რაც ეწინააღმდეგება საღ მოსაზრებას, მაგალითად, ნების თავისუფლება, სულის უკვდავება, ღვთის არსებობა, საიქიო და ბევრი სხვა.

ეს ყველაფერი უმეცრების ნაყოფია. ნეტარება იმ საუკუნეს, როდესაც კაცობრიობა განთავისუფლდება ამ ცრუმორწმუნეობიდან...

მე მივწერე იაკობს, მაგრამ თუ ის არ იყიდის, შენ იყიდე.

---

[1] ს. მგალობლიშვილი, „მოგონებები“, თბილისი, 1938, გვ. 72.

[2] იქვე, გვ. 79.

ხომ იცი ჩვენ ყოველთვის დაგვჭირდება ჩერნიშევსკის „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ [1].

კეზელის მეორე წერილში მეგობრისადმი ვკითხულობთ: „თუ იყიდე „ესთეტიკური“ ჩერნიშევსკისა, გამომიგზავნე, ძალიან მჭირია ეს წიგნი“.

1873 წლის 4 ივლისს დავით კეზელი ამხანაგს სწერდა: „ვიცი, რომ შენც გამოგადგება, იყიდე ჩერნიშევსკის წიგნი, ძალიან მჭირდება იგი. აი სათაური „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“[2].

დიდად აფასებდნენ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი.

1871 წელს კარლ მარქსი წერდა: „...1870 წლის დამდეგიდან მე თვითონ მომიხდა რუსული ენის შესწავლის დაწყება, რომელზედაც ამჟამად საკმაოდ თავისუფლად ვკითხულობ. ეს გამოწვეულია იმით, რომ პეტერბურგიდან მე გამომიგზავნეს ფლეროვსკის მეტად საინტერესო თხზულება „მუშათა კლასის (განსაკუთრებით გლეხების) მდგომარეობა რუსეთში“ და რომ მე მსურდა გავცნობოდი აგრეთვე ჩერნიშევსკის (მადლობის მაგიერ შვიდი წლით ციმბირში გადასახლებულის) ეკონომიურ (საუცხოო) შრომებს. შედეგი ღირს იმ ძალღონედ, რაც ჩვენ ხნის ადამიანმა უნდა დახარჯოს იმ ენის შესწავლაზე, რომელიც ესოდენ ძლიერ განსხვავდება კლასიკური, გერმანული და რომანული ენებისაგან“[3].

მეცნიერული სოციალიზმის დიდმა ფუძემდებელმა რუსული ენა შეისწავლა და ჩერნიშევსკის შრომებს გაეცნო. მარქსმა ჩერნიშევსკი რუს რევოლუციონერთა მასწავლებლად აღიარა და განაცხადა, რომ მისი შრომები „ნამდვილ სახელს უხვეჭენ რუსეთს“[4].

1873 წელს „კაპიტალის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაო-

---

[1] ცსსა, ფონ. 7c, საქ. 10, ფურ. 12.

[2] იგივე, ფურ. 14—15.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. 1935, т. 26, стр. 87.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., 1936, т. 18, часть I, стр. 554.

ბაში მარქსმა ჩერნიშევსკი მოიხსენია, როგორც „დიდი რუსი მეცნიერი და კრიტიკოსი“ და აღნიშნა, რომ „მან ჩინებულად გააშუქა ბურჟუაზიული ეკონომიის გაკოტრება“.

მარქსის საკუთარი ბიბლიოთეკის თაროებს ამშვენებდა ჩერნიშევსკის მრავალი შრომა: „დამატებანი და შენიშვნები დ. ს. მილის პოლიტიკური ეკონომიის პირველ წიგნზე“, „სტატიები თემური მიწათმფლობელობის შესახებ“, „ნუთუ ძნელია მიწის გამოსყიდვა?“, „პარტიათა ბრძოლა საფრანგეთში ლუი XVIII და კარლოს X-ის დროს“ „წერილები უმისამართოდ“, „კავენიაკი“, „პროლოგი“ და სხვ.[1]. აქ დასახელებული შრომების ბევრი ადგილი მარქსს ხაზგასმული აქვს და ზოგი მათგანისათვის გვერდზე მიუწერია: „ვაშა“.

ჩერნიშევსკის არასოდეს არ წაუკითხავს მარქსი. ფ. ენგელსი, აღნიშნავდა რა ამ ფაქტს, განმარტავდა, რომ ეს გამოწვეული იყო თვითმპყრობელობის უსამართლო ღონისძიებებით, ჩერნიშევსკის გადასახლებით, სადაც იგი მოკლებული იყო ყოველგვარ გონებრივ საზრდოს.

„ჩერნიშევსკი არასდროს არ იცნობდა მარქსის ნაწარმოებებს,— წერდა ფ. ენგელსი,— ხოლო როცა „კაპიტალი“ გამოვიდა, იგი დიდი ხნით ადრე უკვე სრედნევილუისკში, იაკუტებს შორის იმყოფებოდა. მთელი მისი გონებრივი განვითარება უნდა წარმართულიყო იმ პირობებში, რომლებიც შექმნილი იყო ამ ინტელექტუალური ბარიერით“[2].

ჩერნიშევსკის იზოლაციას, მის პოლიტიკურ სიკვდილს მარქსი თვითმპყრობელობის მხრივ უდიდეს უსამართლობად და საერთოდ აუნაზღაურებელ დანაკლისად თვლიდა.

მარქსი ისე იყო გატაცებული ჩერნიშევსკით და იმდენად დიდად აფასებდა მსოფლიო მნიშვნელობის მის ღვაწლს, რომ გადაწყვიტა დაეწერა რაიმე ჩერნიშევსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ამის გამო მარქსი წერდა: „მე მინდოდა დამებეჭდა რაიმე

---

[1] Архив К. Маркса и Ф. Энгельса, книга IV, стр. 385, 1929.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 16, часть II, стр. 389.

ჩერნიშევსკის ცხოვრების, პიროვნებისა და სხვ. შესახებ, რათა დასავლეთში მისდამი თანაგრძნობა გამომეწვია, მაგრამ ამისათვის საჭიროა ფაქტიური მონაცემები"[1].

მარქსი მოურიდებლად მიუთითებდა ჩერნიშევსკის შეცდომებზე და აღნიშნავდა, რომ მან ვერ გადალახა უტოპიური სოციალიზმის იდეები.

რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების ღვაწლს მაღალ შეფასებას აძლევდა ენგელსი. 1884 წელს იგი წერდა ე. პაპრიცს:

„ხომ არ ჩადიხართ თქვენ ცოტა უსამართლობას თქვენი თანამემამულეების მიმართ. ჩვენ ორივეს, მარქსსა და მე, მათზე სამდურავი არ გვეთქმის. თუ ზოგიერთი სკოლა უფრო თავისი რევოლუციური მგზნებარებით გამოირჩეოდა, ვიდრე მეცნიერული გამოკვლევებით, თუ იყო და კიდევ არის სხვადასხვაგვარი ცთომილებანი, მეორე მხრით იყო აგრეთვე კრიტიკული აზრი და თავგანწირული ძიებანიც წმინდა თეორიის დარგში, როგორიც შეეფერებოდა იმ ხალხს, რომელმაც დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი მოგვცა. მე ვლაპარაკობ არა მარტო აქტიურ რევოლუციურ სოციალისტებზე, არამედ ისტორიულ და კრიტიკულ სკოლაზედაც რუსულ ლიტერატურაში, რომელიც განუსაზღვრელად მაღლა დგას ყველა იმაზე, რაც კი გერმანიასა და საფრანგეთში ოფიციალურ ისტორიულ მეცნიერებას შეუქმნია"[2].

XIX საუკუნის დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს ლენინმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედები უწოდა.

ახასიათებდა რა გერცენს, ლენინი წერდა: „XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა... პირველი წერილი „წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ", — „ემპირია და იდეალიზმი", — რომელიც დაწერილია 1844 წელს, გვიჩვენებს მოაზროვნეს, რომელიც

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 26, стр. 306.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 417.

ახლაც კი, მთელი თ ვით უფრო მაღლა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ-ემპირიკოსზე და აურაცხელ ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევრადიდეალისტზე. გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე" [1].

ვ. ი. ლენინი ჩერნიშევსკის ბევრ ნააზრევს განიხილავდა. როგორც „გენიალურ წინახედვას". იგი აღნიშნავდა, რომ „ჩერნიშევსკი მართლაც ერთადერთი დიდი რუსი მწერალია. რომელმაც შესძლო 50-იანი წლებიდან 1888 წლამდე მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის სიმაღლეზე დარჩენილიყო და ნეოკანტიანელების, პოზიტივისტების, მახისტების და სხვა ამრევთა საცოდავი ჩმახვა უკუეგდო. მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ შესძლო, უკეთ რომ ვთქვათ. მას, რუსეთის ცხოვრების ჩაბორჩენილობის გამო, არ შეეძლო მარქსის და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის სიმაღლეზე ასულიყო" [2].

1902 წელს, თავის შესანიშნავ შრომაში — „რა ვაკეთოთ?" ვ. ი. ლენინი წერდა:

„მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. ხოლო რაოდენადმე მაინც კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი, როგორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა" [3].

ამგვარად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედების და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადის პოლიტიკური და რევოლუციური ტრადიციების ათვისება ვ. ი. ლენინს ისეთ აუცილებელ პირობად მიაჩნდა, რომლის გარეშე ჩვენი პარტია ვერ შესძლებდა მოწინავე მებრძოლის როლის შესრულებას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 18, გვ. 12.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 14, გვ. 461.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 5, გვ. 461—462.

რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს, როგორც ვ. ი. ლენინი არაერთხელ მიუთითებდა, არაფერი საერთო არ ჰქონდა შემდეგდროინდელ ნაროდნიკულ რეაქციულ თეორიებთან. რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეურ მემკვიდრეობაზე პრეტენზია ჰქონდა არა მარტო 70-იანი წლების რევოლუციურ ნაროდნიკობას, არამედ აგრეთვე 90-იანი წლების ნაროდნიკობას, ესერებს, ტროდოვიკებს და ლიბერალებსაც კი. ეს იყო ყოველგვარ საფუძველს მოკლებული პრეტენზია. სინამდვილეში ისინი აყალიბებდნენ რევოლუციონერ-დემოკრატთა პროგრესულ შეხედულებებს, სარგებლობდნენ მათი მოძღვრების სუსტი მხარეებით, აზვიადებდნენ მათ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმსა და უტოპიზმს.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნამდვილი მემკვიდრენი რუსი მარქსისტები იყვნენ.

შემოქმედებით მარქსიზმთან ამ მოაზროვნეთა შემაერთებელი რგოლი იყო „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფისა და მისი დამაარსებლის გ. ვ. პლეხანოვის მოღვაწეობა. პლეხანოვი რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ტრადიციებზე აღიზარდა და 80-იან წლებში მარქსიზმის პირველი პროპაგანდისტი გახდა რუსეთში.

———

თავი II

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნა და მოღვაწეობა

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში რევოლუციური ახალგაზრდობის უკეთესი წარმომადგენლები დაინტერესდნენ მარქსიზმით და დაიწყეს დრომოჭმული ნაროდნიკული ილუზიების უკუგდება. მათ მიზნად დაისახეს გაენადგურებინათ რევოლუციურ წრეებში გაბატონებული მცდარი ნაროდნიკული შეხედულებები, როგორც მთავარი დაბრკოლება რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განვითარების გზაზე; გამოემუშავებინათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის თეორია და პროგრამა და მოწინავე მუშებთან კავშირის დამყარებით შესდგომოდნენ მარქსიზმის იდეების ფართო პროპაგანდას.

ამ დიდსა და კეთილშობილურ საქმეში ინიციატივა აიღეს გ. ვ. პლეხანოვმა და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა.

პლეხანოვის პოლიტიკური მოღვაწეობა სამ ეტაპს შეიცავს. 1875 — 1883 წლებში პლეხანოვი ნაროდნიკი იყო, 1883 — 1903 წლებში — მარქსისტი, ხოლო 1903 — 1918 წლებში — მენშევიზმის თეორეტიკოსი, მისი მამამთავარი. 1918 წლის 30 მაისს, 62 წლის ასაკში, პლეხანოვი გარდაიცვალა.

პლეხანოვის პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებები ჩამოყალიბდა 1861 წლის რეფორმისშემდგომ პერიოდში. მაშინ რგი სავსებით იზიარებდა ანარქისტ ბაკუნინისა და სუ-

ბიექტური სოციოლოგიის რუსული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ლავროვის შეხედულებებს.

70-იან წლებში, და 80-იანი წლების დასაწყისშიაც კი, პლეხანოვი იდეალიზმისა და პოზიტივიზმის პოზიციებიდან ხსნიდა მატერიალური სამყაროსა და კაცობრიობის ისტორიის მოვლენებს და ხოტბას ასხამდა რუსულ თემს, როგორც სოციალიზმში გადასვლის უებარ საშუალებას.

„ზემლია ი ვოლიას“ მესამე ნომრის მოწინავე სტატიაში, 1879 წლის იანვარში, პლეხანოვი წერდა, რომ „ისტორია სრულებითაც არ არის ერთფეროვანი მექანიკური პროცესი, რომ კაპიტალიზმი სოციალიზმის აუცილებელი წინამორბედი იყო მხოლოდ დასავლეთში, სადაც სამიწათმოქმედო თემი ჯერ კიდევ საშუალოსაუკუნოებრივ ფეოდალიზმთან ბრძოლაში დაიშალა; რომ ჩვენში,—სადაც ეს თემი შეადგენს ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს ჩვენი გლეხობის დამოკიდებულებაში მიწისადმი,— სოციალიზმის გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნას სულ სხვა გზით; მიწის კოლექტიური მფლობელობა შეიძლება გახდეს გამოსავალი პუნქტი ხალხის ეკონომიური ცხოვრების ყველა მხარის ორგანიზაციისათვის სოციალისტურ საფუძველზე“[1].

რუსეთის მატერიალისტური ფილოსოფიის, კერძოდ, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის ფილოსოფიურ შეხედულებათა გავლენა პლეხანოვზე მოგვიანებით გამოვლინდა.

პლეხანოვამდე რუსეთში მარქსისტები არ ყოფილან. პროგრესული მოღვაწეები და ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა პირველ ეტაპზე რუსეთში მარქსიზმის იდეების შემოჭრა, რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებზე არ იდგნენ. მარქსიზმის იდეების ფართოდ გავრცელებისა და მარქსისტული ორგანიზაციების შექმნისათვის აუცილებელი იყო რუსეთში კაპიტალიზმისა და მუშათა მოძრაობის უფრო მაღალი განვითარება და ამით მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების პირობების შექმნა.

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, გვ. 113, თბილისი, 1940.

რუსეთის ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები 40-იან წლებში იცნობდნენ მარქსის ზოგიერთ ნაწარმოებს. მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებთან უკვე ამ წლებში მიმოწერა ჰქონდათ მოწინავე რუს საზოგადოებრივ მოღვაწეებს. პ. ანენკოვმა მარქსთან მიმოწერაში (1846 — 47 წლები) დააყენა საკითხი პრუდონის შესახებ, რომელსაც მაშინ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილში დიდი გავლენა ჰქონდა. მარქსმა მკაცრად გააკრიტიკა პრუდონის მცდარი შეხედულებები. მარქსისა და ენგელსის შრომებს კითხულობდნენ და ეცნობოდნენ ბელინსკის, გერცენის, პეტრაშევსკის წრეებში.

საზონოვის წერილი მარქსისადმი ადასტურებს ღრმა პატივისცემას, რომლითაც სარგებლობდა მარქსი 60-იანი წლების რუსეთის საზოგადოების მოწინავე წრეებში. საზონოვი მარქსს სწერდა: „ყველა სერიოზული, ყველა კეთილსინდისიერი ადამიანი თქვენს მსარეზეა... მათ სურთ შესაძლებლობა ჰქონდეთ მალე შეუდგნენ თქვენი მშვენიერი ნაწარმოების გაგრძელების შესწავლას. თქვენ უდიდესი წარმატებით სარგებლობთ მოაზროვნე ადამიანთა შორის, და თუ თქვენთვის სასიამოვნოა გაიგოთ, როგორ გავრცელებას პოულობს რუსეთში. თქვენი მოძღვრება, მე შემიძლია გაცნობოთ, რომ ამ წლის დასაწყისში პროფესორმა (მხედველობაში ყავს პროფესორი ი. კ. ბაბსტი. გ. ს.) მოსკოვში წაიკითხა პოლიტიკური ეკონომიის საჯარო კურსი, რომლის პირველი ლექცია სხვას არაფერს წარმოადგენდა, თუ არა თქვენი უკანასკნელი შრომის გადმოცემას“[1].

რევოლუციური ახალგაზრდობა კითხულობდა მარქსისა და ენგელსის შრომებს: „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. მას შემდეგ, რაც ჰილდებრანტმა გაილაშქრა ენგელსის შრომის წინააღმდეგ „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ და დაიწყო „მტკიცება“—მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში კი არ უარეს-

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, 1951, стр. 30—31.

დება, პირიქით, დღითიდღე უმჯობესდებაო, ნ. ვ. შჩელგუ-ნოვმა 1861 წელს „სოვრემენნიკში“ დაბეჭდა სტატია, რომელიც მოკლედ გადმოსცემდა ენგელსის ამ ცნობილი შრომის შინაარსს. შჩელგუნოვის ამ სტატიამ მოწინავე მუშათა წრეებში დიდი მოწონება დაიმსახურა. ეს ნათლად ჩანს მუშების შემდეგი წერილიდან სტატიის ავტორისადმი: „ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენ, რუს მუშებს, დასავლეთ ევროპის მუშების მსგავსად არ შეგვიძლია იმედს ვამყარებდეთ რაიმე გარეშე დახმარებაზე..., რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი მდგომარეობა და მივაღწიოთ თავისუფლებას. მუშები, რომელთაც ეს შეიგნეს, დაუღალავად იბრძოლებენ უკეთესი პირობებისათვის. თქვენ შეასრულეთ თქვენი ამოცანა,— თქვენ გვიჩვენეთ, თუ როგორ უნდა წარვმართოთ ბრძოლა“ [1].

მოსკოვისა და პეტერბურგის გაზეთებში მარქსი და ენგელსი ხშირად იხსენიებოდნენ. 60-იანი წლების ჟურნალ-გაზეთების მკითხველებმა იცოდნენ ამ დიდ მოაზროვნეთა სახელები, რამდენადაც ეს პრესა კომენტარებს უკეთებდა მათ შრომებს. „რუსსკოე სლოვოში“ 1865 წელს დაიბეჭდა ტკაჩოვის სტატია მარქსის შრომაზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (ავტორის კომენტარები ამ შრომაზე, ცხადია, სავსებით შეესაბამებოდა ნაროდნიკულ თვალსაზრისს).

I ინტერნაციონალის რუსული სექცია საზღვარგარეთ სცემდა ჟურნალ „ნაროდნოე დელოს“, რომელიც რუს მკითხველს აცნობდა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა იდეებს. მარქსისა და ენგელსის სახელს ხშირად იხსენიებდა ისეთი რეაქციული გაზეთიც კი, როგორიც იყო „მოსკოვსკიე ვედომოსტი“.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ რუსულ ენაზე თარგმნა ბაკუნინმა გასული საუკუნის 60-იანი წლების შუახანებში. „მანიფესტის“ ეს რუსული თარგმანი „კოლოკოლის“ სტამბაში დაიბეჭდა. თარგმანში მთელი რიგი ადგილები დამახინჯებული და გაყალბებული იყო. ეს გამოცემა ფართოდ არ გავრცელებულა, მაგრამ მოწინავე მუშები მისი სა-

[1] „Былое“, № 12, 1906, стр. 120.

ზუალებით ეცნობოდნენ კომუნიზმის ამ ძირითად პროგრამულ დოკუმენტს.

მარქსის სახელი რუსეთში განსაკუთრებით ცნობილი გახადა „კაპიტალის“ რუსულმა თარგმანმა. სტატიები „კაპიტალის“ შესახებ ჯერ კიდევ მის თარგმნამდე იბეჭდებოდა რუსულ პრესაში. ფართოდ გამოეხმაურა რუსული პრესა „კაპიტალის“ გერმანულ გამოცემას.

ჯერ კიდევ რუსულ ენაზე გამოცემამდე „კაპიტალს“ დადებითი შეფასება მისცეს ჟურნალებმა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ და „არხივ სუდებნოი მედიცინი ი ობშჩესტვენნოი გიგიენი“.

ზიბერის დისერტაცია „დავიდ რიკარდო და კარლ მარქსი მათ საზოგადოებრივ-ეკონომიურ გამოკვლევებში“, რომელშიც ავტორი გადმოცემდა მარქსის ეკონომიური მოძღვრების ძირითად დებულებებს, აგრეთვე „კაპიტალის“ რუსულად თარგმნამდე დაიბეჭდა.

აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი „კაპიტალის“ რუსული თარგმანის ისტორიიდან. 1868 წლის 18 (30) სექტემბერს დანიელსონი მარქსს სწერდა, რომ მისი უკანასკნელი შრომის „კაპიტალის“ მნიშვნელობამ გადააწყვეტინა ერთ-ერთ რუს გამომცემელს ნ. პ. პოლიაკოვს ხელი მოეკიდნა ამ შრომის რუსული გამოცემისათვის. დანიელსონი მარქსს აცნობებდა, რომ, სასურველია, პირველ ტომთან ერთდროულად მეორე ტომის გამოცემაც, და გამომცემელ პოლიაკოვის რწმუნებით თხოვდა, თუ შესაძლებლად სცნობდა, გაეგზავნა მისთვის ნაწილ-ნაწილ მეორე ტომის ფორმები[1].

მარქსი და ენგელსი დიდად გაახარა რუსების ამ განზრახვამ. 1868 წლის 7 ოქტომბერს მარქსი დანიელსონს აცნობებდა, არ დალოდებოდნენ მეორე ტომს და შედგომოდნენ I ტომის თარგმნასა და გამოცემას, რადგან იგი „დასრულებული მთლიან ნაწარმოებს წარმოადგენს“.

როგორც ცნობილია, ბაკუნინმა თარგმნა „კაპიტალის“ რამ-

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, 1951, стр. 67.

ლენინე გეერდი. მაგრამ ბაკუნინს თარგმანი არ გამოუვიდა და „კაპიტალის“ გამოცემისას იგი გამოყენებული არ ყოფილა. „კაპიტალის“ მეორე მთარგმნელი იყო გ. ა. ლოპატინი. საზღვარგარეთ ყოფნისას, 1870 წელს, მან თარგმნა ამ შრომის რამდენიმე თავი და იმავე წელს დაბრუნდა რუსეთში, რათა მოეწყო ჩერნიშევსკის გამოპარვა გადასახლებიდან. ეს გეგმა ჩაიშალა და ლოპატინი დააპატიმრეს. საბოლოოდ „კაპიტალის“ თარგმნა განახორციელა ნ. დანიელსონმა.

მოსალოდნელ გაყალბებათა თავიდან აცილების მიზნით ენგელსი პირადად სინჯავდა თარგმანის მთელ კორექტურას.

რუსეთი იყო ის ქვეყანა, სადაც „კაპიტალი“ პირველად ითარგმნა და გამოიცა. ამ გამოცემასთან დაკავშირებით ცენზორი სკურატოვი მთავრობას არწმუნებდა — ეს წიგნი საშიშროებას არაფერს წარმოადგენს, რადგან „კაპიტალს“ რუსეთში ბევრი ვერავინ წაიკითხავს, ხოლო იმათგან, ვინც წაიკითხავს, ძალიან ცოტა გაიგებს მასო.

ცენზურამ დაუშვა „კაპიტალის“ რუსული თარგმანის გავრცელება იმ იმედით, რომ მას რუსი მკითხველი ვერ გაიგებდა. მეფის ცენზურამ კი თვითონ ვერ გაიგო მარქსის ამ შრომის ღრმა რევოლუციური აზრი. ამის წყალობით რუსმა საზოგადოებრიობამ 1872 წლის 27 მარტს მიიღო მშობლიურ ენაზე კ. მარქსის ეს უდიდესი ნაწარმოები.

70-იან წლებში მარქსისა და ენგელსის შრომებს რუსეთში კითხულობდნენ არა მარტო ინტელიგენციის დემოკრატიული ფენების წარმომადგენლები, არამედ მოწინავე მუშებიც. „კაპიტალის“ ძირითადი დებულებები ნაროდნიკებს რუსეთისათვის მიუღებლად მიაჩნდათ, მაგრამ იმის გამო, რომ მოწინავე მუშების მოთხოვნილება მარქსისა და ენგელსის შრომებზე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ისინი იძულებული იყვნენ გაეცნოთ მუშებისათვის მოძღვრება მეცნიერული სოციალიზმის შესახებ.

მაგალითად, ჩაიკოვსკელთა წრეში, სადაც მუშებიც შედიოდნენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, - განიხილავდნენ და სწავლობდნენ „კაპიტალს“. ცხადია, ეს ხელს უწყობდა მეც-

ნიერული სოციალიზმის ფუძემდებლის სახელის პოპულარიზაციას რუსეთში.

80-იანი წლების დასაწყისში მარქსისა და ენგელსის შრომებს რუსეთში ავრცელებდა „მთარგმნელთა და გამომცემელთა საზოგადოება“, რომელიც მოსკოვის მოწინავე სტუდენტებმა დააარსეს 1882 წელს. „საზოგადოებამ“ თავისი მოღვაწეობა შესწყვიტა 1884 წ. მან თარგმნა და გამოსცა მარქსის შრომები „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“, „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“; ენგელსის შრომები „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „ანტი-დიურინგის“ შემოკლებული ტექსტი. აღნიშნული საზოგადოება სცემდა აგრეთვე ლასალისა და ლავროვის შრომებს. საზოგადოების ერთ-ერთ წევრს ე. პაპრიცს მიმოწერაც ჰქონდა ფ. ენგელსთან.

ამგვარად, დაინტერესებულ რუს მკითხველს 70-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე შეეძლო თავის მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა ძირითად შრომებს.

მარქსისტული თეორიის არსებობა პლეხანოვმა პირველად შეიტყო ცნობილი ნაროდნიკის მ. ა. ნატანსონის წრეში (ჩაიკოვსკელთა წრე), რის შემდეგაც იგი დიდი ინტერესით ეცნობოდა ყველაფერს, რაც კი რუსეთში მარქსიზმის შესახებ იბეჭდებოდა. პლეხანოვი შეუდგა „კაპიტალის“ კითხვას, გაეცნო ზიბერის დისერტაციას „დავით რიკარდო და კარლ მარქსი მათ საზოგადოებრივ-ეკონომიურ გამოკვლევებში“, შჩელგუნოვის სტატიას ფ. ენგელსის შრომის შესახებ „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, ტკაჩოვის კომენტარებს მარქსის შრომაზე „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „კაპიტალის“ ზოგიერთი თავის ანალიზისადმი მიძღვნილ პოკროვსკის შრომას, კაუფმანის რეცენზიას „კაპიტალის“ შესახებ და სხვ.

უკვე ამ პერიოდში პლეხანოვისათვის აშკარა გახდა, რომ მარქსიზმი ძირშივე ეწინააღმდეგება ბაკუნინის, ლავროვის და ნაროდნიკობის სხვა იდეოლოგების თეორიებსა და შეხედულებებს.

1879 წელს ნაროდნიკების ვორონეჟის ყრილობაზე საზოგადოება „ზემლია ი ვოლია“ გაიყო ორ პარტიად. ყრილობაზე პლეხანოვი „ნაროდნაია ვოლიას“ თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოდიოდა, რევოლუციური პარტიის ტაქტიკის ტერორზე დამყარებას უარყოფდა და „ხალხში“ საგიტაციო მოღვაწეობის გამოცოცხლებას მოითხოვდა. პლეხანოვი აცხადებდა, რომ რევოლუციური პარტიის ტაქტიკის ხანჯლის წვერზე დამყარება შეცდომაა და რომ „ნაროდნაია ვოლიას“ თვალსაზრისზე დადგომა რევოლუციის ღალატს ნიშნავს.

ვორონეჟიდან პლეხანოვი კიევს ვაემგზავრა; აქ გაიგო, რომ საზღვარგარეთიდან პეტერბურგში ჩამოვიდნენ ვ. ზასულიჩი, ლ. დეიჩი, ლ. სტეფანოვიჩი. ვორონეჟის ყრილობაზე მათ შესახებ აღინიშნა, რომ „მთავრობის დეზორგანიზაციის“ ეს ყველაზე აშკარა მომხრეებიც კი მუშაობის ძველ საგიტაციო საშუალებებს იზიარებენ. პლეხანოვი პეტერბურგს ჩავიდა, ზემოაღნიშნულ საზოგადო მოღვაწეებს შეხვდა და დარწმუნდა, რომ ისინი მას ეთანხმებოდნენ რევოლუციური თეორიისა და პრაქტიკის ყველა საკითხში. პლეხანოვმა გაიგო ისიც, რომ ბევრმა მათგანმა, ვინც ვორონეჟის ყრილობაზე ტერორის აშკარა დამცველი იყო, ახლა შეცდომად აღიარა თავისი ეს თვალსაზრისი. ამის შემდეგ დაიწყეს პლეხანოვმა და მისმა თანამოაზრეებმა ცალკე ფრაქციად გამოსვლისათვის მზადება.

წარმოიშვა გაზეთ „ჩორნი პერედელის“ გამოცემის აზრი. რომლის მიხედვითაც ეწოდა ამ ჯგუფს „ჩერნოპერედელცების“ ჯგუფი. იდეური მიმართულებით იგი თანმიმდევარ ნაროდნიკულ ჯგუფს წარმოადგენდა.

ტერორის მომხრენი მაშინდელ პოლიტიკურ პირობებში უაზრობად თვლიდნენ გლეხობაში მუშაობას. პლეხანოვს, აქსელროდს, ზასულიჩს, დეიჩს და სტეფანოვიჩს კი, როგორც ვთქვით, სურდათ გამოეცოცხლებინათ საგიტაციო მოღვაწეობა „ხალხში“. პოლიციამ მათ ღევნა დაუწყო. რამდენიმე ხანს არალეგალურ პირობებში ცხოვრების შემდეგ პლეხანოვმა ვადასწყვიტა წასულიყო საზღვარგარეთ და იქ დალოდებოდა რუსეთში მოღვაწეობისათვის ხელსაყრელ მომენტს.

1880 წლის დასაწყისში პლეხანოვი, დეიჩი და სტეფანოვიჩი საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. რამდენიმე თვის შემდეგ ისინი ჩავიდნენ ჟენევაში, სადაც მაშინ ბლომად იყვნენ ახალგაზრდა რუსი. რევოლუციონერები.

პლეხანოვმა და მისმა თანამოაზრეებმა ბეჯითად მოკიდეს ხელი მარქსისტულ ლიტერატურას. მასში მათ სურდათ ენახათ თავიანთ ნაროდნიკულ მისწრაფებათა თეორიული დასაბუთება.

გამოვიდა პირიქით. რაც უფრო ღრმად ეცნობოდნენ ისინი მეცნიერული სოციალიზმის თეორიებს, მით უფრო მეტად ეპარებოდათ ეჭვი ნაროდნიკების როგორც თეორიული შეხედულებების, ისე პრაქტიკული საქმიანობის სისწორეში.

ემიგრაციაში პლეხანოვი გაეცნო დასავლეთ ევროპის მუშათა მოძრაობას, ახლო ურთიერთობა დაამყარა სოციალ-დემოკრატიის ბელადებთან, გაეცნო მარქსიზმს, გაწყვიტა კავშირი ნაროდნიკობასთან და მარქსიზმის გამოჩენილი პროპაგანდისტი გახდა.

პლეხანოვის ნაროდნიკულ შეხედულებათა მარქსისტული შეხედულებებით შეცვლის საქმეში დიდი როლი ითამაშა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“, რომელიც პლეხანოვმა რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა 1882 წელს.

„მანიფესტის“ კითხვამ ეპოქა შექმნა ჩემს ცხოვრებაში.— წერდა პლეხანოვი,— მე შთაგონებული ვიყავი „მანიფესტით“ და გადავწყვიტე მეთარგმნა იგი რუსულ ენაზე“[1].

პლეხანოვმა ენერგიულად მოკიდა ხელი მარქსიზმის შესწავლას. 80 — 90-იანი წლები მისი უაღრესად ინტენსიური და თავდადებული ლიტერატურულ-პროპაგანდისტული და საგიტაციო მოღვაწეობის წლებია *.

---

[1] Г. В. Плеханов, соч., т. 24, стр. 178 — 179.

* რუსეთში რამდენიმე წლის მანძილზე არალეგალურ პირობებში ცხოვრებამ პლეხანოვის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეარყია. გარდა ამისა, ემიგრაციაში, განსაკუთრებით პირველ წლებში, მას ცხოვრება უხდებოდა ეკონომიურად მძიმე პირობებში. მიუხედავად ამისა, პლეხანოვი

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შრომების შესწავლის და დას ვლეთ ევროპისა და რუსეთის მუშათა-რევოლუციური მოძრაობის გა ოცდილების გაცნობის შედეგად ნაროდნიკული თვალსაზრისის უსუსურობაში დარწმუნებული პლეხანოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რევოლუციური მოძრაობის გამოყვანა იმ ჩიხიდან, რომელშიაც იგი ნაროდნიკობამ მოაქცია, შეს ძლებელია მხოლოდ მარქსიზმის დროშით.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრები ჯგუფის შექმნამდე გაცხოველებულ პროპაგანდას ეწეოდნენ იმისათვის, რომ მოეხდინათ რუსეთის რევოლუციურ მიმდინარეობათა გაერთიანება „ნაროდნაია ვოლიას" პარტიასთან.

1882 წელს, როცა „ნაროდნაია ვოლიას" პარტია უკვე დასუსტებული იყო და რევოლუციურ წრეებში თავის გავლენას სულ უფრო და უფრო კარგავდა, ჟენევაში ჩ ვიდა ამ პარტიის გამოჩენილი მოღვაწე ლ. ტიხომიროვი. პლეხანოვმა დაიწყო მასთან მოლაპარაკება. ტიხომიროვი, პლეხანოვისათვის სრულიად მოულოდნელად, „ნაროდნაია ვოლიას" პარტიის პოზიციებთან შეუფერებელ მთელ რიგ დათმობებზე წავიდა. იგი თითქოს იზიარებდა პლეხანოვის სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს; მხოლოდ ურჩევდა მას, ჯერ მოემზადებინათ რუსი მკითხველი სოციალ-დემოკ ტიული თვალსაზრისის ათვ ებლად და ამის შემდეგ მიეცათ მისთვის სოციალ-

---

გასაოცარ შრომის უნარს იჩენდა. მწვავე ტუბერკულოზით დაავადებული, იგი მაღალი ტემპერატურის დროსაც მუშაობას არ სწყვეტდა. მისი პოინციპი იყო: „მუშაობა მუდამ, ყოველგვარი პირობებისა და ტემპერატურის დროს. მხოლოდ სიკვდილი გვაძლევს დასვენების უფლებას". პლეხანოვს უყვარდა გახსენება — მოვკვდები და დავისვენებ, — ამბობდა მამაჩემი ვალენტინ პეტრეს-ძეო. ახლობლების გადმოცემით, პლეხანოვს ჰქონდა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შეფარდებული მუშაობის განრიგი. მისი აზრით, 40 გრადუსი ტემპერატურის დროს სამუშაო უნდა ეკეთ ლიყო მსუბუქი, რომ ტვინი არ დაეღალა (ეთნოგრაფია, ფერწერა, მ ს კი ისტორია), შესაძლებლად თვლიდა ბელეტრისტი-კლასიკოსების კითხვ ს ან გადაკითხვას; 39-39,5 გრადუსი ტემპერატურის დროს შესაძლებლად მიაჩნდა რთულ საკითხებზე — ისტორიულ, კრიტიკულ და სხვა სტატიებზე მუშაობა. ხოლო 38 გრადუსი ტემპერატურის პირობებში კი ასრულებდა ყველაზე ძნელ სამუშაოებს (პროპაგანდა. აგიტაცია და სხვ.).

გ. ვ. პლეხანოვი

ვ ი ზასულიჩი

პ. გ. აქსელროდი

ვ. ი. ი ტო ი

ლ. გ დეიჩი

დემოკრატიული პროგრამა. პლეხანოვმა და მისმა თანამოაზ-
რეებმა ტიხომიროვთან ერთად გადასწყვიტეს — თავიანთი
ორგანო გამოეცხადებინათ სოციალ-დემოკრატიულ ჟურნა-
ლად მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი გაფანტავდა მკითხველთა
ანარქისტულ ცრუ რწმენებს.

მაგრამ ტიხომიროვი სრულიად შეიცვალა მას შემდეგ, რაც
იგი შეხვდა რუსეთიდან სპეციალური დავალებით მასთან
გაგზავნილ ნაროდოვოლცელ დეგაევს და გაიგო, რომ
„ახალგაზრდა ამხანაგები რუსეთში" ძალზე უკმაყოფილონი
არიან პლეხანოვთან ტიხომიროვის დაახლოებით.

ჩერნოპერედელცები მოითხოვდნენ „ნაროდნაია ვოლიას"
რიგებში შესვლას დამოუკიდებელ ჯგუფად, რომ შემდეგ გაე-
შალათ ბრძოლა პარტიის შიგნით ნაროდოვოლცური თეო-
რიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ.

ტიხომიროვი ჯერ შესაძლებლად თვლიდა პარტიაში
ჩერნოპერედელცების მთელ ჯგუფად მიღებას, შემდეგ კი
მოითხოვა პარტიაში მათი მიღება პერსონალურად, შერჩევით.

ამის შემდეგ პლეხანოვმა ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა
„ვესტნიკ ნაროდნოი ვოლის" რედაქციასთან და 1883 წლის
სექტემბერში ჩამოაყალიბა „შრომის განთავისუფლების" ჯგუ-
ფი. მასში შევიდნენ გ. პლეხანოვი, ვ. ზასულიჩი, პ. აქსელრო-
დი, ვ. იგნატოვი და ლ. დეიჩი.

ახალი ჯგუფის ჩამოყალიბება მაშინვე შეიტყო მეფის
პოლიციამ.

პოლიტიკური საქმეების გამო მაშინდელ „უმნიშვნელოვა-
ნეს გამოკვლევათა მიმოხილვაში" ვკითხულობთ:

„რუსეთიდან წასულ და შვეიცარიაში მცხოვრებ პირთა
შორის უთანხმოების მეორე საბაბი გახდა 1883 წლის სექტემ-
ბერში გამოსული პირველი გამოცემა ახალი რევოლუციური
ჟურნალისა „ვესტნიკ ნაროდნოი ვოლი". ამ გამოცემის პრო-
გრამაში მისმა რედაქტორებმა ლევ ტიხომიროვმა და პეტრე
ლავროვმა ეს ჟურნალი გამოაცხადეს ორგანოდ, რომელმაც
უნდა გააერთიანოს სოციალურ-რევოლუციური თანასაზოგა-
დოების ყველა ჯგუფი და ყველა ნაკადი. ამავე დროს მისი პირ-
ველი წიგნი შედგენილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ნაროდო-

ოლცერი სულისკვეთებით. ამ ეკანასკნელი მიმართულების მთავარმა წარმომადგენელმა ემიგრაციაში ტიხომიროვმა უარიც კი თქვა მოეთავსებინა „ვესტნიკში“ პლეხანოვის სტატია „სოციალიზმის ამოცანების შესახებ“, თანაც თავს იმართლებდა იმით, რომ პირველი გამოშვებისათვის უკვე აწყობილი იყო ლავროვის სტატია, რომელიც იმავე საკითხს ეხებოდა, მაგრამ სულ სხვა დასკვნებს შეიცავდა.

ამ უარით შეურაცხყოფილმა პლეხანოვმა გადასწყვიტა ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა „ვესტნიკ ნაროდნოი ვოლის“ სარედაქციო წრესთან და ჩამოეცილებინა მისგან თავისი ძველი ამხანაგები, სოციალისტი-ნაროდნიკები: აქსელროდი, დეიჩი და ვერა ზასულიჩი. რუსეთიდან წასულმა აღნიშნულმა პირებმა გადაწყვიტეს დამოუკიდებელი სოციალისტური ჯგუფის დაარსება „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის სახელწოდებით.

ამ ჯგუფმა უკვე გამოაქვეყნა თავისი პროგრამა. მას საფუძვლად დაედო ყოფილი „ჩორნი პერედელის“ რამდენადმე სახეშეცვლილი დებულებები, ხოლო ჯგუფის მიზნად გამოცხადებული იყო მშვიდობიანი პროპაგანდა მუშათა შორის და აგრეთვე იმ „რევოლუციური წრეების კრიტიკა, რომლებიც იმდენად გაიტაცა პოლიტიკამ, რომ სოციალიზმის საარსებო ამოცანები დაივიწყეს“. ასეთ წრეებად, ალბათ, „ნაროდოვოლცურ“ წრეებს გულისხმობდნენ.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა გამართა თავისი სტამბა და დააარსა ორგანო, რომელსაც „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკა“ უწოდა. ოქტომბრის დამლევს უკვე გამოვიდა პირველი ბროშურა. იგი შეიცავდა პლეხანოვის ზემოაღნიშნულ სტატიას, რომელიც „ვესტნიკ ნაროდნოი ვოლისათვის“ იყო განკუთვნილი, სათაურით „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“. ამას მოჰყვა მეორე — ვერა ზასულიჩის მიერ შესრულებული თარგმანი ენგელსის წიგნისა „მეცნიერული სოციალიზმის განვითარება“. დასაბეჭდად დამზადდა მუშების საკითხავად განკუთვნილი კიდევ რამდენიმე გამოცემა — პლეხანოვის „სოციალური საკითხი და ანტისემიტუ-

რი მოძრაობა“ და „რა არის სოციალიზმი“ და აქსელროდის „რა სურთ სოციალ-დემოკრატებს“.

ტიხომიროვი და მისი მომხრეები მეტად უკმაყოფილონი არიან მათგან ასეთი მნიშვნელოვანი ჯგუფის ჩამოცილებით და ყოველნაირად ცდილობენ „გააშავონ იგი სანამ ძალას მოიკრებდეს“[1].

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი პოლიტიკური საქმეების გამო უმნიშვნელოვანეს მოკვლევათა სხვა მიმართვაშიც იხსენიება.

„1884 წლის მანძილზე რუსი რევოლუციონერების მდგომარეობაში საზღვარგარეთ და ურთიერთშორის მათ დამოკიდებულებაში არავითარი განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა. ნაროდოვოლცები წინანდებურად ლავროვისა და ტიხომიროვის გარშემო არიან დაჯგუფებული: „შრომის განთავისუფლების საზოგადოება“. პლეხანოვის მეთაურობით, აწარმოებს თავის აგიტაციას ქენევაში, სადაც აგრეთვე იცემა დროგომანოვის „ობშჩეე დელო“. დროგომანოვს განზრახული აქვს მიიმხროს რუსეთში მყოფი „უკრაინოფილები“ და ამუშავებს ახალი ფრაქციის „ვოლნი სოიუზის“ პროგრამას ისეთი პრინციპებით, რომელიც გამორიცხავს ტერორს, აღიარებს რა მას რევოლუციის ინტერესებისათვის მავნე მოვლენად. თავის მხრით ტიხომიროვიც, როგორც ჩანს წერილიდან, რომელიც მას 1884 წლის 4 აგვისტოს ლოპატინისათვის მიუწერია, ეპარებს უკრაინოფილებთან დაახლოებას იმ გზით, რომ მონაწილეობა მიაღებინოს მათ „ვესტნიკ ნაროდნოი ვოლის“ გამოცემაში, რისთვისაც მათ მიმართ „ზოგიერთი დათმობის“ დაშვებასაც კი ფიქრობს, რათა შემდგომ საბოლოოდ დაარწმუნოს ისინი — მიემხრონ ნაროდოვოლცურ ჯგუფს“[2].

ამგვარად, რუსეთის პოლიციის საზღვარგარეთულმა აგენტურამ მოახდინა რუს რევოლუციონერ-ემიგრანტთა შორის შექმნილი ახალი ჯგუფის წარმოშობის ფაქტის რეგის-

---

[1] В. Быстрянский, Материалы о группе „Освобождение труда“, Красная летопись, № 8, 1923 г.

[2] იქვე.

ტრაცია, მაგრამ აგენტურამ ვერ შენიშნა ის ახალი და არსებითი, რაც ამ ჯგუფს განასხვავებდა რუსეთის სხვა რევოლუციური ფრაქციებისაგან, ვერ შენიშნა, რომ ახალმა ჯგუფმა მარქსიზმი გამოაცხადა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პროგრამისა და ტაქტიკის საფუძვლად.

ნაროდნიკები შეაშფოთა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნამ და მისმა პირველმა ნაბიჯებმა.

პ. ლავროვმა პლეხანოვის ბროშურის „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ გამოსვლასთან დაკავშირებით საჭიროდ ჩათვალა თავისი სიტყვა ეთქვა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წინააღმდეგ და ნაროდოვოლცების პოზიციის დასაცავად. როგორც პლეხანოვი აღნიშნავდა, რუსეთის ყველა ელფერისა და მიმართულების რევოლუციური ახალგაზრდობა ყურადღებით ისმენდა ლავროვის აზრებს.

თავის მცირე. ორგვერდნახევრიან შენიშვნაში ლავროვი დაასკვნიდა, რომ ახალი ჯგუფისათვის „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიასთან პოლემიკა უფრო დროული და აქტუალურია, ვიდრე რუსეთის მთავრობასთან და რუსი ხალხის სხვა ექსპლოატატორებთან ბრძოლა.

პლეხანოვი კვალდაკვალ გაჰყვა ლავროვის მიერ ახალი ჯგუფის მიმართ წაყენებულ ამ ბრალდებას და ლავროვისადმი მიმართულ წერილში, რომელიც მან წინასიტყვაობის მაგიერ წარუმძღვარა თავის შრომას „ჩვენი უთანხმოებანი“, განმარტა, რომ მისი კრიტიკა არ შეეხება რუსული მოძრაობის მარტო ნაროდოვოლცურ პერიოდს, რომ აქ იგი აკრიტიკებს ანარქისტებს, ბაკუნისტებს, ძველი მიმართულების ნაროდნიკებს, ნაროდოვოლცებს და, ბოლოს, იმ მარქსისტებს, რომელთაც არ ესმით პროლეტარიატის განთავისუფლების დიადი საქმისათვის პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობა.

ამის საფუძველზე პლეხანოვმა დააზუსტა „ბრალდება“, რომელიც ლავროვს უნდა წაეყენებინა მისთვის, თუკი ეს უკანასკნელი სათანადოდ გაიგებდა „სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის“ აზრს: „მაშინ ცხადი იქნებოდა,— ამბობდა პლეხანოვი. — რომ მე ბრალი მიმიძღვის იმ რევოლუციურ შეხედულებათა გავრცელებაში, რომლებსაც ვიზიარებ, და პი-

ლემიკაში იმ შეხედულებათა წინააღმდეგ. რომლებიც მცდარი მეჩვენება"[1].

ნაროდნიკები იბრძოდნენ მარქსიზმის წინააღმდეგ შედარებით იოლი გზითაც. ისინი არაფერს არ ერიდებოდნენ ოღონდ კი როგორმე შეეშალათ ხელი მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელებისათვის რუსეთში. ამ მხრივ დამახასიათებელია ცნობილი ბაკუნისტის — ნიკოლოზ ივანეს-ძე ჟუკოვსკის პიროვნება.

ჟუკოვსკი 70-იანი წლების რუსულ რევოლუციურ ემიგრაციას ეკუთვნოდა. იგი „ობშჩინის" თანარედაქტორი იყო, მაგრამ მწერლობით სულაც არ იწუხებდა თავს*.

ლ. დეიჩის გადმოცემით, ჟუკოვსკის ჰქონდა შემთხვევა შეხვედროდა კარლ მარქსს, როცა ეს უკანასკნელი, ექიმების მოთხოვნით რივიერაში გაემგზავრა სამკურნალოდ. ჟუკოვსკი თავაზიანად მისალმებია მარქსს და მათ შორის საუბარი გამართულა. ჟუკოვსკის მიუმართავს მარქსისათვის:

— მასწავლებელო, ჩვენ თუმცა ბაკუნისტები ვართ, მაინც ყველანი ღრმად მადლიერნი გახლავართ თქვენი — „კაპიტალისათვის".

— თქვენ წაიკითხეთ იგი? — უკითხავს მარქსს.

— არა, მასწავლებელო.

მარქსს უკმაყოფილო გამომეტყველება მიუღია.

— ეს წიგნი არ შეიძლება წაიკითხო... — დაუმატებია ჟუკოვსკის.

მარქსი განცვიფრებულა.

— იგი უნდა შეისწავლო. — „განუმარტავს" ჟუკოვსკის.

ამის შემდეგ საუბარი კიდევ დიდხანს გაგრძელებულა.

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, თბილისი, 1940, გვ. 99.

* ლ. დეიჩი იგონებს, რომ ჟუკოვსკის თავის სიცოცხლეში (იგი 62 წლის ასაკში გარდაიცვალა) ათიოდე წიგნი თუ ექნებოდა წაკითხული. გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობა და კამათი მას აძლევდა საკმარის მასალას ყოველგვარ საკითხზე მსჯელობისათვის როგორც ვიწრო წრეში, ისე საჯაროდ.

მარქსთან ეს შეხვედრა იქცა ჟუკოვსკისათვის ილუსტრაციებისა და დასკვნების დაუშრეტელ წყაროდ.

რუს მარქსისტებთან ბრძოლაში ჟუკოვსკი ყოველთვის იმოწმებდა მარქსს, რომელმაც აღნიშნული შეხვედრისას თითქოს უთხრა, რომ რუსეთისათვის მისი იდეები მიუღებელია და რუს მარქსისტებს სწორად არ ესმით მისი მოძღვრება.

შეუძლებელი იყო ჟუკოვსკისთან ხმის ამოღება იმაზე, რაც მარქსიზმთან იყო დაკავშირებული, რომ მას არ ეთქვა: „მე მარქსმა ასე და ასე მითხრაო“.

ერთხელ, როცა ჟუკოვსკიმ განსაკუთრებული რიხით შესძახა —„მარქსმა ასე თქვაო“,— პლეხანოვმა შეაჩერა იგი:

— იცით, ნიკოლოზ ივანეს-ძევ, მარქსმა შემდეგ რა უთხრა თავის ახლობლებს თქვენთან საუბრის შესახებ?

— რა უთხრა? — ჰკითხა ჟუკოვსკიმ.

— რა და ის, რომ ჟუკოვსკის ვეხუმრე ჩემი რუსი მიმდევრების შესახებ, მას ეს სერიოზულად მიუღია და ახლა მთელ ქვეყანაზე ავრცელებს, როგორც ჩემს მიერ სერიოზულად გამოთქმულ აზრსო.

— ვის უთხრა მან ეს? — ჰკითხა პლეხანოვს შეშფოთებულმა ჟუკოვსკიმ.

— თავის სიძეს ლაფარგს. — დამშვიდებით უპასუხა პლეხანოვმა.

ამის შემდეგ ჟუკოვსკის აღარ გაუბედავს მარქსთან თავისი საუბრის გახსენება, რითაც მან დაჰკარგა ყველაზე „შეუვალი არგუმენტი“ რუსი მარქსისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პლეხანოვის გარშემო შექმნილმა მტრულმა ატმოსფერომ და ნაროდნიკების მესვეურთა ინტრიგებმა ვერ შეანელა რუსეთში მარქსიზმის იდეების გამარჯვებისათვის გაჩაღებული ენერგიული ბრძოლა.

* *
*

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა დიდი მუშაობა ჩაატარა რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისა და გამარჯვებისათვის.

ამ გზაზე მთავარი დაბრკოლება იყო მეცნიერული სოცია-

ლიზმისადმი მტრულად განწყობილი რეაქციული მიმდინარეობა — ნაროდნიკობა.

რას წარმოადგენდა იგი?

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ნაროდნიკობის დედაარსია მწარმოებელთა ინტერესების წარმომადგენლობა წვრილი მწარმოებლის, წვრილი ბურჟუას თვალსაზრისით, ხოლო ნაროდნიკობის „წყაროს" შეადგენს წვრილ მწარმოებელთა კლასის სიჭარბე რეფორმისშემდგომი დროის კაპიტალისტურ რუსეთში[1].

განსაზღვრავდა რა ნაროდნიკობის წარმოშობის დროს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „მისი ჩანასახი, დასაბამი, რა თქმა უნდა, იყო არა მარტო 60-იან წლებში, არამედ 40-იან წლებსა და ამაზე ადრეც კი"[2].

სოციალიზმის შესახებ ჩამორჩენილ მოძღვრებათა გავრცელება მარტო რუსეთისათვის როდია დამახასიათებელი. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მუშათა შორის კარგა ხანს იყო ფეხმოკიდებული წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ჩამორჩენილი თეორიები.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" წერდნენ: „ისეთ ქვეყნებში, როგორიც საფრანგეთია, სადაც გლეხობა მოსახლეობის ნახევარზე გაცილებით მეტს შეადგენს, ბუნებრივი იყო, რომ მწერლები, რომლებიც პროლეტარიატის მხარეს იჭერდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული წყობილების თავიანთ კრიტიკაში ამ წყობილებას წვრილბურჟუაზიული და წვრილგლეხური საზომით უდგებოდნენ და მუშებს წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით იცავდნენ. ამნაირად წარმოიშვა წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი. მაგრამ თავისი დადებითი შინაარსის მიხედვით ამ სოციალიზმს სურს აღადგინოს წარმოებისა და აღებმიცემის ძველი საშუალებანი და მათდან ერთად ძველი საკუთრების ურთიერთობა და ძველი საზოგადოება, ან მას სურს კვლავ ძალად ჩატენოს წარმოებისა და აღებმიცემის თანამედროვე საშუალებანი ძველი საკუთ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 474 — 475.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 641.

რების ურთიერთობის ჩარჩოებში, რომელიც მათ ააფეთქეს და აუცილებლად უნდა აეფეთქებინათ. ორსავე შემთხვევაში იგი რეაქციულიც არის და უტოპიურიც ერთსა და იმავე დროს"[1].

მარქსიზმმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა სოციალიზმის წვრილბურჟუაზიულ მოძღვრებებს და თანდათანობით შეზღუდა მათი გავლენა.

უტოპიური სოციალიზმის ჩამორჩენილმა თეორიამ რუსეთში შედარებით დიდხანს იბოგინა. საგლეხო რეფორმის შემდეგ რუსეთში შემორჩენილი ბატონყმობის უამრავი გადმონაშთი, რაც საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარებას ზღუდავდა, ფორმირების ადრეულ სტადიაში მყოფი პროლეტარიატის სისუსტე, წვრილი ბურჟუაზიის სიჭარბე, მშრომელთა მასობრივი სიღატაკე, რასაც ემატებოდა თვითმპყრობელობის მხრივ ხალხის საშინელი პოლიტიკური ჩაგვრა, იყო როგორც ამ მოვლენის, ისე რუსი სოციალისტ-უტოპისტების თეორიული ჩამორჩენილობის მიზეზი.

ნაროდნიკობის გამოჩენილი იდეოლოგები იყვნენ: მ. ა. ბაკუნინი, პ. ნ. ტკაჩოვი და პ. ლ. ლავროვი.

ანარქიზმის მამამთავარი რუსეთში — ბაკუნინი ქადაგებდა სოციალური რევოლუციის დაუყოვნებლივ მოხდენის საჭიროებას. მას სწამდა, რომ რუსეთი აცდებოდა კაპიტალისტური განვითარების სტადიას და თავის ხსნას იპოვიდა გლეხურ თემში, რომელიც, მისი აზრით, სოციალიზმის განხორციელებას თავისი განვითარების ბუნებრივი, მსვლელობით უზრუნველჰყოფდა. ბაკუნინს არ ესმოდა, რომ სოციალისტური რევოლუცია კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კლასთა ბრძოლის პროდუქტია. ამიტომ მას ხალხი სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად მუდამ გამზადებული ეგულებოდა.

ლავროვი მოითხოვდა გლეხობის ხანგრძლივ მზადებას და გლეხობაში რევოლუციური ახალგაზრდობის დიდი ხნით ჩა-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი. თბილისი, 1952, გვ. 73.

სახლებას იმისათვის, რომ მათ დამშვიდებით ეწარმოებინათ „სოციალური რევოლუციის“ იდეის პროპაგანდა.

ტკაჩოვმა შეიმუშავა კონსპირაციულ ორგანიზაციათა შეთქმულების გზით სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის თეორია. იგი აღიარებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების წარმატებას და აღშფოთებული იყო, რომ ეს მოვლენა განადგურებით ემუქრებოდა თემობრივ მყუდროებას. ტკაჩოვი მოუწოდებდა რევოლუციურ ინტელიგენციას დაუყოვნებლივ მოეწყოთ რევოლუციური შეთქმულება „ჰაერში გამოკიდებული“ მეფის ხელისუფლების დასამხობად. ამ განწყობილებას გამოხატავდა ტკაჩოვის ორგანოს „ნაბატის“ დევიზი: „ახლა, ან ძალიან გვიან, შეიძლება არასოდეს“. ლავროვისა და მისი თანამოაზრეების პროპაგანდა პროგრესის, რევოლუციონერთა სულიერი განვითარებისა და ხალხში ხანგრძლივი მუშაობის შესახებ ტკაჩოვს საქმის ნამდვილ ღალატად მიაჩნდა.

იმის რწმენა, რომ რევოლუციურ ინტელიგენციას შეუძლია გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს ხალხზე და ისტორიის ჩარხი თავისი სურვილისამებრ წაღმა თუ უკუღმა დაატრიალოს, ყველა ნაროდნიკული მიმდინარეობისათვის საერთოა. ინტელიგენციაზე ამყარებდნენ იმედს, როცა პროპაგანდისტები — გლეხობისათვის სოციალიზმის ჭეშმარიტებათა შეგნებინების აუცილებლობას, ბუნტარები — „საბრძოლო“ ორგანიზაციების შექმნას და „ნაბატის“ მომხრენი — რევოლუციონერთა მიერ ძალაუფლების დაუყოვნებლივ დაპყრობას მოითხოვდნენ.

შრომაში „ჩვენი უთანხმოებანი“ გ. ვ. პლეხანოვი წერდა: „...წინასოციალისტურმა ლიტერატურამ გვიანდერძა ...რამდენიმე სოციალისტური პროგრამა ...რომელთაგან ერთი გვირჩევდა სოციალისტურ პროპაგანდას, სთვლიდა რა, რომ რუსეთის გლეხობას ისევე შეეძლო პროპაგანდის შეთვისება, როგორც დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატს; მეორე — დაჟინებით მოითხოვდა საყოველთაო-სახალხო ბუნტის ორგანიზაციას, ხოლო მესამე, შესაძლებლად არ სთვლიდა რა არც პროპაგანდას, არც ორგანიზაციას, მიგვითითებდა რევოლუციური პარტიის მიერ ძალაუფლების დაპყრობაზე, როგორც რუსეთის სოციალისტური რევოლუციის გამოსავალ პუნქტზე.

რევოლუციური საკითხის თეორიული დაყენება არა ძარტო წინ არ წაწეულა ჩერნიშევსკის დროიდან, არამედ ბევრ რამეში დაიხია უკან, გერცენის ნახევრადსლავიანოფილური შეხედულებებისაკენ. რუსეთის სამოცდაათიანი წლების დასაწყისის რევოლუციურ ინტელიგენციას არ მიუმატებია არც ერთი სერიოზული არგუმენტი ჯერ კიდევ გერცენის მიერ დაყენებული საკითხის უარყოფითად გადაჭრის სასარგებლოდ. საკითხის.— „რუსეთმა უნდა განვლოს თუ არა ევროპული განვითარების ყველა ფაზა?"[1].

სტატიაში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?" ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ნაროდნიკობის ყველა ნაირსახეობისათვის საერთო ნიშნები. „ნაროდნიკობად ჩვენ მიგვაჩნია შეხედულებათა ის სისტემა, — წერდა ლენინი. ... - რომელიც შეიცავს შემდეგ სამ თვისებას: **1) კაპიტალიზმის აღიარება რუსეთში დაცემულობად, რეგრესად... 2) აღიარება საერთოდ რუსეთის ეკონომიური წყობის თვითმყოფობისა და კერძოდ გლეხის თვითმყოფობისა მისი თემით, არტელით და სხვ... 3) უგულებელყოფა ჩვენი ქვეყნის „ინტელიგენციისა" და იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირისა განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასთა მატერიალურ ინტერესებთან"**[2].

ამგვარად, ნაროდნიკობის პირველი დებულება — რუსეთისათვის კაპიტალიზმის რეგრესად მიჩნევაა. ყველა ნაროდნიკული მიმდინარეობა, მათი მრავალსახეობის მიუხედავად, უარყოფდა კაპიტალიზმის პროგრესულობას. მათ სურდათ წვრილი სასაქონლო მეურნეობის განვითარება კაპიტალიზმის გარეშე. კაპიტალიზმს რუსეთისთვის ისინი აცხადებდნენ „შემთხვევით" და ისეთ მოვლენად, რომელსაც განვითარება არ უწერია, და ამის მიხედვით ზედმეტად მიაჩნდათ ლაპარაკი რუსეთში პროლეტარიატის ზრდა-განვითარებაზეც.

გლეხურ თემს, არტელს, კუსტარულ სარეწს ნაროდნიკები აერთიანებდნენ „სახალხო წარმოების" ცნებაში, რაც მათ სა-

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი. თბილისი, 1940, გვ. 167.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 639.

საზოგადოების ეკონომიური ორგანიზაციის კაპიტალიზმზე უფრო სრულყოფილ ტიპად მიაჩნდათ.

რუსეთის ჩამორჩენილობისათვის ხოტბის შესხმა, ამ ჩამორჩენილობის ბედნიერებად გამოცხადება ერთნაირად დამახასიათებელია ყველა ნაროდნიკული მიმდინარეობისათვის. ნაროდნიკები აცხადებდნენ: ჩამორჩენილობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ შემოგვრჩა ისეთი ბედნიერება, როგორიცაა სასოფლო თემი — სოციალიზმის ეს საფუძველი რუსეთში. მიწის საერთო სარგებლობის წესს, რაც თემში არსებობდა, ნაროდნიკები რუსეთის სოციალისტური განვითარების ამოსავალ პუნქტად სახავდნენ.

ნაროდნიკული თვალსაზრისი სასოფლო თემის საშუალებით სოციალიზმში უშუალოდ გადასვლის შესაძლებლობის შესახებ რუსი განმანათლებლების უტოპიური შეხედულებებიდან მომდინარეობს.

თემი და ხალხის ყოფა-ცხოვრების თემთან დაკავშირებული თავისებურებები ა. ი. გერცენს მიაჩნდა ხიდად, რომლის საშუალებითაც რუსი ხალხი შეძლებდა სოციალიზმში გადასვლას.

„თემური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ მიმართულ ფილოსოფიურ წინარწმენათა კრიტიკაში“ გასული საუკუნის 50-იანი წლების დამლევს ჩერნიშევსკიც ამტკიცებდა, რომ თემურ მიწათმფლობელობას შეუძლია, განსაზღვრულ პირობებში, პირდაპირ გადავიდეს განვითარების კომუნისტურ ფორმაში.

სურდა რა მიწათმფლობელობის ამ ფორმის შენარჩუნება, ჩერნიშევსკი აცხადებდა: „დაე ნუ გავბედავთ ჩვენ შევეხოთ წმინდათა-წმინდა, მხსნელ ჩვეულებას, რაც დაგვიტოვა ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ, რომლის სიღარიბეს გადაჭარბებით ანაზღაურებს მარტო ეს ძვირფასი მემკვიდრეობა, — დაე ნუ გავბედავთ ჩვენ შევეხოთ მიწის თემურ სარგებლობას...

რუსეთის თემური წყობილება უაღრესად მნიშვნელოვანია რუსეთისათვის, განსაკუთრებით ამჟამად, სახელმწიფოებრივად. დასავლეთ-უვროპის ყველა სახელმწიფო დაავადებულია ერთი სენით, რომლის განკურნება დღემდე რჩება

გადაუჭრელ ამოცანად — ისინი დაავადებული არიან პაუ-პერიზმით, პროლეტარიატობით. რუსეთისათვის უცნობია ეს უბედურება; იგი დაცულია მისგან თავისი თეძური წყობით“ [1].

ჩერნიშევსკის ამ თვალსაზრისმა დიდი გავლენა ძოახ-დინა რევოლუციურ ინტელიგენციაზე და განამტკიცა ძა-შინდელი რევოლუციონერების რწმენა თემისადმი.

პლეხანოვი სამართლიანად აკრიტიკებდა ჩერნიშევსკის ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს და შენიშნავდა: „ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ ამ შეფასებაში ზოგიერთი ძეცდომა და ცალმხრივობა. ასე, მაგალითად, არა გვგონია და-სავლეთ-ევროპის სახელმწიფოთა „განკურნება“ „პროლე-ტარიატობის წყლულისაგან“ შესაძლებელი ყოფილიყო „გა-დაუჭრელ ამოცანად“ გვეღიარებინა 50-იანი წლების დამ-ლევს, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“, „ფილოსო-ფიის სიღატაკისა“ და „ინგლისში მუშათა კლასის ძდგომა-რეობის“ გამოქვეყნებიდან მრავალი წლის შემდეგ. არა მარტო „განკურნება“, არამედ მთელი ისტორიული მნიშ-ვნელობა იმ „სენისა“, რომელიც ნ. გ. ჩერნიშევსკის აში-ნებდა, აღნიშნული იყო კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შრომებში ისეთი სისრულითა და დამაჯერებლო-ბით, რომლებიც დღემდე სანიმუშოდ რჩება. მაგრამ რუსი ეკონომისტი (ლაპარაკია ჩერნიშევსკიზე — გ. ს.), როგორც ეს ყველაფრიდან სჩანს, ვერ იცნობდა დასახელებულ თხზულებებს...“[2].

ადრევე აღვნიშნეთ, რომ ფ. ენგელსი შესანიშნავად არ-კვევდა ამის მიზეზს.

საქმე იმაშია, რომ მეფის მთავრობამ დიდი დროით მოწყვიტა ჩერნიშევსკი ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებას და პატიმრობითა და გადასახლებით ხელოვნური ბარიერი

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ‖ კენი უთანხმოებანი, 1940, გვ. 123.

[2] იქვე. გვ. 125—126.

აღმართა ამ დიდ მოაზროვნესა და ცივილიზებულ მსოფლიოს შორის.

40 — 50-იან წლებში, როცა რუსეთის ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები ეცნობოდნენ მარქსის ზოგიერთ ნაწარმოებებს, ჩერნიშევსკის არ ჰქონია შემთხვევა გაცნობოდა მათ. შემდეგ კი მას ხელში ვეღარ ჩაუვარდებოდა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შრომები. ალექსანდრე II-ის მთავრობამ რევოლუციური დემოკრატიის ბელადი 1862 წელს დააპატიმრა. ამის შემდეგ ჩერნიშევსკიმ 27 წელი გაატარა ჯერ პეტრე-პავლეს ციხეში, შემდეგ კატორღაში, ვილუისკის საპყრობილეში და, ბოლოს, ასტრახანისა და სარატოვის ტყვეობაში.

პლეხანოვი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ თემური მიწათმფლობელობის შესახებ თავის მცდარ აზრებს ჩერნიშევსკი გამოთქვამდა ბატონყმობის მოსპობამდე. ამის შემდეგ თემის მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რეფორმამ თემი გამოიყვანა ნატურალური მეურნეობის მყარი წონასწორობიდან და იგი სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალისტური დაგროვების კანონებს დაუმორჩილა. რეფორმამ დააწესა მიწების გამოსყიდვა თემური მიწათმფლობელობის პრინციპებისადმი მტრულ საფუძველზე. გლეხობის ორ მესამედს მიეცა სათემო მიწების საკომლო ნაკვეთებად განაწილების უფლება. გზა გაეხსნა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას.

რეფორმის შემდეგდროინდელი რევოლუციონერები უნდა გამოსულიყვნენ სინამდვილიდან, რასაც ძალიან მცირე რამ ჰქონდა საერთო გლეხობის რეფორმამდელი ცხოვრების სურათთან. მაგრამ 70-იანი წლების რევოლუციურმა ახალგაზრდობამ ამ გარემოებას ანგარიში არ გაუწია.

ნაროდნიკული თვალსაზრისით საფაბრიკო საკითხი მთავარი საკითხი იყო მაშინდელი ევროპისათვის და არა რუსეთისათვის. რუსეთისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხად ისინი აგრარულ საკითხს მიიჩნევდნენ და ფიქრობდნენ, რომ მომავალი ეკუთვნის მუშას დასავლეთ ევროპაში, ხოლო გლეხს — რუსეთში.

რუსეთში მუშათა კლასის არარსებობას ტკბილოვი თვლიდა რევოლუციური მოძრაობის წარმატების პირობად. მუშათა კლასის როლზე ასეთი თვალსაზრისი წითელი ზოლივით გასდევს ყველა ნაროდნიკულ დებულებას. ნაროდნიკებს გლეხი წარმოდგენილი ჰყავდათ იდეალურ სოციალისტად. გლეხის ასეთი იდეალიზაცია, მისი რეალური კლასობრივი ინტერესების გაუგებლობა, ნაროდნიკობის ნიშანდობლივი თვისებაა.

გამოდიოდნენ რა იმ ფაქტიდან, რომ მაშინ რუსეთში მუშების რაოდენობა გლეხობასთან შედარებით სრულიად უმნიშვნელო იყო, რევოლუციის მთავარ ძალად ნაროდნიკები გლეხობას თვლიდნენ. მათ არა გაეგებოდათ რა მეცნიერების უდიდესი მიღწევის — მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის დებულებებისა, რომელთაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვთ მუშათა კლასის პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ნაროდნიკობის მესამე და მეტად არსებითი თვისება — გახსაზღვრული საზოგადოებრივი კლასების მატერიალურ ინტერესებთან ინტელიგენციისა და იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირის უგულებელყოფა, მკვეთრად გამოხატა ლავროვმა თავის „ისტორიულ წერილებში", რომელიც 1869 წელს გამოქვეყნდა. მისი ძირითადი დებულება იყო: ინტელიგენცია დგას საზოგადოებისა და კლასების გარეშე, მათ ზემოთ. ინტელიგენტი ანუ „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება" ისტორიული პროგრესის ერთადერთი შემოქმედია. ეს დებულება დაედო საფუძვლად ნაროდნიკულ თეორიას „გმირებისა" და „ბრბოს" შესახებ, თეორიას, რომელიც შემდგომ განავითარა რუსული ვოლუნტარისტული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ნ. კ. მიხაილოვსკიმ. მიხაილოვსკის შეხედულებებში ნათლად ჩანს ნაროდნიკების დამოკიდებულება მასებისა და მასობრივი მოძრაობისადმი. მისი აზრით, რაღაც ბიძგის საშუალებით, რასაც გმირი, გამოჩენილი ადამიანი იძლევა, მასები ბრმად მიდიან ამა თუ იმ მიმართულებით. ეს თეორია აგებულია ხალხთა მასების ისტორიული როლის

უარყოფაზე, მასების ინერტულობისა და პასიურობის მტკიცებაზე.

70-იანი წლების დასასრულს ნაროდნიკობა ფრიად სერიოზულ და მწვავე კრიზისს განიცდიდა. „ხალხში გასვლა“ მარცხით დამთავრდა, სოფელი არ გაჰყვა ნაროდნიკებს. ხელისუფლების მთავრობამ ბევრი ნაროდნიკი დააპატიმრა.

რაკი ხალხმა ზურგი აქცია ამ მოძრაობას, ნაროდნიკებმა გადასწყვიტეს ცარიზმთან ბრძოლა ახლა უკვე უხალხოდ, იდეოლოგიური ტერორის საშუალებით გაეგრძელებინათ. ამ გზას დაადგა „ნაროდნაია ვოლიას“ პარტია. ნაროდოვოლცები ვარაუდობდნენ, რომ ტერორისტული აქტებით დააშინებდნენ მეფის მთავრობას და აიძულებდნენ მას მოეწვია დამფუძნებელი კრებისმაგვარი რაღაც „საერო კრება“. ისინი შეცდომით ფიქრობდნენ, რომ ამ „საერო კრების“ მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის სახელმწიფოს მთელ სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში რადიკალურ გარდაქმნათა მომხრე იქნებოდა.

„ნაროდნაია ვოლიას“ პარტია თავის მოღვაწეობაში არ ემყარებოდა სწორ რევოლუციურ თეორიას; წინააღმდეგი იყო მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებისა და არ ესმოდა საზოგადოებრივი განვითარების კანონები. ამას ემატებოდა ცარიზმის სასტიკი ღონისძიებები „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის წინააღმდეგ. რასაც მისი განადგურება მოჰყვა.

1881 წელს ნაროდოვოლცების მიერ მოკლული ალექსანდრე II-ის ადგილი ალექსანდრე III-ემ დაიკავა. რუსეთში პოლიტიკური რეაქცია გაძლიერდა. მეფის ხელისუფლებამ გაანადგურა ხალხისაგან მოწყვეტილ შეთქმულთა ნაროდნიკული ორგანიზაციები. რევოლუციონერთა შორის თავი იჩინა მერყეობამ. ნაროდნიკობის უმრავლესობამ უარი თქვა ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაზე. გახშირდა ხალხის უბოროტესი მტრის — ცარიზმის სამსახურში გადასვლის შემთხვევები.

ლენინმა ბრწყინვალედ ასახა ლიბერალური ნაროდნიკობის არსი და განმარტა ნაროდნიკობის გადაგვარების მიზეზები. იგი მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ სოფელი დიდი ხანია

უკვე სრულიად გაითიშა და რომ ამას მოჰყვა ძველი რუსული გლეხური სოციალიზმის გათიშვა: გლეხურმა სოციალიზმმა ადგილი დაუთმო, ერთი მხრით, მუშურ სოციალიზმს, მეორე მხრით კი, იგი მეშჩანურ რადიკალიზმად გადაგვარდა; დოქტრინიდან გლეხური ცხოვრების განსაკუთრებული წყობის, რუსეთის განვითარების სრულიად თავისებური გზების შესახებ — წარმოიშვა რაღაც მჭლე ეკლექტიზმი, რომელიც ვეღარ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ეკონომიური განვითარების საფუძველი გახდა სასაქონლო მეურნეობა, მაგრამ არ სურს დაინახოს ყველა წარმოებითი ურთიერთობის ბურჟუაზიული ხასიათი და კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობა ამ წყობილების დროს. ლენინი მიუთითებდა, რომ ძველი ნაროდნიკობის პროგრამიდან, რომელიც ვარაუდობდა გლეხობის ამხედრებას სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად რუსეთის მაშინდელი საზოგადოების საფუძვლების წინააღმდეგ — წარმოიშვა პროგრამა, რომლის მიზანია გლეხობის მდგომარეობის შეკეთება, „გაუმჯობესება“ არსებული საზოგადოებრივი საფუძვლების შენარჩუნებით.

60 — 70-იანი წლების რევოლუციური ნაროდნიკობის 90-იანი წლების „მეშჩანური“, ლიბერალური ნაროდნიკობისაგან განსხვავების შესახებ შრომაში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“ ვ. ი. ლენინი წერდა: „მე განსხვავებას ვხედავ ძველსა და თანამედროვე ნაროდნიკობას შორის იმ მოსაზრებით, რომ ძველი ნაროდნიკობა წარმოადგენდა რამდენადმე მწყობრ დოქტრინას, რომელიც ჩამოყალიბდა იმ ეპოქაში, როდესაც რუსეთში კაპიტალიზმი ჯერ კიდევ მეტად სუსტად იყო განვითარებული, როდესაც გლეხური მეურნეობის წვრილბურჟუაზიული ხასიათი ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყო გამომჟღავნებული, როდესაც დოქტრინის პრაქტიკული მხარე წმინდა უტოპიას წარმოადგენდა, როდესაც ნაროდნიკები სასტიკად გაურბოდნენ ლიბერალურ „საზოგადოებას“ და „ხალხში მიღიოდნენ“. ახლა კი ასე არ არის: რუსეთის განვითარების კაპიტალისტურ გზას უკვე აღარავინ უარყოფს, სოფლის დაშლა

უდავო ფაქტია. ნაროდნიკობის მწყობრი დოქტრინიდან „თემი სალმი“ ბავშვური რწმენით ნაფლეთები-ღა დარჩა“[1].

ლიბერალურმა ნაროდნიკობამ უკუაგდო ძველი ნაროდნიკობის ისეთი ნამდვილად დემოკრატიული თვისებები, როგორიცაა თვითმპყრობელობის სიძულვილი და მასთან შეურიგებელი ბრძოლის ქადაგება, ბრძოლა გლეხობის მიწით უზრუნველყოფისათვის, გამოსყიდვის გარეშე, ბრძოლა მემამულეთა პრივილეგიების მოსპობისათვის და იმის რწმენა, რომ ყოველივე ეს შეიძლება განხორციელდეს ძალის საშუალებით, გლეხური რევოლუციის გზით.

ვ. ი. ლენინმა ამომწურავად გაარკვია რუსი განმანათლებლებისა და ნაროდნიკების ურთიერთდამოკიდებულებისა და მათ შორის არსებული განსხვავების საკითხი.

იგი განმარტავდა, რომ განმანათლებელი „გამსჭვალულია მხურვალე მტრობით ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში. ეს „განმანათლებლის“ პირველი დამახასიათებელი თვისებაა. მეორე დამახასიათებელი თვისება, რაც საერთოა ყველა რუსი განმანათლებლისათვის, — ეს არის მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციისა. ბოლოს, „განმანათლებლის“ მესამე დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა ...ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისთვის ხელშეწყობისა“[2].

რუსეთის კაპიტალიზმის საკითხის დაყენებით ნაროდნიკობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ განმანათლებლებთან შედარებით.

ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...თუმცა ნაროდნიკობამ განმანათლებელთა „მემკვიდრეობასთან“ შედარებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, რუსეთის კაპიტალიზ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 475.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 626 — 627.

ბის საკითხი რომ დააყენა, მაგრამ ამ საკითხის მის მიერ გადაწყვეტა წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისისა და კაპიტალიზმის სენტიმენტალური კრიტიკის გამო იმდენად არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, რომ ნაროდნიკობა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში უკან მოექცა „განმანათლებლებთან“ შედარებით. ნაროდნიკობის შეერთება ჩვენებურ განმანათლებელთა მემკვიდრეობასა და ტრადიციებთან ბოლოს და ბოლოს მინუსი აღმოჩნდა: ის ახალი საკითხები, რომლებიც რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე რუსეთის რეფორმისშემდგომმა ეკონომიურმა განვითარებამ დააყენა, ნაროდნიკობამ ვერ გადასწყვიტა, მათ შესახებ დასჯერდა სენტიმენტალურ და რეაქციულ ლამენტაციებს, ხოლო ის ძველი საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ განმანათლებლებმა წამოაყენეს, ნაროდნიკობამ თავისი რომანტიკით დაამძიმა და მათი სრული გადაწყვეტა შეაფერხა“ [1].

* *
*

პლეხანოვის ევოლუცია ნაროდნიკობიდან მარქსიზმისაკენ ზიგზაგებით მიმდინარეობდა.

პირველ ხანებში პლეხანოვი ფიქრობდა, რომ შესაძლებელია მარქსიზმის გამარჯვება მშვიდობიანი გზით. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ნაროდოვოლცები რევოლუციური საქმიანობის მარქსიზმის საფუძველზე წარმართვის აუცილებლობაში. პლეხანოვი ფიქრობდა, რომ ნაროდოვოლცები ადრე თუ გვიან დადგებოდნენ მარქსიზმის პოზიციებზე. ასეთ აზრს ანვითარებდა იგი შრომებში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და „ჩვენი უთანხმოებანი“.

„ნაროდნაია ვოლია“ ვეღარ პოულობს თავის გამართლებას, — წერდა პლეხანოვი, — და არც უნდა ეძებდეს მას, თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის გარეშე. მაგრამ იმისათვის, რომ დაადგეს ამ ახალ თვალსაზრისს, მან მეტად სერიოზულად უნდა გადასინჯოს თავისი პროგრამა, რადგან ამ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 654.

პროგრამის თეორიულ მარცხებსა და ხარვეზებს არ შეიძლებოდა არ მიეცათ მისთვის ერთგვარი პრაქტიკული ცალმხრივობა"[1].

ამავე შრომის მეორე ადგილას პლეხანოვი იმავე აზრს აღვითარებდა: „...ჩვენი რევოლუციური მოძრაობა არათუ არაფერს არ დაჰკარგავს, არამედ, პირიქით, ძალიან ბევრს მოიგებს, თუ რუსი ნაროდნიკები და რუსი ნაროდოვოლცები ბოლოს და ბოლოს რუსი მარქსისტები გახდებიან, და ახალი, უფრო მაღალი თვალსაზრისი შეარიგებს ჩვენში არსებულ ყველა ფრაქციას..."[2]

ამას წერდა პლეხანოვი 1883 წლის ოქტომბერში, სულ ცოტა ხნის შემდეგ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის შექმნიდან. მაგრამ მით უფრო საყურადღებოა, რომ იგი ამავე თვალსაზრისს ანვითარებდა 1884 წელს შრომაში „ჩვენი უთანხმოებანი". ზუსტად იმეორებდა რა ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებულ ადგილს თავისი შრომიდან „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა", შრომაში „ჩვენი უთანხმოებანი", პლეხანოვი წერდა: „...ჩვენ-არათუ არ გვსურს მეტოქეობა გაეუწიოთ „ნაროდნაია ვოლიას". არამედ არაფერი არ გვსურს ისე ძლიერ, როგორც სრული და საბოლოო შეთანხმება ამ პარტიასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ნაროდნაია ვოლიას" პარტია ვალდებულია მარქსისტული გახდეს..."[3].

ნათელია, რომ პლეხანოვს მაშინ ჯერ კიდევ გაგებული არ ჰქონდა ნაროდნიკული დოქტრინის პრინციპული და შეურიგებელი მტრობა მარქსიზმთან. რუსეთში მარქსიზმის მშვიდობიანი გზით გამარჯვების რწმენაზე დამყარებული იმედი. იმის იმედი, რომ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს შეუძლიათ მარქსიზმი საკუთარ დროშად გამოაცხადონ, იმას ადასტურებს, რომ პლეხანოვი ამ დროისათვის არ იყო განთავისუფლებული უტოპიური ილუზიებისაგან. პლეხანოვს საჭიროდ მიაჩნდა „შეელამაზებინა" მარქსიზმი და შეეგუებინა

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, თბილისი, 1940, გვ. 29.

[2] იქვე, გვ. 64.

[3] იქვე, გვ. 107.

იგი ნაროდნიკული ინტელიგენციის თეორიული დონისათვის. ამას პლეხანოვი მარქსიზმის იდეების პროპაგანდის წარმატების პირობად თვლიდა. თვით ჯგუფის სახელწოდება „შრომის განთავისუფლება“ იმ აზრით იყო შერჩეული, რომ ამასაც გაეადვილებინა ნაროდნიკებისათვის ახალ ორგანიზაციაში შესვლა. განმარტავდა რა ჯგუფის სახელწოდების აზრს, პლეხანოვი აღნიშნავდა, რომ სიტყვა „სოციალ-დემოკრატი“ რევოლუციონერთა შორის მაშინ შეურაცხმყოფელი, თითქმის სალანძღავი სიტყვა იყო.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პირველი მნიშვნელოვანი დოკუმენტია პლეხანოვისა და აქსელროდის მიერ შედგენილი განცხადება „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკის“ გამოცემის შესახებ, რომელშიც ჯგუფის მიზანი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

„1). მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელება მარქსისა და ენგელსის სკოლის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა და იმ ორიგინალურ თხზულებათა რუსულ ენაზე თარგმნის გზით, რომლებსაც მხედველობაში ჰყავთ სხვადასხვა ხარისხის მომზადების მკითხველები;

2) ჩვენი რევოლუციონერების წრეში გაბატონებულ მოძღვრებათა კრიტიკა და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების დამუშავება მეცნიერული სოციალიზმისა და რუსეთის მშრომელი მოსახლეობის ინტერესების თვალსაზრისით“ [1].

1883 წლის 25 სექტემბერს ამ განცხადებით ოფიციალურად გამოცხადდა ახალი ჯგუფის შექმნა. „განცხადება“ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პირველი ნაბიჯი და მისი რწმენის სიმბოლო იყო.

იმ ამოცანების შესაბამისად, რაც ამ განცხადებაშია აღნიშნული, ჯგუფის საგამომცემლო გეგმა ორი ძირითადი განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებაში შედიოდა მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა თარგმანები, მეორეში კი — ორიგინალური შრომები მარქსიზმის პოპულარიზაციისა, მარქსიზმთან შეუთავსებელი თეორიების კრიტიკისა

---

[1] Г. В. Плеханов, Соч., 1925, т. 2, стр. 21—23.

და რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე.

„თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკის“ სერიიდან 1883 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა პლეხანოვის ბროშურა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“. ამავე სერიიდან მალე გამოვიდა პლეხანოვის მეორე შრომა „ჩვენი უთანხმოებანი“. იგი პლეხანოვმა დაამთავრა 1884 წლის ზაფხულში და გამოაქვეყნა 1885 წლის დასაწყისში.

პლეხანოვის ამ ღირსშესანიშნავმა მარქსისტულმა საწარმოებებმა დიდად გაზარდეს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის ავტორიტეტი. მათ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს თანამედროვეებზე.

„სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ „თანამედროვე სოციალიზმის ბიბლიოთეკის“ პირველი გამოცემა და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პირველი მარქსისტული საპროგრამო დოკუმენტია. იგი რუსეთის იმდროინდელი რევოლუციური მოძრაობის აქტუალური საკითხების მარქსისტული თვალსაზრისით გადაწყვეტის პირველი სერიოზული ცდაა.

„შრომის ღერძია კ. მარქსის დებულება — ყოველგვარი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა. შრომაში სათანადოდ არის დასაბუთებული ამ დებულების სისწორე რუსეთის სინამდვილესთან შეფარდებით.

გასული საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში რუსი სოციალისტების გონებაში გაბატონებული იყო სოციალისტური მოძღვრების ისეთი ნარევი, რასაც ფ. ენგელსი „ეკლექტურ სოციალიზმს“, „საშუალო სოციალიზმს“ უწოდებდა. რუსეთის საზოგადოებრივ მოძრაობაში მაშინ არსებული ყველა მიმართულება უარყოფითად ეკიდებოდა პოლიტიკური ბრძოლის საჭიროების საკითხს. ამ საკითხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ ისეთ განსხვავებულ მიმართულებებსაც კი, როგორიც იყვნენ მაშინდელი რუსი სოციალ-დემოკრატები — „ვპერიოდელები“ და ინტერნაციონალის ანარქისტული ფრაქციის რუსი მიმდევრები — „ბაკუნისტები“. ერთმანეთისადმი ეს დაპირდაპირებული მიმართულებები თითქმის არაფერში არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ ერთი აზრი ჰქონ-

დათ „პოლიტიკისადმი“ დამოკიდებულების საკითხში. ისინი გადაჭრით უარყოფდნენ ყოველგვარი პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას.

პლეხანოვმა სწორად შენიშნა, რომ სოციალიზმთან პოლიტიკის შეუთავსებლობის ეს რწმენა მუშათა კლასის პოლიტიკური მოძრაობისადმი სოციალისტ-უტოპისტების უარყოფითი დამოკიდებულებიდან წარმოსდგა. მან დაასაბუთა, რომ სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის ურთიერთშეუთავსებლობის რწმენა რადიკალურად ეწინააღმდეგება სინამდვილეს; ეს ცნებები არა მარტო საუცხოოდ ეგუებიან ერთმანეთს პრაქტიკაში, არამედ შეუძლებელიცაა უერთმანეთოდ მათი წარმოდგენა.

პლეხანოვმა უჩვენა თუ რა ადგილს უთმობს პოლიტიკურ ბრძოლას მეცნიერული სოციალიზმი. მან დაასაბუთა, რომ მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლა ორგანულ კავშირშია სოციალიზმის საერთო ამოცანებთან. იდგა რა მარქსიზმის პოზიციებზე, პლეხანოვმა თავის საერთო დასკვნებში სათანადოდ გაითვალისწინა რუსეთის საქმეთა მაშინდელი ვითარებიდან გამომდინარე თავისებურებანი.

იმ დროისათვის რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანსა და არსებით საკითხს წარმოადგენდა რუსი რევოლუციონერების უახლოესი ამოცანების, ტაქტიკისა და მთელი მათი მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრა და მეცნიერული დასაბუთება. პლეხანოვმა შესანიშნავად გააშუქა ეს საკითხი. მან მოგვცა საერთოდ ანარქისტების, კერძოდ ბაკუნისტების, ძველი მიმართულების ნაროდნიკების, ნაროდოვოლცებისა და იმ მარქსისტების მკაცრი კრიტიკა, რომელთაც არ ესმოდათ მუშათა კლასის მოძრაობაში პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობა.

პლეხანოვმა დაასაბუთა რევოლუციური მოძრაობის წარმატებისათვის ყველაზე მოწინავე და სანი რევოლუციური იდეების ფართო პროპაგანდის საჭიროება.

მან გააკამტვერა მეცნიერული სოციალიზმის დებულებებიდან ნაროდნიკების მიერ გაკეთებული მთელი რიგი ყალბი დასკვნები და დაასაბუთა მათი სრული უნიადაგობა.

საფუძვლიანად მიმოიხილა რა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის გამომუშავების ისტორია, პლეხანოვმა განმარტა ამ მოძღვრების არსი, გადმოსცა და დაასაბუთა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ფილოსოფიურ-ისტორიული მხარე და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რევოლუციურ წრეებში გაბატონებული შემცდარი შეხედულებები და პროგრამები.

პლეხანოვმა, თავის მხრით, მოხაზა პროგრამა, რომელსაც თვით ცხოვრება უკარნახებდა რუსეთის რევოლუციურ სოციალისტურ პარტიას და სოციალისტურ ახალგაზრდობას მიუთითა მარქსიზმზე, რევოლუციის ამ ალგებრაზე, როგორც ისეთ მოძღვრებაზე, რომელიც თავის მიმდევრებს ასწავლის საზოგადოებრივი განვითარების ყოველი ნაბიჯის გამოყენებას მუშათა კლასის რევოლუციური აღზრდის ინტერესებისათვის.

მუშათა კლასისათვის რევოლუციური თეორიის უდიდესი მნიშვნელობის საილუსტრაციოდ პლეხანოვი იხსენებდა ჩრდილოეთ გვინეის ზანგების ერთ კარგ ლეგენდას: ადამიანთა პირველი წყვილის ორ ვაჟს, უფროსს შავკანიანსა და უმცროსს თეთრკანიანს, ღმერთმა წინ დაუდო ოქროს გროვა და წიგნი. შავკანიანს, როგორც უფროსს, ღმერთმა პირველს მისცა წინადადება აერჩია ამ საგნებიდან რომელიც სურდა. მან ოქრო აირჩია და, ამრიგად, უმცროსმა ძმამ წიგნი მიიღო. იგი შორეულ და ცივ ქვეყანაში მოხვდა, მაგრამ წიგნის წყალობით მეცნიერი გახდა და ძლიერი და უძლეველი შეიქნა. უფროსი ძმა კი სამშობლოში დარჩა და დიდხანს იცოცხლა, რათა კარგად გაეგო, თუ რაოდენ მაღლა დგას მეცნიერება სიმდიდრეზე.

პლეხანოვი დაასკვნიდა:

„ბურჟუაზიას ოდესღაც ცოდნაც ჰქონდა და სიმდიდრეც. ზანგთა ლეგენდის შავკანიანი ძმისაგან განსხვავებით, ის ოქროსაც დაეუფლა და წიგნსაც, იმიტომ, რომ ადამიანის საზოგადოებათა ღმერთი, ისტორია, არ სცნობს არასრულწლოვანი კლასების უფლებებს და სამეურვეოდ აძლევს მათ მათს უფროს ძმებს. მაგრამ დადგა დრო, როდესაც ისტორიის მიერ დაჩაგრული მუშათა კლასი გამოვიდა ბავშვობის ასაკიდან, და

ბურჟუაზია იძულებული გახდა წილი დაუდოს მას. ბურჟუაზიას დარჩა ოქრო, მაშინ როდესაც მისმა უმცროსმა ძმამ მიიღო „წიგნი", რომლის წყალობით ის, მიუხედავად თავისი სარდაფების სიბნელისა და სიკვისა, ახლა უკვე ძლიერი და საშიში გახდა. მეცნიერული სოციალიზმი თანდათანობით სდევნის ბურჟუაზიულ თეორიებს ამ ჯადოსნური წიგნის ფურცლებიდან, და მალე პროლეტარიატი წაიკითხავს ამ წიგნში, თუ როგორ მოიპოვოს მატერიალური კეთილდღეობა"[1].

პლეხანოვმა მკაცრად გააკრიტიკა ნაროდნიკების თეორიული დებულებები და მთელი მათი მანკიერი პრაქტიკა.

„ნაროდნაია ვოლიას" პარტიის თეორეტიკოსები ლ. ტიხომიროვი და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ ცარიზმის ღაბნობის მომენტი უნდა დამთხვეოდა სოციალისტური გადატრიალების მომენტს.

ნაროდნიკების ამ შემცდარი მტკიცების წინააღმდეგ პლეხანოვმა დაასაბუთა, რომ ცარიზმის დამხობა და სოციალისტური რევოლუცია ორი სხვადასხვა მომენტია და მათი გაერთიანება შეუძლებელია. ამგვარად, ბრძოლის იმ ანგარიშით წარმოება, რომ ეს ორი მომენტი ერთმანეთს დაემთხვევა, ნიშნავს როგორც ცარიზმის დამხობის, ისე სოციალისტური რევოლუციის შორეული მომავლისათვის გადადებას.

როდესაც ნაროდნიკობას ვეხებოდით, აღვნიშნავდით, რომ ნაროდნიკებს ლიბერალები მიაჩნდათ რადიკალურ ეკონომიურ გარდაქმნათა მომხრეებად. „ნაროდნაია ვოლიას" პარტია იმედებს ამყარებდა ლიბერალური საზოგადოების მხარდაჭერაზე. ნაროდოვოლცები ვარაუდობდნენ, რომ მეფის მიერ დამფუძნებელი კრების მოწვევის შემთხვევაში ლიბერალები მასში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნიდნენ რადიკალური ეკონომიური გადატრიალების მომხრეებს.

პლეხანოვმა დაასაბუთა, რომ ლიბერალური საზოგადოება არ შეიძლება თანაუგრძნობდეს აგრარულ რევოლუციას; ეკონომიური გადატრიალება არ შეიძლება შეადგენდეს ლიბერალების ინტერესს. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გამო-

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, თბილისი, 1940, გვ. 59 — 60.

ცდილებიდან გამომდინარე პლეხანოვი აღნიშნავდა, რომ კომუნისტური მოძრაობის გაძლიერებით შეშინებული ლიბერალები ყოველთვის მოითხოვდნენ ხოლმე მფარველობას სამხედრო დიქტატურისაგან და დაასკვნიდა — რუსი ლიბერალები არ შეიძლება ამ საერთო წესის გამონაკლისს შეადგენდნენო.

კითხვაზე — შეიძლებოდა თუ არა ხანგრძლივი ყოფილიყო რუსეთის ბურჟუაზიის ბატონობა, პლეხანოვი უპასუხებდა: „ბურჟუაზიულ საზოგადოებათა თანამედროვე მდგომარეობა და საერთაშორისო ურთიერთობათა გავლენა თვითეული ცივილიზებული ქვეყნის სოციალურ განვითარებაზე უფლებას გვაძლევენ იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთის მუშათა კლასის სოციალური განთავისუფლება ძალიან მალე მოჰყვება აბსოლუტიზმის დაცემას. თუ გერმანიის ბურჟუაზია „მეტისმეტად გვიან მოვიდა", რუსეთისამ კიდევ უფრო მეტად დაიგვიანა, და მისი ბატონობა არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. საჭიროა მხოლოდ, რომ რუსმა რევოლუციონერებმა, თავის მხრით, „მეტისმეტად გვიან" არ დაიწყონ მუშათა კლასის მომზადების საქმე, საქმე, რომელიც ახლა უკვე სავსებით თანადროული და არსებითი გახდა" [1].

სწორად წყვეტდა პლეხანოვი საკითხს რევოლუციური პარტიის მიერ ძალაუფლების დაპყრობისა და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

იგი აცხადებდა, რომ რევოლუციური პარტიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება სრულიად გარდუვალი დასკვნაა პოლიტიკური ბრძოლისა, რაც საზოგადოებრივი განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე უნდა დაიწყოს ყოველმა კლასმა, რომელიც თავისი განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის; რევოლუციურმა კლასმა, რომელიც მიაღწევს პოლიტიკურ ბატონობას, სახელმწიფო ხელისუფლების მძლავრი იარაღი უნდა მიმართოს რეაქციის წინააღმდეგ. ესაა ძალაუფლების შენარჩუნების აუცილებელი პირობა.

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა, ჩვენი უთანხმოებანი, თბილისი, 1940, გვ. 83.

ანარქისტები თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში ყოველგვარი სახელმწიფოს „დაშლის“, ხოლო შემდეგ, მისი „დანგრევის“ იდეას ქადაგებდნენ; მომავლის ეკონომიური წყობილება მათ წარმოდგენილი ჰქონდათ სასაქონლო წარმოების ფორმით. მათი აზრით რევოლუციას უნდა მოესპო „კანონები“ და დაეტოვებინა მხოლოდ „ხელშეკრულებები“; სახელმწიფოს დაშლის შედეგად თვითეული მოქალაქე, კომუნა, კორპორაცია მოიპოვებდა საკუთარი კანონების გამოცემისა და მისთვის სასურველი ხელშეკრულებების დადების უფლებას. ნაროდნიკობის ერთ-ერთი სახესხვაობის წარმომადგენლები რუსი ანარქისტები ვარაუდობდნენ, რომ „სახელმწიფოს დანგრევა“ გზას გაუკაფავდა რუსი ხალხის „იდეალების“ განვითარებას. ხოლო, რადგან ამ იდეალებში სათემო მიწათმფლობელობას ჰქონდა მთავარი ადგილი, რუსი ანარქისტების აზრით, „სახელმწიფოს დანგრევის“ შემდეგ „ბუნებით სოციალისტი“ რუსი ხალხი მოაწყობდა „ავტონომიურ თემებს“ სავსებით კომუნისტურ საფუძველზე.

რუსი ბლანკისტები ტკაჩოვი და მისი მიმდევრები აცხადებდნენ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი ფორმები მკვდარია და უსიცოცხლო, მაგრამ ეკონომიური პროგრესი გამოაცოცხლებს და ძალასა და სიმტკიცეს მისცემს მათო.

ამაში მოჩანს ნაროდნიკების სურვილი შეეჩერებინათ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი და „ეკონომიური პროგრესი“ იმ გზით წარემართათ, რომ მას გამოეწვია მკვდარი სახელმწიფოებრივი ფორმების გაცოცხლება.

ამის გამო პლეხანოვი შენიშნავდა, რომ ეკონომიური პროცესის შეჩერების გამომწვევი სასწაულები გამორიცხულია. „...არ არის არც ერთი პარტია, რომელსაც შეეძლოს დაყვირება: „დადექით საწარმოო ძალებო, არ გაინძრე კაპიტალიზმო!..“ „ეკონომიური პროგრესი“ აკეთებს თავის საქმეს და არ ელოდება იმ დროს, როცა ანარქისტები ან ბლანკისტები განახორციელებენ თავიანთ განზრახვებს“[1].

პლეხანოვმა შრომაში „ჩვენი უთანხმოებანი“ აგრეთვე

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, თბილისი, 1940, გვ. 21—22.

მიგვცა რუსეთის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის მარქსისტული ანალიზი და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნაროდნიკების მცდარი დებულებები. მან თანმიმდევრულად დაახასიათა რუსული თემისადმი გერცენის, ჩერნიშევსკის, ბაკუნინის, ტკაჩოვისა და ტიხომიროვის დამოკიდებულება.

პლეხანოვმა მიმოიხილა „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის იდეოლოგების, კერძოდ, ტიხომიროვის თვალსაზრისი და დაასაბუთა, რომ მათი სოციალურ-პოლიტიკური ფილოსოფია წარმოადგენდა ნაროდნიკული მოძღვრების სხვადასხვა ყაიდაზე განმეორებას.

ტიხომიროვთან პლეხანოვის პოლემიკის განხილვამდე, გავეცნოთ ტკაჩოვის წერილს ფ. ენგელსისადმი, რადგან ეს არის დოკუმენტი, რომლის აზრების განმეორებასაც წარმოადგენს ტიხომიროვის სტატია „რას უნდა ველოდეთ რევოლუციისაგან?“

ტკაჩოვი ამტკიცებდა, რომ სოციალური რევოლუციის განხორციელებას რუსეთში წინ არაფერი ეღობებოდა და ერთსულოვანი რევოლუციური პროტესტისათვის რუსი ხალხის ფეხზე დაყენება ყოველთვის შეიძლებოდა.

ტკაჩოვის აზრით სოციალური რევოლუციის განხორციელებისათვის აუცილებელ საშუალებათაგან ბევრი იყო ისეთი, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ჰქონდათ, მაგრამ რუსეთი მათ მოკლებული იყო, და, პირიქით, რუსეთს რევოლუციისათვის აუცილებელი ბევრი ისეთი ფაქტორი გააჩნდა, რასაც მოკლებული იყვნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. ტკაჩოვი უპირატესობას ანიჭებდა იმ პირობებს, რაც მაშინ რუსეთში იყო.

იგი რუსეთს ადარებდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს და აღნიშნავდა: რუსეთში არაა ქალაქის პროლეტარიატი, არაა პრესის თავისუფლება, არ არსებობს წარმოადგენლობითი კრება, არ არსებობს მუშათა ლიტერატურა და შესაძლებელიც რომ იყოს ასეთის შექმნა, სრულიად უსარგებლო იქნებოდა, რადგან რუსეთში უმრავლესობამ კითხვა არ იცის; რუსეთში შეუძლებელია ხალხზე პირადი გავლენის მოხდენა პოლიციის განსაკუთრებულ ღონისძიებათა გამო,

რომელიც ყოველნაირად დევნის და არ უშვებს მდაბიო ხალხთან ინტელიგენციის დაახლოებას.

ჩამოთვლიდა რა რევოლუციისათვის ამ არახელსაყრელ პირობებს, ტკაჩოვი ცდილობდა დაერწმუნებინა ენგელსი, რომ ეს გარემოება სულაც არ ხდის სოციალური რევოლუციის გამარჯვების საქმეს უფრო პრობლემატურს რუსეთში, ვიდრე ესაა დასავლეთში, რადგან, სამაგიეროდ, რუსეთს ისეთი შანსები აქვს, რასაც მოკლებულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები.

აი ეს შანსები:

რუსეთში არ არსებობს ბურჟუაზია, არ არსებობს რაიმე საშუალო წოდება ტანჯულ ხალხსა და მის მჩაგვრელ სახელმწიფოს დესპოტიზმს შორის; რადგან რუსეთში კაპიტალის ძალა ჩანასახის მდგომარეობაშია, რუს მუშებს ბრძოლა მოუხდებათ მხოლოდ პოლიტიკურ ძალასთან; რუსი ხალხი, მისი უმეცრების მიუხედავად, გამსჭვალულია თემური მფლობელობის პრინციპებით, რითაც იგი უფრო ახლოს დგას სოციალიზმთან, ვიდრე დასავლეთის ხალხები; მართალია, რუსები მიჩვეული არიან მონობასა და მორჩილებას, მაგრამ კმაყოფილი როდი არიან თავიანთი ხვედრით. ისინი განუწყვეტლივ აცხადებენ პროტესტს, ზოგჯერ ძლიერ ენერგიულადაც, თავიანთი ასეთი მდგომარეობის წინააღმდეგ ხან ხარკის გადახდაზე უარით, ხან აჯანყებით, ხან ხელისუფლებისადმი აშკარა წინააღმდეგობით და ხან რაიმე სხვა ფორმით. ეს პროტესტები ვიწრო და დაქსაქსულია, მაგრამ ისინი ამტკიცებენ, რომ ხალხი აუტანელ მდგომარეობაშია და ყოველ შემთხვევას იყენებს იმისათვის, რომ გზა მისცეს გაბოროტებისა და სიძულვილის მოზღვავებულ გრძნობას. ამგვარად, რუსი ხალხი კომუნისტი და რევოლუციონერია ინსტინქტით, ტრადიციით; „რუსეთის ინტელიგენტური რევოლუციური პარტია“ მცირერიცხოვანია, მაგრამ, სამაგიეროდ, მის მიზანს არ შეადგენს არავითარი სხვა იდეალი, გარდა სოციალისტური იდეალებისა. ამას ისიც ემატება, რომ ამ პარტიის მტრები მასზე უძლურნი არიან; რუსეთის მაღალი წრეები არ წარმოადგენენ რაიმე ანგარიშგასაწევ ძალას, არც ეკონომიურს, რადგან ძალზე ღა-

რიბები არიან, არც პოლიტიკურს, რადგან მეტად გონებაძვ-ზღუდულნი არიან და მხოლოდ პოლიციის სიბრძნეზე აძყარე-ბენ იმედებს; არავითარ ძალას არ წარმოადგენს აგრეთვე რუ-სეთის სამღვდელოება; ამგვარად, რუსეთის სახელმწიფო მხო-ლოდ შორიდან მოჩანს ძალად. ნამდვილად კი მისი ძალა მო-ჩვენებითია;

დასავლეთში სახელმწიფოები ძლიერ ძალას წარმოად-გენენ, ორივე ფეხით ემყარებიან კაპიტალს და სარგებლობენ არა მარტო ჯარისკაცობისა და პოლიციის მხარდაჭერით, რო-გორც რუსეთში, არამედ „ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მთელი წყობის“ მხარდაჭერითაც. რუსეთის სახელმწიფოს კი არა აქვს ფესვები ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, იგი არ ახორციელებს რომელიმე წოდების ინტერესებს, თანაბრად აწვება საზოგადოების ყველა კლასს და ყველას თანაბრად სძულს იგი; ეს კლასები სრული გულგრილობით ითმენენ სა-ხელმწიფოს, იტანენ მის ბარბაროსულ დესპოტიზმს, რაც იმ შეცდომის ნაყოფია, რომ საზოგადოებას რუსეთის სახელმწი-ფო რაღაც ძალად ეჩვენება და ამ რწმენით არის მოჯადოებუ-ლი; სულ მცირე მიზეზი იქნება საკმარისი იმისათვის, რომ რუსეთის სახელმწიფოს გავლენა გაქრეს და მთავრობას ყვე-ლამ ზურგი შეაქციოს.

ტკაჩოვი დაასკვნიდა: რუსეთის სახელმწიფო ჰაერშია და-კიდებული, მას ფესვები აქვს წარსულში და არა აწმყოში. რუსეთის სახელმწიფოს არაფერი აქვს საერთო არსებულ წყობილებასთანო.

ფ. ენგელსმა მკაცრად დასცინა ტკაჩოვის ამ ანტიმეცნიე-რულ თვალსაზრისს და განმარტა, თუ ნამდვილად ვის ინტე-რესებს გამოხატავდა მაშინდელი რუსეთის სახელმწიფო. „არა რუსეთის სახელმწიფო, არამედ თვით ბ-ნი ტკაჩოვია ჰაერში დაკიდებულიო“, — დაასკვნიდა ფ. ენგელსი [1].

განიხილავდა რა ტკაჩოვის ამ წერილს, პლეხანოვი აღნიშ-ნავდა, რომ ტიხომიროვის სტატია „რას უნდა ველოდეთ რე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1950, ტ. 2, გვ. 50.

ჭოლუციისაგან?“ არის ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებული ასლი ტკაჩოვის წერილისა.

პლეხანოვი შენიშნავდა, რომ ბაკუნიზმმა და ნაროდნიკობამ, როგორც რევოლუციურმა მოძღვრებებმა 80-იანი წლების დასაწყისში უკვე მოჭამეს თავისი დრო; სცენა დატოვეს ძველი ტიპის პროპაგანდისტებმაც. მაგრამ ეს არ ითქმის პ. ნ. ტკაჩოვის თეორიების შესახებ. რუსულმა ბლანკიზმმა, ტკაჩოვიზმის სახით, 80-იან წლებში განსაკუთრებული ძალით აღიმაღლა ხმა და წინანდებურად დარწმუნებულმა, რომ „თანამედროვე ისტორიული პერიოდი განსაკუთრებით ხელსაყრელია სოციალური რევოლუციის მოსახდენად“, დაიწყო ძველი ჰანგების ახალ კილოზე განმეორება: „ახლა, ან ძალიან გვიან, შეიძლება არასოდეს!“

ამ მომაგრებულ და გაახალგაზრდავებულ ტკაჩოვიზმს ხედავდა პლეხანოვი ტიხომიროვის სტატიაში „რას უნდა ველოდეთ რევოლუციისაგან?“ და ამტკიცებდა, რომ ეს წარმოადგენს ტკაჩოვის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მხოლოდ ახალ, შევსებულ, თუმცა ამავე დროს, ბევრი მხრივ, გაუარესებულ გამოცემას [1].

პლეხანოვმა დაამტკიცა, რომ პ. ნ. ტკაჩოვის თვალსაზრისისაგან არაფრით არ განსხვავდება ტიხომიროვის თვალსაზრისი, რომ ტიხომიროვის სტატიის „რას უნდა ველოდეთ რევოლუციისაგან?“ და ტკაჩოვის „ფრ. ენგელსისადმი ღია წერილის“ სოციალურ-პოლიტიკური ფილოსოფია ერთი და იგივეა.

რუსეთში მარქსიზმის პროპაგანდა და მუშათა კლასში შეგნების შეტანა მიაჩნდა პლეხანოვს რუსი მარქსისტების მთავარ ამოცანად. სოციალიზმის ნაყოფიერი პროპაგანდისათვის კი იგი აუცილებლად თვლიდა მუშათა კლასის ორგანიზაციას და, აქედან გამომდინარე, სოციალისტების მთავარ ამოცანად აცხადებდა დამოუკიდებელი პარტიის ორგანიზაციის საქმეში მუშათა კლასისათვის დახმარების გაწევას.

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა, ჩვენი უთანხმოებანი, 1940, გვ. 168.

„მუშათა პარტიის შექმნისათვის ხელშეწყობით ჩვესი რევოლუციონერები გააკეთებენ ყველაზე ნაყოფიერ, ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს, როგორის მითითებაც კი შეიძლება თანამედროვე რუსეთის „მოწინავე ადამიანისათვის". მარტო მუშათა პარტიას შესწევს უნარი გადაეჭრას ყველა ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ახლა ჩვენი ინტელიგენციის ხვედრად ხდიან თეორიულ და პრაქტიკულ უძლურებას" [1]

პლეხანოვი ვარაუდობდა მუშათა პარტიის სოციალისტური ტენდენციებისადმი მიწის წვრილი მესაკუთრეების ძლიერ წინააღმდეგობას და აცხადებდა: „...იქნებიან ისინიც, ვინც იბრძოლებს ამ წინააღმდეგობასთან. წვრილ მესაკუთრეთა კლასის გაჩენას შეესაბამება რევოლუციური პროლეტარიატის რიცხვისა და ძალების ზრდა, პროლეტარიატის, რომელიც, ბოლოს, გამოაცოცხლებს და აამოძრავებს ჩვენს ტლანქ სახელმწიფო მანქანას" [2].

თავისი მარქსისტული შრომებით პლეხანოვმა გააქარწყლა ნაროდნიკების უტოპიური თეორია რუსული თემის შესახებ. მან დაამტკიცა თემის დაშლის ფაქტი და იმ იმედის უნიადაგობა, რომ თემი იქცევა სოციალისტური საზოგადოების, სოციალისტური მეურნეობის განვითარების ამოსავალ პუნქტად.

პლეხანოვმა ნათელყო უაზრობა კითხვისა — განვითარდება თუ არა კაპიტალიზმი რუსეთში. მან აგრეთვე ცხადყო უაზრობა რევოლუციონერების წინაშე ისეთი ამოცანის დაყენებისა, როგორიცაა კაპიტალიზმის განვითარების შეჩერება. რევოლუციონერების ამოცანად პლეხანოვი სახავდა — დაყრდნობოდნენ კაპიტალიზმის განვითარებით წარმოშობილ მძლავრ რევოლუციურ ძალას — მუშათა კლასს, დაერაზმათ და დახმარებოდნენ მას საკუთარი მებრძოლი პარტიის შექმნაში.

ნაროდოვოლცებს ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებად მიაჩნდათ ისინი, ვინც სოციალისტური წყობილები-

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, 1940, გვ. 407.

[2] იქვე, გვ. 409.

სათვის საჭირო მატერიალური პირობების შესაქმნელად აუცილებლად თვლიდნენ რუსეთის მიერ კაპიტალიზმის სტადიის გავლას.

ამ თვალსაზრისს პლეხანოვი უპირისპირებდა რუსეთის ეკონომიკის მარქსისტული ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს და აცხადებდა: „დროა ვიქონიოთ გამბედაობა და ვუთხრათ თავის თავს, რომ... არა მარტო უახლოესი მომავალი, არამედ აწმყოც ჩვენში კაპიტალიზმს ეკუთვნის“ [1].

კითხვას — გაიელის თუ არა რუსეთი კაპიტალიზმის სკოლას, პლეხანოვი კითხვითვე უპასუხებდა: „რატომ არ უნდა დაამთავროს მან ის სკოლა, რომელშიაც **უკვე შევიდა?**“ [2].

პლეხანოვმა გამოააშკარავა და გააცამტვერა ნაროდნიკების შეპცდარი თვალსაზრისი რევოლუციურ ბრძოლაში პროლეტარიატის მოწინავე როლის უარყოფის, რევოლუციის ძირითად ძალად გლეხობის მიჩნევის და რუსეთში პროლეტარიატის გაჩენის „ისტორიულ უბედურებად“ გამოცხადების შესახებ.

პლეხანოვმა დაასაბუთა, რომ მაშინ გლეხობის რაოდენობრივი სიჭარბისა და პროლეტარიატის მცირერიცხოვნობის მიუხედავად, რევოლუციონერებს პროლეტარიატზე უნდა დაემყარებინათ მთავარი იმედი.

ტიხომიროვი მკაცრად გააკრიტიკა პლეხანოვმა ამ საკითხთან დაკავშირებითაც. ამტკიცებდა რა პროლეტარიატზე ორიენტაციის აღების შეუძლებლობას, ტიხომიროვი ერთმანეთს ადარებდა არა მთელი რუსეთის, ან ევროპის რუსეთის გლეხობისა და პროლეტარიატის, არამედ რუსეთის მთელი იმპერიის გლეხობისა და მარტო ევროპის რუსეთისა და ისიც მისი მხოლოდ მანუფაქტურული მრეწველობის მუშების რაოდენობას.

ასეთი ტენდენციური ანალიზით სურდა ტიხომიროვს დაესაბუთებინა რუსეთის თვითმყოფობა. პლეხანოვი შენიშნავდა, რომ ტიხომიროვს მის განკარგულებაში არსებული არასწორი

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ოქვნი უკანმოქცევანი, 1910, გვ. 254.

[2] იქვე, გვ. 311.

სტატისტიკური მასალის სწორად გამოყენების უნარიც კი არ აღმოაჩნდა.

ტიხომიროვის ასეთი საქციელის გამო ამბობდა პლეხანოვი: „თვითმყოფი მწერლები მეტისმეტად თვითმყოფ ხერხებს ხმარობენ რუსეთის თვითმყოფობის დასამტკიცებლადო“ [1].

ააშკარავებდა რა ნაროდნიკების შეცდომას რევოლუციის მთავარ ძალად გლეხობის გამოცხადების შესახებ, პლეხანოვი აღნიშნავდა: „ახლანდელ სოფლის მოსახლეობას, რომელიც ჩამორჩენილ სოციალურ პირობებში ცხოვრობს, არათუ სამრეწველო მუშებზე ნაკლებად შესწევს უნარი შეგნებული პოლიტიკური ინიციატივისა, არამედ ის მათზე ნაკლებად ითვისებს ჩვენი რევოლუციური ინტელიგენციის მიერ დაწყებულ მოძრაობას“ [2].

ნაროდნიკებთან დავაში მარქსისტები ასაბუთებდნენ მეცნიერულ თვალსაზრისს მუშათა კლასის როლზე რუსეთის გახთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ნაროდნიკები არ ითვალისწინებდნენ, რომ პროლეტარიატი ვითარდებოდა, როგორც კლასი, ხოლო წვრილი ბურჟუაზია დღითი დღე იშლებოდა და ბურჟუებად და პროლეტარებად იყოფოდა. მარქსისტები კი ამ ჭეშმარიტებიდან გამოდიოდნენ და ორიენტაციას პროლეტარიატზე იღებდნენ; მარქსისტების წინდახედულება სავსებით გაამართლა ისტორიის მთელმა შემდგომმა მსვლელობამ: ნაროდნიკებთან მარქსისტების ბრძოლის პერიოდში ჩამოუყალიბებელი პროლეტარიატი მალე პირველხარისხოვან რევოლუციურ და პოლიტიკურ ძალად იქცა.

პლეხანოვმა დაამსხვრია ნაროდნიკების შემცდარი შეხედულება საზოგადოებრივ განვითარებაში გამოჩენილი ადამიანებისა და მათი იდეების პირველხარისხოვანი როლისა და მასების, ხალხის, კლასების უმნიშვნელო როლის შესახებ.

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, 1940, გვ. 239.

[2] იქვე, გვ. 111.

ყველა ადრინდელი თეორია ყოველნაირად ამართლებდა მშრომელი ადამიანის დამონებას.

ისტორიაში პიროვნებისა და ხალხთა მასების როლზე სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისით მთელი საზოგადოებრივი განვითარება დიდი ადამიანების, გამოჩენილი პიროვნებების მოღვაწეობის შედეგია; ყველა დიდი მოვლენა — უძლიერეს სახელმწიფოთა წარმოქმნა, მათი აყვავება, დაკნინება, დაღუპვა, სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობანი, რევოლუციები და სხვ. გამოჩენილი პიროვნებების — მეფეების, მხედართმთავრების, ბელადების წყალობით ხდება.

მარქსამდელი მატერიალისტები ისტორიის მეცნიერული ახსნის სფეროში იდეალიზმის პოზიციებზე იდგნენ. ისინი ყველანი იყვნენ მატერიალისტები ქვემოდან და იდეალისტები ზემოდან.

ფრანგი მატერიალისტებისა და სოციალისტ-უტოპისტების თვალსაზრისით საკმარისი იყო რამდენიმე ასეული წლით ადრე გამოჩენილიყო დიდი პიროვნება, რომ მთელს ისტორიას სულ სხვაგვარი სახე მიეღო.

პიროვნების გამოცხადებით „მსოფლიო სულის“ იარაღად ჰეგელი ისტორიის კანონზომიერების მისტიფიკაციას ახდენდა. ბუნებასა და ადამიანთა საზოგადოებაში ყველა მოვლენის საფუძვლად ჰეგელს მიაჩნდა „აბსოლუტური იდეა“, რომელიც თვით ბუნებისა და ადამიანის წარმოშობამდე არსებობდა.

კლასიკური ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ყველა ეპიგონს მშრომელი ადამიანები მიაჩნდა „ჩლუნგ“, „უვიც“, კულტურის მტერ არსებებად, რომლებიც მოკლებული არიან ისტორიული შემოქმედების უნარს. მათთვის ერთეული ინტელიგენტები — კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებები წარმოადგენენ პროგრესის ერთადერთ ძალას. ისინი უარყოფდნენ მასების, კლასების როლს ისტორიაში. წყვეტდნენ რა პიროვნებას მასისაგან, ისტორიული პირობებისაგან, ცხადია, მათ სწორი წარმოდგენა არ ჰქონდათ პიროვნების როლზე ისტორიაში. ბურჟუაზიული სოციოლოგები სრულიად უგულებელყოფდნენ ისტორიის ობიექტურ კანონებს;

კლასობრივ წინააღმდეგობებსა და კლასთა ბრძოლას ისინი უპირისპირებდნენ „ნებისყოფის თავისუფლებას“. მათ ვერ მონახეს რაიმე მეცნიერული კრიტერიუმი რევოლუციონერის განსასხვავებლად რეაქციონერისაგან, გმირისა — ბანდიტისაგან, გენიოსისა — გიჟისაგან. მათ მიაჩნდათ, რომ მასა, „ბრბო“, ხალხი მხოლოდ ხელს უშლის „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებებს“ ისტორიის წინ წაწევის საქმეში; ყველა უბედურებას, რაც კი ისტორიაში მომხდარა, ისინი ისტორიული განვითარების პროცესში მასების ჩარევას მიაწერდნენ.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ეს რეაქციული თეორიები და ჩამოაყალიბეს ძვირფასი, მეცნიერული დებულება, რომლის მიხედვითაც ისტორიას ქმნიან ხალხთა მასები და მათი ბრძოლა განსაზღვრავს ისტორიის განვითარების მიმართულებას; დიდი ისტორიული მოვლენები წარმოადგენენ მილიონობით ადამიანთა მოღვაწეობის შედეგს; გადამწყვეტ როლს ისტორიაში თამაშობენ კლასები, ხალხთა მასები. ისინი წყვეტენ ისტორიის ბედს.

ისტორიაში პიროვნების როლზე იდეალისტური თვალსაზრისის დამცველები რუსეთში იყვნენ ნაროდნიკები. რუს მარქსისტებს მოუხდათ გადამწყვეტი შეტაკება ნაროდნიკების რეაქციულ იდეოლოგიასთან, მათ მავნე თეორიასთან „გმირებისა“ და „ბრბოს“ შესახებ.

სუბიექტურ-ნაროდნიკული თეორია პიროვნების როლზე ისტორიაში გამომდინარეობდა ექსპლოატატორთა რეაქციული თვალსაზრისიდან, რომელიც ხალხს აცხადებდა პლასტიკურ მასალად, რომლიდანაც ნებისმიერი საზოგადოებრივი ფორმის გამოძერწვა შეიძლება.

ერთადერთ აქტიურ ძალად ნაროდნიკები თვლიდნენ პასიურ „ბრბოსთან“ დაპირისპირებულ „გმირს“; მათთვის მილიონობით ადამიანები წარმოადგენდნენ ნულების მწკრივს, რაც გარკვეულ სიდიდედ მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა მათ წინ დადგება „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება“.

ლავროვი ამტკიცებდა, რომ ისტორიაში შეუძლებელია კანონზომიერება, რომ ისტორიულ მოვლენებს განუმეორებელი,

ინდივიდუალური ხასიათი აქვთ. ამაში ლავროვი გულისხმობდა გმირის შემოქმედების განუმეორებელ ინდივიდუალობას, გმირისა, რომელიც მასაც ისტორიის ერთადერთ მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა.

ლავროვი და მიხაილოვსკი ამტკიცებდნენ, რომ ხალხი წარმოადგენს უფორმო, ინერტულ, უძრავ მასას, რომელსაც არა აქვს დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედების უნარი, ემორჩილება და ბრმად მიჰყვება გმირებს.

ნაროდნიკები აცხადებდნენ, რომ გმირები ქმნიან ახალ იდეებს, რაც „გადაეედება" მასებს, გააქტიურებს და მოიყვანს მათ მოძრაობაში.

ამ თვალსაზრისმა მიიყვანა ნაროდნიკები ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკამდე, რითაც ისინი მშრომელთა ყურადღებას აშორებდნენ მათ პირდაპირ ინტერესებს.

პლეხანოვმა მიაყენა პირველი გადამწყვეტი დარტყმა ნაროდნიკების ანტიმეცნიერულ, მავნე, სუბიექტურ-სოციოლოგიურ შეხედულებებს; მან მოგვცა ისტორიაში პიროვნების როლზე ნაროდნიკების სუბიექტური თვალსაზრისის გამანადგურებელი კრიტიკა. პლეხანოვმა დაიცვა და დაასაბუთა მარქსისტული შეხედულება საზოგადოებრივ განვითარებაზე, როგორც მკაცრად კანონზომიერ პროცესზე.

მარქსიზმის მტრები დასავლეთში ბრალს სდებდნენ მარქსისტებს, თითქოს ისინი უარყოფდნენ პიროვნების როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივ განვითარებაში. რუსი მარქსისტების მიმართ იგივე ბრალდებას იმეორებდნენ ნაროდნიკები გასული საუკუნის 90-იან წლებში.

პლეხანოვმა გამოააშკარავა მარქსიზმისადმი ასეთი საყვედურის ცილისმწამებლური ხასიათი და გააქარწყლა იგი. პლეხანოვმა გამოააშკარავა აგრეთვე კაპიტალიზმის აპოლოგეტები. რომლებსაც სურდათ თეორიული დასაბუთება მიეცათ კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლის უარყოფისა და ისტორიის განვითარების პროცესიდან მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალის — მუშათა კლასის გამორიცხვის ქადაგებისათვის.

პლეხანოვმა ნათელყო, რომ მარქსისტები სრულიადაც

ბი კი არ ქმნიან ისტორიას, არამედ ისტორია, კლასები, მასები არ უარყოფენ პიროვნების როლს ისტორიაში, მაგრამ გმირები ქმნიან გმირებს და წინ სწევენ ცხოვრებას. პლეხანოვმა დაამტკიცა მარქსიტული მატერიალისტური თვალსაზრისი და ნათელყო, რომ საზოგადოების წინსვლას საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს არა დიდი ადამიანების სურვილები, არამედ საზოგადოების არსებობის მატერიალური პირობების განვითარება, მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროში კლასთა ურთიერთდამოკიდებულებაში მომხდარი ცვლილებები, კლასთა ბრძოლა; გამოჩენილი პიროვნებები არარაობად გადაიქცევიან, თუ მათი იდეები და სურვილები არ გამოდიან საზოგადოების ეკონომიური განვითარების, მოწინავე კლასის მოთხოვნილებებიდან; გამოჩენილი პიროვნებები მხოლოდ მაშინ შეიძლება იქცნენ დიდ ადამიანებად, თუ მათი იდეები და სურვილები სწორად გამოხატავენ საზოგადოების ეკონომიური განვითარების მოთხოვნილებებს, მოწინავე კლასის მოთხოვნილებებს; ადამიანი დიდია იმდენად, რამდენადაც იგი გამოიჩენს უნარს — ემსახუროს თავისი დროის დიად საზოგადოებრივ საჭიროებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ სწორად წყვეტდა რა საკითხს პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში, პლეხანოვი გადაჭარბებით აფასებდა რევოლუციური ინტელიგენციის როლსა და მნიშვნელობას ისტორიაში.

პლეხანოვს გადაჭრით არ უარუყვია ტერორისტული ტაქტიკა, მაგრამ მან გააკრიტიკა „ნაროდნაია ვოლიას" პარტიის თვალსაზრისი ამ საკითხში და მიუთითა ტერორისტული ტაქტიკის სუსტ მხარეებზე. პლეხანოვი წერდა: „...ეგრეთწოდებული ტერორი, თავისთავად აღებული, მხოლოდ არღვევს მთავრობის ძალებს და ძალიან ნაკლებად უწყობს ხელს მის მოწინააღმდეგეთა ძალების შეგნებულ ორგანიზაციას. ტერორისტული ბრძოლა არ აფართოებს ჩვენი რევოლუციური მოძრაობის სფეროს; პირიქით, მას იგი დაჰყავს პატარა პარტიზანული ჯგუფების გმირულ მოქმედებებამდე. რამდენიმე ბრწყინვალე წარმატების შემდეგ ჩვენი რევოლუციური პარტია ჩანს დასუსტდა ძლიერი დაძაბვისაგან და აღარ შეუძლია

გამოსწორება, თუ მას არ შეემატება ახალი ძალები მოსახლეობის ახალი ფენებიდან. ჩვენ ეურჩევთ მას მიმართოს მუშათა კლასს, როგორც ყველაზე რევოლუციურს თანამედროვე საზოგადოების ყველა კლასიდან... ჩვენ მივუთითებთ მას "შესაძლებლობას ეს ბრძოლა უფრო ფართო, უფრო მრავალმხრივი და ამიტომ უფრო წარმატებითი გახადოს... ჩვენ სრულებითაც არ გვინდა, რომ მუშათა ფარული ორგანიზაციები გადაიქცნენ ფარულ სანერგეებად მუშათა წრიდან გამოსული ტერორისტების გასამრავლებლად"[1].

აჯამებდა რა თავის მდიდარ არგუმენტაციას ნაროდნიკული სოციალიზმის წინააღმდეგ, პლეხანოვი დაასკვნიდა:

„1) მუშათა კლასის **კომუნისტური** რევოლუცია არანაირად არ შეიძლება აღმოცენდეს იმ მეშჩანურ-გლეხური სოციალიზმიდან, რომლის მქადაგებლებიც ამჟამად თითქმის ყველა ჩვენი რევოლუციონერები არიან.

2) თავისი ორგანიზაციის შინაგანი ხასიათით, სასოფლო თემი, უწინარეს ყოვლისა, მიისწრაფვის ადგილი დაუთმოს ერთად ცხოვრების ბურჟუაზიულ და არა კომუნისტურ ფორმებს.

3) ამ უკანასკნელებზე გადასვლისას მას მოელის არა **აქტიური**, არამედ **პასიური** როლი; მას **არ ძალუძს დაძრახ** რუსეთი კომუნიზმის გზაზე; მას შეუძლია მხოლოდ **ნაკლები წინააღმდეგობა გაუწიოს** ასეთ მოძრაობას, ვიდრე წვრილმა საკომლო მიწათმფლობელობამ.

4) კომუნისტური მოძრაობის ინიციატივის აღება შეუძლია მხოლოდ ჩვენი საშრეწველო ცენტრების მუშათა კლასს, — კლასს,

5) რომლის განთავისუფლებაც შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მისი საკუთარი ძალების შეგნებულად დაჭიმვის გზით.

ერთხელვე რომ შეიგნებენ ამ უბრალო ჭეშმარიტებებს, რუსეთის სოციალისტები „პრივილეგიური წრიდან" ხელს აიღებენ ზრახვაზე ძალაუფლების დაპყრობის შესახებ, დაანე-

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, 1940, გვ. 410.

ბებენ მას მომავლის ჩვენს მუშათა სოციალისტურ პარტიას. მათი ძალ-ღონე მაშინ მიმართული იქნება მხოლოდ ახალი პარტიის შექმნისაკენ და მისი ზრდიხა და განვითარებისათვის არახელშემწყობი ყველა პირობის თავიდან აცილებისაკენ"[1].

გავეცნოთ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის პროგრამებს.

ლ. დეიჩისა და პ. აქსელროდის 1883 წლის ოქტომბრის მიმოწერაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრებმა პროგრამის პროექტი წაუკითხეს რუსეთიდან ჟენევაში ჩამოსულ ახალგაზრდა ამხანაგებს, რომლებიც მიუთითებდნენ პროექტის ზოგიერთ ნაკლოვანებებზე.

ამგვარად, პლეხანოვს „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის პროგრამის პირველი პროექტი, ცხადია, უკვე ჯგუფის შექმნის მომენტში ჰქონდა დამუშავებული. 1884 წლის ივლისში პროექტი ოფიციალურად გამოქვეყნდა და ჯგუფმა ეს მაშინვე გამოგზავნა რუსეთში.

პროექტი წარმოადგენდა ფრიად მნიშვნელოვან ნაბიჯს რუსეთში მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომზადების საქმეში.

მაგრამ პროექტი მთელ რიგ შეცდომებს შეიცავს. იგი გადაჭარბებით აფასებს ინტელიგენციის მნიშვნელობას. პროგრამაში შემორჩენილია პირდაპირი სახალხო კანონმდებლობის მოთხოვნა.

მთავრობის წინააღმდეგ ტერორისტული ბრძოლის აუცილებლობის აღიარებით პლეხანოვმა და მისმა ჯგუფმა მიიღეს და გაიმეორეს ნაროდნიკების ეს ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა.

გარდა ამისა, მუშათა პროგრამის ეკონომიური განყოფილების ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნად პროექტი აყენებს საწარმოო ასოციაციებისათვის სახელმწიფო დახმარების აღმოჩენას. ეს პუნქტი ნასესხებია გერმანელ სოციალისტ

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, 1940, გვ. 388.

ფ. ლასალისაგან. იგი თავის დროზე დაგმო კ. მარქსმა თავის „ვოთას პროგრამის კრიტიკაში“.

პროექტი აცხადებს, რომ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი არ უგულებელყოფს გლეხობას, რომელიც რუსეთის მშრომელი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენს, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ რევოლუციის გამარჯვები შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პირობებში.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა შეიმუშავა რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის მეორე პროექტი.

პლეხანოვმა პროგრამის ამ პროექტში დაუშვა სერიოზული შეცდომები.

პუნქტი ინდივიდუალური ტერორის აუცილებლობის შესახებ აღარაა, მაგრამ საწარმოო ასოციაციებისადმი სახელმწიფო დასმარების ლასალიანური მოთხოვნა პროგრამის ამ პროექტშიც მეორდება.

პროექტი გლეხობას განიხილავს როგორც რეაქციულ ძალას. იმის აღიარებით, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობა ვერ პოულობს გლეხობაში მხარდაჭერას, თანაგრძნობას, გაჭენებას და აბსოლუტიზმის მთავარი დასაყრდენი გლეხობის პოლიტიკური ინდიფერენტიზმი და ბონეპარტისტული ჩამორჩენილობაა, პლეხანოვმა გადადგა ნაბიჯი უკან პროგრამის პირველ პროექტთან შედარებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პლეხანოვის თვალსაზრისი პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხში თავიდან ბოლომდე მცდარი იყო.

თავის პირველ მარქსისტულ შრომაში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ პლეხანოვი წერდა: „სამრეწველო მუშები, რომლებსაც აქვთ მეტი განვითარება, უფრო მაღალი მოთხოვნილებანი და უფრო ფართო ჰორიზონტი, ვიდრე გლეხობას, მიემხრობიან ჩვენს რევოლუციურ ინტელიგენციას მის ბრძოლაში აბსოლუტიზმის წინააღმდეგ და შემდეგ, მოიპოვებენ რა პოლიტიკურ თავისუფლებას, დაირაზმებიან მუშათა სოციალისტურ პარტიად, რომელმაც კიდეც უნდა და-

იწყოს სოციალიზმის სისტემატური პროპაგანდა გლეხობის შრეში"[1].

ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის უზრუნველყოფის ამოცანა მუშათა კლასის წინაშე დასმულიყო აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისთანავე, პლეხანოვი მოითხოვდა გლეხობაში სოციალიზმის იდეების სისტემატური პროპაგანდის მხოლოდ მას შემდეგ დაწყებას, რაც მუშათა პარტია დაამხობდა აბსოლუტიზმს და მოიპოვებდა პოლიტიკურ თავისუფლებას.

გლეხობის საკითხისადმი ანტიმარქსისტული დამოკიდებულება პლეხანოვის შემდეგდროინდელ შრომებშიც გვხვდება. თავისი მოღვაწეობის ნაროდნიკულ პერიოდში პლეხანოვი ახდენდა გლეხობის იდეალიზაციას ისევე, როგორც ყველა ნაროდნიკი. შემდეგ კი მან სრულიად უგულებელყო გლეხობა, როგორც რევოლუციური ძალა.

სტატიაში „ერთხელ კიდევ რუსი სოციალისტების პრინციპებისა და ტაქტიკის შესახებ", 1890 წელს პლეხანოვი წერდა:

„გარდა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატისა ჩვენ ვერ ვხედავთ სხვა საზოგადოებრივ ძალებს, რომლებზეც დაყრდნობას შესძლებდნენ ჩვენში ოპოზიციური თუ რევოლუციური კომბინაციები"[2].

ამგვარად, ანტაგონისტურად განწყობილ კლასებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს პლეხანოვი მაშინ მოკავშირეებად აცხადებდა; ბურჟუაზია ისეთ რევოლუციურ ძალად მიაჩნდა, რომელზეც შესაძლებელი იყო ოპოზიციური თუ რევოლუციური კომბინაციების დაყრდნობა. ხოლო გლეხობას სრულიად აგდებდა ანგარიშიდან.

ბრიუსელის კონგრესისადმი 1891 წლის აგვისტოში გაგზავნილ მოხსენებაში პლეხანოვი აცხადებდა, რომ ცარიზმის დასაყრდენია გლეხობის აზიური უმეცრება. პროლეტარი და გლეხი მას პოლიტიკურ ანტიპოდებად მიაჩნდა.

---

[1] გ. ვ. პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა. ჩვენი უთანხმოებანი, 1940, გვ. 85.

[2] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. 1952. გვ. 20.

პლეხანოვი იმ დებულებიდან გამოდიოდა, რომ მუშების განთავისუფლება თვით მუშების საქმეა და ამტკიცებდა სოციალისტური რევოლუციის მხოლოდ პროლეტარიატის ძალებით განხორციელების შესაძლებლობას, რაც სრულიად ეწინააღმდეგება მარქსისტულ თვალსაზრისს ამ საკითხზე.

ვ. ი. ლენინი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის განხილული პროგრამების მრავალ ელემენტს სავსებით აუცილებლად თვლიდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამისათვის.

ასეთებია: პირდაპირი მითითება მუშათა კლასზე, როგორც ისეთ ძალაზე, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია იყოს სოციალიზმისათვის დამოუკიდებელი მებრძოლი კლასი და, რომელმაც მიზნად უნდა დაისახოს წარმოების ყველა საშუალებისა და პროდუქტის საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევა, სასაქონლო წარმოების მოსპობა და საზოგადოებრივი წარმოების ახალი სისტემით მისი შეცვლა ანუ კომუნისტური რევოლუციის განხორციელება; საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნის გარდუვალ წინასწარ პირობად მუშათა კლასის მიერ ძალაუფლების დაპყრობის გამოცხადება; პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობისა და სხვადასხვა სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატების პროგრამებში სხვადასხვაობის ელემენტის აუცილებლობაზე მითითება; მითითება ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობაზე; სამრეწველო პროლეტარიატის . შექმნის პროცესთან რევოლუციური მოძრაობის კავშირის ჩვენება; რევოლუციური მუშათა პარტიის შექმნის აუცილებლობის დასაბუთება; ამ პარტიის უპირველეს პოლიტიკურ ამოცანაზე — აბსოლუტიზმის დამხობაზე, პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებზე და ძირითად მოთხოვნებზე მითითება.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა პროგრამის პროექტის მნიშვნელოვან ღირსებებს და ამავე დროს იძლეოდა მის საფუძვლიან კრიტიკას. სტატიაში „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“, 1899 წელს ლენინი წერდა:

„როცა რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამაზე ლაპარაკობენ, საერთო აზრი სრულიად ბუნებრივად მიმართულია

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებისაკენ, რომლებმაც დააარსეს რუსეთის სოციალ-დემოკრატია და ბევრი რამ გააკეთეს ამ პარტიის თეორიული და პრაქტიკული განვითარებისათვის“[1].

შემდეგ, ლენინი განიხილავდა თვით პროგრამის პროექტს და აღნიშნავდა, რომ „...ის საერთოდ და მთლიანად, სრულიად დამაკმაყოფილებლად წყვეტს თავის ამოცანას და სავსებით თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული თეორიის დონეზე დგას“ [2].

პროგრამის პროექტების ღირსებაზე ბევრს ლაპარაკობს ვ. ი. ლენინის შემდეგი განცხადება: „...რუსეთის სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ და მათ, ჩვენის აზრით, კიდევაც უნდა დაუდონ საფუძვლად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამას სწორედ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროექტი, რომელიც მხოლოდ ერთ ხასიათია სარედაქციო ცვლილებებს, შესწორებებსა და შევსებას საჭიროებს“ [3].

ამის შემდეგ ვ. ი. ლენინი ეხებოდა ცვლილებებს, რომელთა შეტანა პროგრამის პროექტში აუცილებელი იყო 900-იანი წლების დასაწყისის ფართო და დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის გამო. ლენინი აუცილებლად თვლიდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროექტში ზოგიერთი ისეთი ცვლილების შეტანას, რომლებიც რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროგრამას დაუახლოვებდნენ გერმანიის სოციალ-დემოკრატების პროგრამას, და აცხადებდა: „ჩვენ სრულიადაც არ გვაშინებს იმის თქმა, რომ ჩვენ გვსურს მივბაძოთ ერფურტის პროგრამას: ცუდი არაფერია იმაში, თუ მივბაძავთ იმას, რაც კარგია...“[4]

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროგრამას ვ. ი. ლენინი ყოფდა პრინციპულ და პრაქტიკულ ნაწილებად და მოითხოვდა პროგრამის აგების ხასიათის შეცვლას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 276.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 277 — 278.
[4] იქვე, გვ. 281.

ლენინს საჭიროდ მიაჩნდა პირველ რიგში ყოფილიყო წამოყენებული და უფრო მკვეთრად გასმოდა ხაზი განვითარების იმ ეკონომიურ პროცესს, რომელიც ჰქმნის სოციალ-დემოკრატიული მუშათა მოძრაობის მატერიალურ და სულიერ პირობებს და, პროლეტარიატის იმ კლასობრივ ბრძოლას, რომლის ორგანიზაციასაც ამოცანად ისახავს სოციალ-დემოკრატიული პარტია; პროგრამის ქვაკუთხედი უნდა იყოს რუსეთის თანამედროვე ეკონომიური წყობილებისა და მისი განვითარების ძირითადი ნიშნების დახასიათება, ხოლო შემდეგ უნდა მოიხაზოს კაპიტალიზმის ძირითადი ტენდენცია — ბურჟუაზიად და პროლეტარიატად ხალხის გათიშვა, სიღატაკის ზრდაზე მითითება; დასასრულ, დებულება, რომელიც ზუსტად და რელიეფურად უნდა გამოიხატოს პარტიის პროგრამის პრინციპულ ნაწილში, ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დახასიათება.

ვ. ი. ლენინი საჭიროდ თვლიდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროგრამის პრინციპული ნაწილიდან შემდეგი პუნქტების ამოღებას:

„1) მითითებანი გლეხთა მიწათმფლობელობის ფორმაზე...; 2) მითითებანი ინტელიგენციის „მერყეობისა“ და სხვ. მიზეზებზე; 3) პუნქტი „პოლიტიკური წარმომადგენლობის თანამედროვე სისტემის გაუქმებისა და მისი პირდაპირი სახალხო კანონმდებლობით შეცვლის“ შესახებ; 4) პუნქტი „პოლიტიკური ბრძოლის საშუალებებზე“. ამის შესახებ ლენინი აღნიშნავდა: „ჩვენ, მართალია, ამ უკანასკნელ პუნქტში მოძველებულს ან უმართებულოს ვერაფერს ვხედავთ: პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საშუალებები სწორედ ისეთი უნდა იყოს, რომელნიც ნაჩვენებია „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მიერ (აგიტაცია, — რევოლუციური ორგანიზაცია, — „ხელსაყრელ მომენტში“ გადასვლა გადამწყვეტ თავდასხმაზე, რომელიც, პრინციპულად, ტერორზედაც არ იღებს ხელს), — მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მუშათა პარტიის პროგრამაში საჭირო არ არის მითითება მოქმედების იმ საშუალებებზე, რომელნიც აუცილებელი იყო რევოლუციონერთა საზღვარგარეთული ჯგუფის პროგრამაში 1885 წელს. პროგრამამ საშუა-

ლებათა საკითხი ღიად უნდა დატოვოს, საშუალებათა ამორჩევა უნდა მიენდოს მებრძოლ ორგანიზაციებსა და პარტიის ყრილობებს, რომლებიც აწესებენ პარტიის **ტაქტიკას**... ასევე სავე საკითხებს ეკუთვნის ტერორის საკითხიც... ტერორი ამჟამად ბრძოლის **მიზანშეუწონელი** საშუალებაა...

რაც შეეხება პირდაპირი სახალხო კანონმდებლობის საკითხს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი შეტანა პროგრამაში ამჟამად სრულიად არ არის საჭირო. სოციალიზმის გაბატონების პრინციპულად დაკავშირება **პარლამენტარიზმის შეცვლასთან** პირდაპირი სახალხო კანონმდებლობით — არ შეიძლება[1].

პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს ვ. ი. ლენინი ყოფდა საერთო დემოკრატიული რეფორმების, მუშების დასაცავად ზომების მიღებისა და გლეხობისათვის სასარგებლო ღონისძიებების მოთხოვნათა განყოფილებებად.

პროგრამის საერთო დემოკრატიული რეფორმების ყველა მოთხოვნას ლენინი მიზანშეწონილად მიიჩნევდა და მათში რაიმე არსებითი ცვლილებები არ შეჰქონდა. რაც შეეხება განყოფილებას მუშების დასაცავად ზომების მიღების შესახებ, მასში ლენინმა შეიტანა შესწორებები და საჭიროდ ჩათვალა პარტიას მოეთხოვა: 8-საათიანი სამუშაო დღე, ღამით მუშაობის აკრძალვა, 14 წლის ასაკამდე ბავშვების მუშაობის აკრძალვა, თვითეული მუშისათვის განუწყვეტელი დასვენება კვირაში არანაკლებ 36 საათისა, საფაბრიკო კანონებისა და საფაბრიკო ინსპექციის გავრცელება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგზე, მუშების მიერ ინსპექტორთა თანაშემწეების არჩევა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სასამართლოების დაარსება, ხელფასის საქონლით გასტუმრების საყოველთაო აკრძალვა, საკანონმდებლო გზით შეფაბრიკეების პასუხისმგებლობის დაწესება მუშების ყველა უბედური შემთხვევისა და დასახიჩრებისათვის და სხვ. ლენინი მოითხოვდა „მწარმოებელთა ასოციაციებისათვის სახელმწიფო დახმარების“ პროგრამიდან სრულიად ამოღებას.

შრომაში „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში“

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 284—285.

ვ. ი. ლენინი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროგრამის პროექტის აგრარული ნაწილის შესახებ წერდა: „ამ პროგრამის შეცდომა ის კი არაა, თითქოს მასში იყოს მცდარი პრინციპები ან მცდარი კერძო მოთხოვნები. არა. მისი პრინციპები სწორია, ხოლო ერთადერთი კერძო მოთხოვნა, მის მიერ წამოყენებული (ნადელზე უარის თქმის უფლება), იმდენად უდავოა, რომ ის ამჟამად სტოლიპინის ოავისებური კანონმდებლობით შესრულებული აღმოჩნდა. ამ პროგრამის შეცდომა მისი აბსტრაქტულობაა, ის, რომ მასში არ არის არავითარი კონკრეტული შეხედულება საგანზე. ეს, სწორედ რომ ვთქვათ, პროგრამა კი არაა, მეტად ზოგადი მარქსისტული განცხადებაა. რასაკვირველია, უაზრობა იქნებოდა ეს შეცდომა დანაშაულად ჩაგვეთვალა პროგრამის შემდგენელთათვის, რომლებიც ჯერ კიდევ მუშათა პარტიის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე პირველად აყალიბებდნენ ცნობილ პრინციპებს. პირიქით, განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ ვარემოებას, რომ ამ პროგრამაში ოცი წლით ადრე რუსეთის რევოლუციამდე აღიარებულია საგლეხო რეფორმის საქმის „რადიკალურად გადასინჯვის“ აუცილებლობა[1].

ასეთია „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროგრამის პროექტების ლენინური შეფასება.

* * *

ფრიად ნაყოფიერი იყო „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის საგამომცემლო მოღვაწეობა.

ჯგუფმა გამოსცა მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებთა თარგმანების დიდი რაოდენობა, თვით ჯგუფის წევრებისა და სხვა ავტორების შრომები და ოფიციალური პროგრამული დოკუმენტები.

ჯგუფის წევრებმა 1883 — 1894 წლებში თარგმნეს და გამოსცეს მარქსისა და ენგელსის შრომები: „დაქირავებული შრომა და კაპიტალი“, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, (რომელიც თარგმნა და წინასიტყვაობა

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 312—313.

წარუმძღვარა ვერა ზასულიჩმა. გამოვიდა იგი სახელწოდებით „მეცნიერული სოციალიზმის განვითარება“. თარგმანს მაღალი შეფასება მისცა ენგელსმა. ამასთან დაკავშირებით ლაპარაკობდა იგი რუსული ენის სილამაზეზე), „ფილოსოფიის სიღატაკე“, „სიტყვა ეაჭრობის თავისუფლების შესახებ“, „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“, „ლუდვიგ ფოიერბახი“, „რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესახებ“; „რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირში“ შესვლის გამო დროებით შეწყვეტილი ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობის განახლების შემდეგ, 1900 წელს გამოვიდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა“ და „სოციალიზმის განვითარების...“ მეორე გამოცემები და პლეხანოვის „Предисловие к „Vademecum“ для редакции „Рабочего дела“.

საგამომცემლო გეგმის მეორე განყოფილებიდან, გარდა პლეხანოვის შრომებისა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და „ჩვენი უთანხმოებანი“, ჯგუფმა გამოსცა მისივე შრომები „ფერდინანდ ლასალი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“ (ნაწილი 1) და „სოციალისტების ამოცანების შესახებ რუსეთში შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ჯგუფს განზრახული ჰქონდა გამოეცა მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული და კიდევაც დაიწყო ასეთი კრებულის ბეჭდვა „შრომის სიმღერების“ სახელწოდებით. მასში შედიოდა ნ. ნეკრასოვის, ჰაინესა და სხვ. ლექსები. კრებული მუშამკითხველებისათვის იყო გათვალისწინებული.

1886 წელს პლეხანოვისა და აქსელროდის ხელმოწერით გამოქვეყნდა მოწოდება ამერიკაში მყოფი რუსი მუშებისადმი. მოწოდებაში პლეხანოვი და აქსელროდი განმარტავდნენ, რომ ჯგუფის პირდაპირს და უშუალო ამოცანას წარმოადგენს ლიტერატურის გამოცემა მუშებისათვის და ამერიკაში მყოფ რუსი მუშებისაგან მოითხოვდნენ მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას.

1884 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს განზრახული აქვს „მუშათა ბიბლიოთეკის“ სერიის გამოცემა მუშათა უფ-

რო განვითარებული ფენებისათვის. ამ სერიიდან 1903 წლამდე 12 ბროშურა გამოვიდა.

1888 წელს ჯგუფმა გამოსაცემად მოამზადა ლიტერატურულ-პოლიტიკური კრებული „სოციალ-დემოკრატი". 1892 წლამდე გამოვიდა ამ კრებულის ოთხი ნომერი. „სოციალ-დემოკრატის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ზოგიერთი წერილის თარგმანი მარქსისა და ენგელს მიმოწერიდან სათაურით „მარქსის 1843 წლის მიმოწერიდან". მასშივე დაიბეჭდა ენგელსის ორი სტატია და კარლ მარქსის ქალიშვილის ელეონორა მარქს-ეველინგის სტატია „ლონდონის ნავსაკეთებზე გაფიცვების გამო".

„საზღვარგარეთის რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირში" შესვლის შემდეგ „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი მონაწილეობას იღებდა კავშირის გამოცემათა რედაქტირებაში. რაზედაც ამავე კავშირის ოპორტუნისტულ უმრავლესობასთან — ეკონომისტებთან უთანხმოების გამო უარი განაცხადა კავშირის 1 ყრილობაზე 1898 წელს.

90-იანი წლების ბოლოს ჯგუფი გამოვიდა აღნიშნული კავშირიდან და განაახლა თავისი ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობა. ვ. ი. ლენინი მთელი სულითა და გულით მიესალმებოდა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის ლიტერატურული მოღვაწეობის განახლებას.

ლენინს მხედველობაში ჰქონდა არა ჯგუფის დეკლარაცია, არამედ მისი წარსული, ნაყოფიერი ლიტერატურულ-საგამომცემლო მოღვაწეობა.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის სასახელოდ უნდა აღინიშნოს მისი მონაწილეობა გაზეთ „ისკრის" ორგანიზაციის საქმეში.

თავისი გამოცემების გავრცელების გზაზე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. ჯგუფის მოღვაწეობის პირველ წლებში არ ხერხდებოდა მისი გამოცემების რამდენადმე საგრძნობი რაოდენობით შემოზიდვა რუსეთში. წიგნების გაგზავნის ცდები სისტემატურად იშლებოდა. დროდადრო ხერხდებოდა წიგნების მცირე პარტიების გაგზავ-

ნა სამშობლოში დაბრუნებული რუსი სტუდენტების საშუალებით.

80-იანი წლების ბოლოდან კი ჯგუფის გამოცემები შედარებით ფართოდ გავრცელდა. მუშათა წრეებში ეცნობოდნენ და დიდის ინტერესით განიხილავდნენ პლეხანოვის სტატიას— „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა". ჯგუფის ლიტერატურა იმაზე ბევრად მეტი ვრცელდებოდა, ვიდრე მისი შემოზიდვა ხერხდებოდა საზღვარგარეთიდან. არალეგალური სტამბები რუსეთში აწარმოებდნენ ჯგუფის გამოცემათა გამრავლებასა და გავრცელებას. გარდა მოსკოვისა და პეტერბურგისა, ჯგუფის გამოცემები შეჰქონდათ ოდესაში, იაროსლაველში, ვორონეჟში, მინსკში, კიევში, ვილნოში.

90-იანი წლების დასაწყისში „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის გამოცემები გამოჩნდა საქართველოშიაც, სადაც მარქსიზმის გავრცელება დაიწყო მუშათა მოძრაობის ზრდის ნიადაგზე პლეხანოვისა და მისი ჯგუფის უშუალო გავლენით. ჯგუფის გამოცემები საქართველოში შემოჰქონდათ კავკასიაში გადმოსახლებულ რუს მარქსისტებს და კავკასიელ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ რუს მარქსისტებთან. პლეხანოვის შრომებმა დიდი როლი შეასრულა საქართველოში მარქსიზმის გავრცელების საქმეში. 90-იანი წლების დასაწყისში მათ გულმოდგინედ ეცნობოდნენ რევოლუციურად განწყობილი ქართველი ინტელიგენტები: მწერალი ეგნატე ნინოშვილი, ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და მოწინავე მუშები ზ. ჩოდრიშვილი, მ. ბოჟორიძე და სხვ. ამ ხანებში ფ. აფანასიევმა, ს. რენინგერმა და ვ. ცაბაძემ თბილისში დააარსეს პირველი მუშათა არალეგალური ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარი იყო მარქსისტული ლიტერატურით, „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის გამოცემებით.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მიერ გამოცემული ლიტერატურა რუსეთის რევოლუციური ინტელიგენციის წრეებში აქარწყლებდა ნაროდნიკობის გავლენას და ნიადაგს ამზადებდა მარქსიზმის გამარჯვებისათვის რუსეთში.

ჯგუფის გამოცემათა დიდი გავლენის შესახებ თვით ნაროდნიკები ლაპარაკობდნენ. ნაროდოვოლცელი ქალი ს. გინსბურგი 1887 წელს ლავროვს სწერდა იმის შესახებ, რომ რუსეთი აივსო „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გამოცემებით და, რომ პლეხანოვის წიგნებს „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და „ჩვენი უთანხმოებანი“, რუსეთში მეტად ძლიერი გავლენა აქვთ.

მუშათა რევოლუციური მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიული წრეების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნილება ჯგუფის გამოცემებზე. 1893 წლის დასაწყისში აქსელროდი ატყობინებდა პლეხანოვს, რომ რუსეთიდან მოსულია დიდძალი შეკვეთები ლიტერატურაზე.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს საგამომცემლო საქმიანობაში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა, მაგრამ იგივე არ ითქმის მის ორგანიზაციულ მუშაობაზე.

ორგანიზაციული შოლვაწეობა ჯგუფის ყველაზე სუსტი მხარე იყო. ამ დარგში ფაქტიურად მხოლოდ დეიჩი მუშაობდა.

ჯგუფი არ წარმოადგენდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ორგანიზაციულ ცენტრს, მას არ ჰყავდა თავისი კომიტეტები ადგილებზე, არ აწარმოებდა ახალ წევრთა მიღებას. ერთადერთი კაცი, რომელიც ჯგუფს შეემატა, გრინფასტი იყო. იგი ასრულებდა დეიჩის ფუნქციების ნაწილს, კერძოდ, საგამომცემლო საქმეში. ლ. დეიჩი ჯგუფის ორგანიზაციულ, ფინანსურ და ადმინისტრაციულ სამუშაოებს განაგებდა. ჯგუფის გამოცემების რუსეთში შეტანის ერთ-ერთი ცდის დროს 1884 წელს იგი ფრეინბურგში დააპატიმრეს და მეფის მთავრობას გადასცეს.

1889 წლის შემოდგომაზე „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა შექმნა „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული კავშირი“. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა — ჟურნალი „სოციალ-დემოკრატი“ და ერთდროული კრებული „რაბოტნიკი“ ამ კავშირის სახელით გამოდიოდა.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა ვერ შეასრულა რუსეთის რევოლუციურ წრეებთან დამაკავშირებელი ცენტრის

როლი. რუსეთის მუშათა კლასთან, მუშათა რევოლუციურ წრეებთან მეტად სუსტმა კავშირმა თავისებური კვალი დააჩნია ჯგუფის საგამომცემლო საქმიანობას. ჯგუფის წევრები ძირითადად დასავლეთის მუშათა მოძრაობის შესახებ წერდნენ, ხოლო რუსეთის მუშათა მოძრაობის საკითხებზე ეპიზოდური ცნობებით კმაყოფილდებოდნენ.

ასეთ ორგანიზაციას, ცხადია, არ შეეძლო რუსეთში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნის ამოცანის გადაჭრა.

თავი III

მარქსიზმის ფუძემდებლები და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. ჯგუფის მნიშვნელობა.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნამდე პლეხანოვი და მომავალი ჯგუფის სხვა წევრები პირადად არ შეხვედრიან მარქსსა და ენგელსს და წერილობითი კავშირიც ნაკლებად ჰქონდათ მათთან.

„ზემლია ი ვოლიას“ საზოგადოების გათიშვის შესახებ მარქსსა და ენგელსს ცალმხრივი ცნობები ჰქონდათ გ. ლოპატინის, ლ. ჰარტმანის, პ. ლავროვისა და ნ. მოროზოვისაგან.

ნაროდოვოლცები ლავროვი და ლოპატინი მარქსისა და ენგელსის მუდმივი კორესპონდენტები იყვნენ, მაგრამ ისინი თავიანთი თვალსაზრისით აშუქებდნენ რუსეთის რევოლუციონერთა საქმიანობას და მარქსსა და ენგელსს არაფერს ატყობინებდნენ იმის შესახებ, რომ ჩერნოპერედელცებს შორის იწყებოდა ნაროდნიკული მსოფლმხედველობის გადასინჯვა. რომ მათი ერთი ნაწილი უკვე აშკარად იხრებოდა მარქსისტული მოძღვრებისაკენ, რომ პლეხანოვი უკუაგდებდა ბაკუნისტურ შეხედულებებს და მეცნიერული სოციალიზმის პოზიციებზე დგებოდა.

იცნობდა რა „ჩორნი პერედელის“ ჯგუფის ლიტერატურულ საქმიანობას მხოლოდ ნაროდოვოლცებისაკან მიღებული მასალებიდან, მარქსი განიხილავდა მას, როგორც რუსი ანარქისტების — ბაკუნისტების ჯგუფს.

წეოილში ფ. ზორგესადმი (1880 წლის 5 ნოემბერი) მარქსი ჯერ იმას აღნიშნავდა, რომ დიდია მათი წარმატება რუსეთში, სადაც „კაპიტალს“ მეტად კითხულობენ და აფასებენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში; შემდეგ კი სწერდა, რომ „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ახლახან პეტერბურგს საიდუმლოდ დაბეჭდილმა და გამოცემულმა პროგრამამ დიდი გულისწყრომა გამოიწვია შვეიცარიაში მყოფ რუს ანარქისტთა შორის (მხედველობაში ჰყავდა პლეხანოვი და მისი მომავალი ჯგუფის სხვა წევრები—გ. ს.), რომლებიც ჟენევაში „Черный передел“-ს უშვებენ. ბევრმა მათგანმა (ყველამ არა) რუსეთი თავისი ნებასურვილით მიატოვა და წინააღმდეგ ტერორისტებისა, რომლებიც საკუთარ თავს ხიფათში აგდებენ, ისინი აყალიბებენ ეგრეთ წოდებულ პროპაგანდის პარტიას (იმისათვის, რომ რუსეთში პროპაგანდა აწარმოონ, ჟენევაში მიემგზავრებიან! რა უაზრობაა!)“[1].

ვერა ზასულიჩის მიერ 1881 წლის 16 თებერვალს მარქსისადმი გაგზავნილი წერილით საფუძველი ჩაეყარა მარქსთან და ენგელსთან მომავალი რუსი მარქსისტების წერილობით ურთიერთობას.

ზასულიჩი მარქსს სწერდა:

„თქვენთვის საკმაოდ ცნობილია, რომ თქვენი „კაპიტალი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსეთში. გამოცემის კონფისკაციის მიუხედავად, დარჩენილი ეგზემპლარების მცირე რაოდენობას დიდი ინტერესით კითხულობს ჩვენი ქვეყნის მეტნაკლებად განათლებულ ადამიანთა ფართო წრეები, და სერიოზული ადამიანები სწავლობენ მას. მაგრამ ის, რაც თქვენთვის ალბათ ცნობილი არაა, ეს არის როლი, რომელსაც თქვენი „კაპიტალი“ თამაშობს ჩვენს დავაში რუსეთში აგრარული საკითხისა და ჩვენი სასოფლო თემის შესახებ. თქვეხ უკეთესად იცით, ვიდრე სხვა ვინმემ, თუ რა საჭირბოროტო საკითხია ეს რუსეთში. თქვენ იცით რას ფიქრობდა მასზე ჩერნიშევსკი. ჩვენი მოწინავე ლიტერატურა, როგორც, მაგალითად, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, განაგრძობს მისი იდეების

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 372.

განვითარებას. მაგრამ ეს საკითხი, ჩემის აზრით, — სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, განსაკუთრებით ჩვენი სოციალისტური პარტიისათვის. ამ საკითხზე ასეთი თუ ისეთი თვალსაზრისისაგან დამოკიდებულია ჩვენი რევოლუციური სოციალისტების პირადი ბედიც კი...

ამიტომ თქვენ... გაგვიგებთ რაოდენ საინტერესოა ჩვენთვის თქვენი აზრი ამ საკითხზე და რა დიდ სამსახურს გაგვიწევდით, თუ გაგვიზიარებდით თქვენს აზრს ჩვენი სასოფლო თემის შესაძლებელ ბედზე და იმ თეორიაზე, რომ ისტორიული გარდუვალობის ძალით მსოფლიოს ყველა ქვეყანამ უნდა გაიაროს კაპიტალისტური წარმოების ყველა ფაზა"[1].

ამ წერილით მარქსისათვის ნათელი გახდა, რომ ჩერნოპერედელცები უკვე ცდილობდნენ პასუხი გაეცათ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მტკივნეულ საკითხებზე.

„კაპიტალში" მოცემული ანალიზი, — სწერდა მარქსი ზასულიჩს, — არ იძლევა არავითარ საბუთს რუსული თემის სიცოცხლისუნარიანობის არც სასარგებლოდ და არც საწინააღმდეგოდ, მაგრამ ჩემს მიერ პირველ წყაროებიდან ამოღებული მასალების საფუძველზე წარმოებულმა სპეციალურმა შესწავლამ მე დამარწმუნა, რომ ეს თემი რუსეთის სოციალური აღორძინების დასაყრდენ წერტილს წარმოადგენს; მაგრამ იმისათვის, რომ მან შესძლოს ფუნქციონირება როგორც ასეთმა, ამისათვის ჯერ საჭირო იქნება იმ გამხრწნელი ზეგავლენების მოცილება, რომელსაც იგი ყოველი მხრიდან განიცდის, ხოლო შემდეგ თავისუფალი განვითარების ნორმალური პირობების უზრუნველყოფა"[2].

მარქსი და ენგელსი პირველნი იყვნენ, რომელთაც რუსი ნაროდნიკები გააკრიტიკეს. ისინი მიუთითებდნენ ნაროდნიკული თეორიების სიყალბეზე, მათს ანტიმეცნიერულ და ანტიისტორიულ ბუნებაზე და ცდილობდნენ დახმარებოდნენ რუს პოლიტიკურ მოღვაწეებს რუსეთის საზოგადოებრივი

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, стр. 299 — 300, 1951.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი. 1949, გვ. 379.

განვითარების ხასიათის გაგებაში და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი გზების მონახვაში.

მარქსი გარდაიცვალა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნამდე რამდენიმე თვით ადრე. 1883 წლის 14 მარტს. ენგელსი ამის შემდეგ კიდევ დიდხანს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას.

ვერა ზასულიჩმა ენგელსს აცნობა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნა.

ამის შემდეგ ენგელსი რუსეთის მდგომარეობის შესახებ სულ უფრო და უფრო მეტ ინფორმაციას ღებულობდა, მაგრამ ახლა უკვე მარქსისტული ბანაკიდან.

მას შემდეგ, რაც ენგელსი ახლო გაეცნო ჯგუფის მოღვაწეობას და გაიგო, რომ პლეხანოვი და მისი თანამებრძოლები ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ მარქსიზმის გავრცელებისათვის რუსეთში, იგი დაინტერესდა ჯგუფის საქმიანობით და დიდ დახმარებას უწევდა მას.

პლეხანოვი და ზასულიჩი განუწყვეტლივ აწვდიდნენ ინფორმაციას ენგელსს, სისტემატურად უგზავნიდნენ მას ჯგუფის გამოცემებს, მიმართავდნენ დახმარებისათვის და ყოველთვის ღებულობდნენ მისგან ძვირფას მითითებებსა და რჩევა-დარიგებას.

ზასულიჩმა ენგელსს შეატყობინა, რომ მან გადასწყვიტა რუსულ ენაზე ეთარგმნა ენგელსის შრომა „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“. ამასთან დაკავშირებით ენგელსი ზასულიჩს სწერდა:

„დიდად მასიამოვნა თქვენმა ცნობამ, რომ სწორედ თქვენ იდეთ თავს ჩემი „(სოციალიზმის) განვითარების და ა. შ.“ თარგმნა. მოუთმენლად ველი თქვენი შრომის გამოქვეყნებას და სავსებით ვაფასებ იმ პატივს, რომელსაც თქვენ მდებთ“[1].

ზასულიჩმა კეთილსინდისიერად და ჩინებულად თარგმნა ეს შრომა, რამაც აღაფრთოვანა ენგელსი. ავტორი მთარგმნელს სწერდა:

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, 1951, стр. 303.

„ძალიან მესიამოვნა, თქვენ რომ მწერთ რუსეთში სოციალიზმის თეორიის წიგნთა შესწავლა გაიზარდაო. თეორიულმა და კრიტიკულმა აზრმა, რომელიც ჩვენი გერმანული სკოლებიდან თითქმის სრულიად გაჰქრა, როგორც ჩანს, თავშესაფარი რუსეთში ჰპოვა...

ჩემი ბრიოშურის თქვენი თარგმანი მე ჩინებული მგონია. რა ლამაზია რუსული ენა! მას გერმანული ენის ყველა უპირატესობა აქვს, გარდა მისი საშინელი სიტლანქისა“ [1].

ენგელსმა მოიწონა აგრეთვე მარქსის „ფილოსოფიის სიღატაკის“ ზასულიჩისეული თარგმანი.

ენგელსს გაუგზავნეს პლეხანოვის შრომა „ჩვენი უთანხმოებანი“ და თხოვეს გამოეთქვა თავისი აზრი ამ შრომის შესახებ. ენგელსი ზასულიჩს სწერდა, რომ იგი რამდენჯერმე შეუდგა „ჩვენი უთანხმოებანის“ კითხვას, მაგრამ სხვადასხვა გარემოებამ ხელი შეუშალა დაემთავრებინა იგი.

„... „უთანხმოებათა“ 60 გვერდზე მეტი ვერ წავიკითხე,— სწერდა ენგელსი.—მხოლოდ სამი თავისუფალი დღე რომ მქონდეს, ამ საქმეს დავამთავრებდი და მეც რუსული ენის ჩემს ცოდნას განვიახლებდი.

მაგრამ, მე ვფიქრობ, ისიც კმარა, რაც წავიკითხე, იმისათვის, რომ ცოტად თუ ბევრად იმ უთანხმოებათა კურსში შემიყვანოს, რომლებზეც ლაპარაკია...

...მე ვამაყობ იმით, რომ რუს ახალგაზრდათა შორის არსებობს-ისეთი პარტია, რომელმაც გულწრფელად და მოურიდებლად მიიღო მარქსის დიადი ეკონომიური და ისტორიული თეორიები, და გადაჭრით გასწყვიტა კავშირი თავისი წინამორბედების ანარქისტულ და რამდენადმე სლავიანოფილურ ტრადიციებთან. თვითონ მარქსიც იამაყებდა ამით, ცოტა კიდევ რომ ეცოცხლნა. ეს ისეთი პროგრესია, რომელსაც თავისი დიდი მნიშვნელობა ექნება რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის...“[2]

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 410—411.

[2] იქვე. გვ. 425 — 426.

პლეხანოვს გადაწყვეტილი ჰქონდა 1885 წელს ლონდონს გამგზავრებულიყო ენგელსის სანახავად. მაგრამ, ფინანსური ხელმოკლეობის გამო, ლონდონს მისი გამგზავრება ამ წელს არ მოხერხდა.

80-იანი წლების ბოლოს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი საკმარისად იყო ცნობილი საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. მან ჰპოვა საერთაშორისო აღიარება, როგორც პირველმა მარქსისტულმა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩანასახმა რუსეთში.

პლეხანოვი ენგელსს გაეცნო 1889 წელს, II ინტერნაციონალის I კონგრესზე. ენგელსთან შეხვედრის წინ პლეხანოვი ერთ მეგობარს სწერდა — თქვენი ნახვა მთელი გულით მინდა, ენგელსისა კი — მთელი თავითო [1].

II ინტერნაციონალის I კონგრესს პლეხანოვი და აქსელროდი ესწრებოდნენ, როგორც „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წარმომადგენლები. კონგრესის მსვლელობისას მათთან პირად საუბარში პ. ლაფარგი და ვ. ლიბკნეხტი ანვითარებდნენ სრულიად მცდარ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ იმ დროს არ არსებობდა სათანადო პირობები რუსეთში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შექმნისათვის. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წარმომადგენლებმა ენგელსი დაარწმუნეს ასეთი თვალსაზრისის უნიადაგობაში. პლეხანოვმა ენგელსს დაწვრილებით გააცნო მუშათა მოძრაობის მდგომარეობა რუსეთში. ენგელსი საკუთარი დარწმუნდა, რომ რუსეთში იმ დროს უკვე არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ზრდისათვის საჭირო ყველა პირობა.

თავისი გამოსვლა ამ კონგრესზე პლეხანოვმა დაამთავრა ფრიად მნიშვნელოვანი განცხადებით: „რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში შეუძლია გაიმარჯვოს, როგორც მხოლოდ მუშათა რევოლუციურმა მოძრაობამ. სხვა გამოსავალი ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს“ [2].

---

[1] Литературное наследие Плеханова, Сб. 8, стр. 250.

[2] Г. В. Плеханов, соч., изд. 2-е, т. IV, стр. 54.

II ინტერნაციონალის ბრიუსელის 1891 წლის კონგრესს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წარმომადგენელი არ დასწრებია. ჯგუფმა ამ კონგრესს გაუგზავნა წერილობითი მოხსენება რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობის შესახებ რუსეთში. ციურიხის 1893 წლის კონგრესს კი პლეხანოვი დაესწრო, როგორც პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ნიუ-იორკში არსებული „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული საზოგადოების“ დელეგატი. ამგვარად, პირველად ამ კონგრესზე დასასწრებლად მიიღო პლეხანოვმა მანდატი რუსეთში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან. პლეხანოვი მუშაობდა II ინტერნაციონალის ციურიხის კონგრესის სამხედრო კომისიაში და კონგრესზე მოხსენებით გამოვიდა დღის წესრიგის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხზე — ომის შესახებ.

პლეხანოვი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანულ და ფრანგულ სოციალისტურ ორგანოებში. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებთან (ვილჰელმ ლიბკნეხტი, ჟიულ გედი, პოლ ლაფარგი, ელეონორა მარქს-ეველინგი და სხვ.).

ენგელსი იცნობდა რუსი მარქსისტების მიერ გერმანული „სოციალ-დემოკრატის“ ფურცლებზე გამართულ დავას, რაც გამოწვეული იყო რუსი მუშებისადმი ცილისწამებით, თითქოს ისინი მომწიფებული არ იყვნენ და ძალა არ შესწევდათ გაეგოთ მეცნიერული ლიტერატურა. პლეხანოვი მამაცურად იბრძოდა ასეთი ცილისწამების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მას ენგელსის მხარდაჭერა ამხნევებდა.

ენგელსი გულდასმით გაეცნო „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის ორგანოს „სოციალ-დემოკრატის“ პირველ კრებულს. ამასთან დაკავშირებით მისწერა მან ზასულიჩს: წინასწარვე განვიცდიდი სიამოვნებას, რომ თქვენი და პლეხანოვის სტატიების წაკითხვა მომელოდაო [1].

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, 1951, стр. 314.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მტკიცდებოდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრთა კავშირი ენგელსთან.

1893 წლის მარტში პლეხანოვი ენგელსს სწერდა: „ძვირფასო და ღრმად პატივცემულო მასწავლებელო!.. მე პირველი არ გწერდით თქვენ მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდოდა შემეწუხებინეთ და თქვენთვის დრო წამერთმია. ამ წუთს ჩემი ოცნებაა ლონდონს გამომგზავრება, სადაც საშუალება მექნება თქვენ შეგხვდეთ და მოგელაპარაკოთ რუსეთის მდგომარეობაზე და ჩემს თეორიულ შრომებზე... გადმომცეს, რომ თქვენ მიგიწერიათ კაუცკისათვის რამდენიმე საქებარი სიტყვა ჩემზე ჩემი სტატიის გამო ჰეგელის შესახებ. თუ ეს მართალია, სხვა ქება აღარ მინდა. ყველაფერი, რასაც მე ვისურვებდი, ეს არის ვიყო არცთუ მთლად უღირსი მოწაფე ისეთი მასწავლებლებისა, როგორიც მარქსი და თქვენ ბრძანდებით“[1].

საპასუხო წერილში ენგელსი პლეხანოვს სთხოვდა აღარ ეწოდებინა მისთვის „მასწავლებელი“, „მე უბრალოდ ენგელსი მქვიანო“[2], სწერდა იგი პლეხანოვს.

1894 წლის ოქტომბრის დამლევს პლეხანოვი ჟენევიდან ლონდონს ჩავიდა. მას უნდოდა მარქსისა და ენგელსის საკუთარ ბიბლიოთეკაში წაეკითხა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შრომების რამდენიმე იშვიათი ეგზემპლარი. რამდენჯერმე ესტუმრა პლეხანოვი ენგელსს, უნდოდა ნებართვა ეთხოვნა. მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გაბედა და შემდეგ წერილით მიმართა. პლეხანოვი სწერდა: „...და აი მე მოვდიოდი თქვენთან, რომ მეთხოვნა ნებართვა გადამეთვალიერებინა ისინი, მაგრამ არც ერთხელ არ მეყო გამბედაობა: მეშინოდა, რომ ხელს შეგიშლიდით...

მთელი ჩემი სიცოცხლის ამოცანად ვთვლი თქვენი და მარქსის იდეების პროპაგანდას. მაშასადამე, საჭიროა კარგად ვიცოდე ეს იდეები. ვიმედოვნებ, თქვენ მხედველობაში მიიღებთ ამ შემამსუბუქებელ გარემოებას“[3].

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, 1951, стр. 324 — 325.

[2] იქვე. გვ. 326.

[3] იქვე. გვ. 335.

ენგელსმა პლეხანოვს აცნობა, რომ რამდენსამე დღეში ბიბლიოთეკას წესრიგში მოიყვანდნენ და მას შესაძლებლობა ექნებოდა შეესრულებინა თავისი განზრახვა. „...შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენ მიიღებთ ყველა წიგნს, გაზეთს და სხვ., რის პოვნასაც კი შეეძლებ თქვენთვის საინტერესო სპეციალური ლიტერატურიდანო“[1] — სწერდა ენგელსი პლეხანოვს.

ვერა ზასულიჩმა ენგელსს გადასცა პლეხანოვის შრომა „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“. ამის გამო, 1895 წლის 8 თებერვალს, ენგელსი პლეხანოვს სწერდა:

„ვერამ გადმომცა თქვენი წიგნი, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ. კითხვას შევუდექი, მაგრამ ეს გარკვეულ დროს მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში უკვე დიდი წარმატებაა ის, რომ თქვენ მიაღწიეთ მის გამოცემას **თქვენს ქვეყანაში**. ეს კიდევ ერთი ეტაპია, და თუნდაც ვერ შეეძლოთ შევინარჩუნოთ ის ახალი პოზიცია, რომელიც ჩვენ ეს-ესაა დავიპყარით, ეს მაინც პრეცედენტია, — ყინული გატეხილია“[2].

წერილებში ენგელსისადმი პლეხანოვი მიუთითებდა ლიბერალური ნაროდნიკობის გამოჩენილი იდეოლოგების, კერძოდ, დანიელსონის რეაქციულ შეხედულებებზე და იმ ზიანზე, რაც მათ შეეძლოთ მიეყენებინათ რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის. დანიელსონი ნიკოლოზ II-ის მთავრობას ახასიათებდა, როგორც იმეთ მთავრობას, რომელსაც შეეძლო თავს ედო ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა. ამის გამო თვლიდა პლეხანოვი დანიელსონს რეაქციონერად და უტოპისტად. პლეხანოვი ენგელსს სთხოვდა თავისი აზრი გამოეთქვა დანიელსონის მავნე შეხედულებებზე და ამით გაემაგრებინა რუსი მარქსისტები ლიბერალური ნაროდნიკობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1895 წლის 26 თებერვალს ენგელსი პლეხანოვს სწერდა: „რაც შეეხება დანიელსონს, ვშიშობ, რომ მასთან ვერაფერს

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, 1951, стр. 335.

[2] იქვე, გვ. 338.

გააწყობ, მე მას წერილით გავუგზავნე მასალები ჩემი კრებულიდან... მან ის მიიღო, მაგრამ, როგორც თქვენ ხედავთ, არაფერი შედეგი არ მოჰყოლია. სრულიად შეუძლებელია ეკამათო რუსების იმ თაობას, რომელსაც ის ეკუთვნის და რომელსაც კიდევ სწამს სტიქიური-კომუნისტური მისია, რომლითაც თითქოს განსხვავდება წმინდა რუსეთი სხვა ურწმუნო ხალხებისაგან.

თუმცა ისეთ ქვეყანაში, როგორიც თქვენი ქვეყანაა, სადაც თანამედროვე მსხვილი მრეწველობა დამყნობილია პირველყოფილ გლეხურ თემზე და სადაც ერთდროულად წარმოდგენილია ცივილიზაციის ყველა შუალედი ფაზები, ისეთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია დესპოტიზმის მიერ აღმართული, მეტნაკლებად მყარი, ინტელექტუალური ჩინური კედლით, გასაკვირი არაა, იდეათა ყოვლად უცნაური და გაუგონარი კომბინაციების წარმოშობა... ნაროდნიკს, ყოფილ ტერორისტს, სავსებით შეუძლია დაამთავროს იმით, რომ მონარქისტი გახდეს"[1].

პლეხანოვი ენგელსს პირად საკითხებზეც მიმართავდა ხოლმე დარიგებისა და დახმარებისათვის. პლეხანოვმა ენგელსს შეატყობინა, რომ ვერა ზასულიჩი ავადმყოფობს, მაგრამ არ მკურნალობს და სთხოვა ზეგავლენა მოეხდინა ზასულიჩზე.

ამ ფაქტისადმი ენგელსის გამოხმაურება ადამიანზე ზრუნვის უმაღლესი გამოხატულებაა. ენგელსმა ექიმი ფრეიბერგერი გაგზავნა ზასულიჩის სამკურნალოდ (ამ დროს ზასულიჩი ლონდონში ცხოვრობდა) და საკუთარ ფულს სთავაზობდა პლეხანოვს ავადმყოფის ჯანმრთელობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

1895 წლის თებერვლის დამლევს ენგელსი პლეხანოვს სწერდა:

„აი უკვე ერთი კვირაა, რაც ყველაფერი მოგვარდა. ვერაძ მომწერა, რომ იგი დიდი ხალისით იმკურნალებს ფრეიბერგერთან. უკანასკნელი მასთან იყო ერთი კვირის წინ და მას შემ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 530 — 531.

დეგ კიდევ ორჯერ. მას ძლიერი ბრონქიტი აღმოაჩნდა და გამოეწერა საჭირო წამლები. მაგრამ იგი (ფრეიბერგერი — გ. ა.) ამბობს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კვების სისტემის შეცვლა...

...თქვენ უნდა მითხრათ სასურველია თუ არა მას ფული? თუ კი, გთხოვთ ნებართვას შემოგთავაზოთ მისთვის ცოტაოდენი ფული... გამოგიგზავნით, ვთქვათ, ჯერ ხუთ ფუნტს, თქვენ შეეცდებით მიიღოს მან იგი ვითომც **თქვენგან**, ისე რომ მე სრულიად არ ვჩანდე. შეგიძლიათ უთხრათ, რომ ამ ფულს თქვენ უგზავნით იმისათვის, რომ მას არავითარი საბაბი არ ჰქონდეს უარი თქვას რეჟიმის შეცვლაზე, და რომ ფრეიბერგერს რეჟიმის ასეთი შეცვლა აუცილებლად მიაჩნია. ან და სხვა რამ მოიფიქრეთ"[1].

ენგელსი ხშირად ხვდებოდა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის ლონდონში მცხოვრებ წევრებს და ზოგჯერ თვითონაც მიდიოდა მათთან ბინაზე.

1895 წლის ზაფხულის დასაწყისში პლეხანოვი ენგელსს აცნობებდა მოსკოვში გამართული მაისობის, პეტერბურგის მუშათა გაფიცვებისა და სხვათა შესახებ. იგი სწერდა: „რევოლუციური მოძრაობა არასოდეს არ ყოფილა ასე ძლიერი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში, მაგრამ მთავრობა თავდაცვით ზომებს ღებულობს. რუსეთში ცეცხლ-ცხელება იწყება"[2]

1895 წლის 5 აგვისტოს მეცნიერული სოციალიზმის მეორე დიდი ფუძემდებელი ფრიდრიხ ენგელსი გარდაიცვალა. პლეხანოვის აღნიშნულ წერილზე პასუხის გაცემა მან ვეღარ მოასწრო.

კ. მარქსის ქალიშვილს ელეონორა მარქს-ეველინგს პლეხანოვმა გაუგზავნა ფრანგულიდან ინგლისურად გადასათარგმნელად თავისი შრომა „ანარქიზმი და სოციალიზმი".

---

[1] Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями. 1951, стр. 340 — 341.

[2] იქვე, გვ. 345.

ამით ფრიად კმაყოფილი ე. მარქს-ენგელინგი პლეხანოვს სწერდა: „ათასჯერ გმადლობთ იმისათვის, რომ მე მანდეთ თქვენი ბროშურის თარგმნა. ხელნაწერი გუშინ დილით მივიღე და დაუყოვნებლივ შევუდექი მუშაობას...."[1]

* * *

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობის გავლენით გაიზარდა რუსეთში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. ჯგუფის გამოცემებმა და მარქსისტულად გათვითცნობიერებული რევოლუციური კადრების მომზადებამ ხელი შეუწყო მარქსისტული წრეებისა და ჯგუფების შექმნას.

პლეხანოვის ჯგუფის გავლენით და მისგან დამოუკიდებლად იმ დროს შექმნილმა მარქსისტულმა ჯგუფებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში.

1883 წლის დეკემბერში პეტერბურგში ჩამოყალიბდა „მცირერიცხოვანი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „რუსი სოციალ-დემოკრატების პარტიის" სახელწოდებით. ნაკში თავდაპირველად 19 კაცი გაერთიანდა. მათი უმრავლესობა სტუდენტები იყვნენ. ეს ჯგუფი მარქსისტული მოძრაობის ისტორიაში ცნობილია ბლაგოევის ჯგუფის სახელით.

ჯგუფის ორგანიზატორი, პეტერბურგის უნივერსიტეტის მაშინდელი სტუდენტი, შემდეგში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი დიმიტრი ნიკოლოზისძე ბლაგოევი ცდილობდა ერთიან ორგანიზაციად გაეერთიანებინა სოციალ-დემოკრატიულად განწყობილი მუშები და ინტელიგენტები.

ჯგუფმა თავისი საქმიანობა დაიწყო სტუდენტობაში სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდით. შემდეგ ბლაგოევმა კავშირი დაამყარა პეტერბურგის მსხვილ მეტალურგიულ საწარ-

---

[1] Литературное наследие Плеханова, Сб. 4, 1937, стр. 282.

მოთა მუშებთან და სამხედრო სასწავლებლების რევოლუციურ წრეებთან.

ბლაგოევის ჯგუფის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან შესძლო გამოეცა თავისი არალეგალური ორგანო გაზეთი „რაბოჩი". გამოვიდა ამ გაზეთის ორი ნომერი, ერთი — 1885 წლის იანვარში, მეორე —ამავე წლის ზაფხულში. გაზეთი იბეჭდებოდა ჯგუფის მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში. რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის პირველ პერიოდში ეს იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შექმნის ერთადერთი ცდა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი სტატიაში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან".

ბლაგოევის ჯგუფმა პეტერბურგში შექმნა 15-მდე მუშათა წრე, რომლებშიც უმთავრესად კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის მუშაობას აწარმოებდნენ თვით ბლაგოევი და სხვა პროპაგანდისტები.

ჯგუფმა მოაწყო არალეგალური ბიბლიოთეკა, რომელსაც ჰქონდა როგორც არალეგალური, ისე ლეგალური ლიტერატურა, რითაც ფართოდ სარგებლობდნენ მოწინავე მუშები.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის არსებობა დ. ბლაგოევისათვის ცნობილი გახდა 1884 წლის ბოლოს. მას ხელში ჩაუვარდა გ. პლეხანოვის ბროშურა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა" და „შრომის განთავისუფლების". ჯგუფის პროგრამის პირველი პროექტი. მომდევნო წლის დასაწყისში ბლაგოევის ჯგუფმა კავშირი დაამყარა პლეხანოვის ჯგუფთან: 1885 წლის იანვარში ბლაგოევმა თავისი ჯგუფის პროგრამა გაუგზავნა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფს, მარტში კი პასუხი მიიღო პლეხანოვისაგან.

ბლაგოევის ჯგუფი არ იდგა თანმიმდევრულ მარქსისტულ პოზიციებზე. ბლაგოევის მიერ შედგენილი პროგრამა აღიარებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას და პროლეტარიატს აცხადებდა მთავარ რევოლუციურ ძალად, მაგრამ ჯგუფს არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების გზებსა და საშუალებებზე. პროგრამაში ბლომად იყო ნაროდნიკულ შეხედუ-

ლებათა ნაშთები. შემდეგში თვით ბლაგოევი აღიარებდა, რომ მისი ჯგუფის თვალსაზრისი წარმოადგენდა, ერთი მხრით, მეცნიერული სოციალიზმის და, მეორე მხრით, ლასალიანობისა და ლავრიზმის ნარევს. ჯგუფი დაკავშირებული არ იყო მასობრივ მუშათა მოძრაობასთან. იგი არ სცნობდა გლეხობას როგორც პროლეტარიატის მოკავშირეს.

პლეხანოვმა დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბლაგოევის ჯგუფის პროგრამა, როგორც მარქსისტული თვალსაზრისით მიუღებელი დოკუმენტი, და რუსი სოციალ-დემოკრატების პროგრამის ახალი პროექტი შეიმუშავა. 1886 წელს ბლაგოევის ჯგუფმა პროგრამის ეს პროექტი გამოაცხადა თავის პროგრამად.

პლეხანოვისა და „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის დახმარებისა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად ბლაგოევის ჯგუფმა თავი დააღწია ნაროდნიკულ შეხედულებათა ბურუსს და გადაიქცა ნამდვილ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად.

დ. ბლაგოევი დააპატიმრეს 1885 წლის გაზაფხულზე; 1886 — 1887 წლებში დააპატიმრეს ჯგუფის რამდენიმე სხვა წევრიც. ამასთან დაკავშირებით 1887 წელს ბლაგოევის ჯგუფმა არსებობა შეწყვიტა.

თითქმის იმავე დროს, როცა ბლაგოევის ჯგუფი შეიქმნა, პაველ ტოჩისსკის მეთაურობით პეტერბურგში ჩამოყალიბდა კიდევ ერთი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი. ტოჩისსკის ამ ჯგუფმა შექმნა წრე სახელწოდებით „მუშათა კლასის მატერიალური, ინტელექტუალური და მორალური დონის ამაღლების ხელშემწყობი საზოგადოება რუსეთში"; ჯგუფმა შექმნა აგრეთვე „სანქტ-პეტერბურგის ხელოსანთა ამხანაგობა".

ტოჩისსკი პროლეტარიატს ერთადერთ რევოლუციურ კლასად თვლიდა და ცდილობდა რევოლუციონერთა ძალები წარემართა ისეთი რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისაკენ, რომელიც უზრუნველყოფდა დიდი პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტას.

ტოჩისსკის ჯგუფი გაანადგურა მეფის ხელისუფლებამ 1889 წელს.

1888—1892 წლებში პეტერბურგში მოღვაწეობდა ბ. ბრუსნევის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც შედარებით უფრო ფართო მარქსისტულ ორგანიზაციას წარმოადგენდა.

ბრუსნევისა და ტოჩისსკის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები დაკავშირებული იყვნენ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის გავლენას განიცდიდნენ მოსკოვის, კიევის, ოდესის, ეკატერინოსლავისა და ყაზანის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფებიც.

ყაზანის მარქსისტული წრის სათავეში იდგა ნიკოლოზ ევგრაფის-ძე ფედოსეევი. ამ წრესთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ახალგაზრდა ვ. ი. ლენინი.

იმ დიდი როლის შესახებ, რომელიც ფედოსეევმა და მისმა წრემ ითამაშეა იმდროინდელი საზოგადოების მარქსიზმისაკენ შემობრუნების საქმეში, ვ. ი. ლენინი წერდა: „...ვოლგისპირეთისა და ცენტრალური რუსეთის ზოგიერთი ადგილისათვის ფედოსეევის მიერ შესრულებული როლი იმ დროს შესამჩნევად დიდი იყო, და იმდროინდელმა საზოგადოებამ მარქსიზმისაკენ თავის შემობრუნებაში უთუოდ ძალიან და ძალიან დიდი გავლენა განიცადა ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერი და თავის საქმის არაჩვეულებრივად ერთგული რევოლუციონერისა“[1].

მარქსისტული წრეებისა და ჯგუფების შექმნა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მაშინდელი მარქსისტული წრეები და ჯგუფები მუშათა მოძრაობას არ მეთაურობდნენ.

ახასიათებდა რა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის პირველ პერიოდს, რაც 1884 — 1894 წლებს მოიცავს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ეს იყო სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პროგრამის წარმოშობის და განმტკიცების პერიოდი. ახალი მიმართულების მომხრეთა რიცხვი რუსეთში ერთეულებით ისაზღვრებოდა. სოციალ-დემოკრატია უმუშათამოძ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33. გვ. 535.

რაობოდ არსებობდა და, როგორც პოლიტიკური პარტია, ჩანასახის განვითარების პროცესს განიცდიდა" [1].

ის გარემოება, რომ არც „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი და არც იმ დროს თვით რუსეთში არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები მუშათა მოძრაობასთან პრაქტიკულად დაკავშირებული არ იყვნენ, იწვევდა როგორც სოციალ-დემოკრატიის, ისე მუშათა მოძრაობის სისუსტეს. გადაუჭრელი რჩებოდა მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების ამოცანა.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფი შეიქმნა და რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის მისი ნაყოფიერი მუშაობა გაიშალა მაშინ, როცა ნაროდნიკობამ თავისი დრო მოჭამა.

მაგრამ ის, რაც ძველდება და დრომოჭმული ხდება, არასოდეს არ თმობს თავის ძველ მდგომარეობას უბრძოლველად და მწვავე წინააღმდეგობის გაუწევლად.

ნაროდნიკები „ნაროდნაია ვოლიას" განადგურების შემდეგაც გაფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მეცნიერული სოციალიზმის იდეების გავრცელებას და ყველა საშუალებით უშლიდნენ ხელს მუშათა კლასის დარაზმვის საქმეს.

„შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მოღვაწეობა ნაროდნიკების მიერ მარქსიზმის შერყვნისა და გაყალბების წინააღმდეგ გაბედული ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა.

ვ. ი. ლენინი მაღალ შეფასებას აძლევდა პლეხანოვის ჯგუფის საქმიანობას და განსაკუთრებით აღნიშნავდა მის წარმატებას მარქსისა და ენგელსის ფუძემდებელი შრომების თარგმნისა და გამოცემის საქმეში.

სტატიაში — „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან", — ლენინი წერდა:

„სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი რუსეთში არის „შრომის განთავისუფლების" ჯგუფი, რომელიც აღმოცენდა საზღვარგარეთ 1883 წელს. ამ ჯგუფის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებიც უცენზუროდ იბეჭდებოდა საზღ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 659.

ვარგარეთ, პირველად იყო გადმოცემული სისტემატურად და ყველა პრაქტიკული დასკვნით მარქსიზმის იდეები...“ [1]

პლეხანოვის მარქსისტულმა შრომებმა ფრიად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ნაროდნიკობის განადგურებისა და რუსეთში მარქსიზმის გავრცელების საქმეში. მათში ბრწყინვალედ არის გადმოცემული მარქსიზმის საფუძვლები და მკაცრად არის გაკრიტიკებული ნაროდნიკობის მცდარი დოქტრინა. პლეხანოვის შრომებმა „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, „ჩვენი უთანხმოებანი“, „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“ ნიადაგი გაწმინდეს რუსეთში მარქსიზმის გამარჯვებისათვის.

ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტები საფუძვლად დაედო ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის პროგრამას.

შრომას „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ ლენინმა უწოდა რუსული სოციალიზმის პირველი რწმენის სიმბოლო. იგი წერდა: „მსოფლიო სოციალიზმის პირველმა „Profession de foi“-მ (რწმენის სიმბოლომ — გ. ს.), „კომუნისტურმა მანიფესტმა“ დაადგინა უკვე ის, მას შემდეგ უდავოდ ქცეული, ჭეშმარიტება, რომ ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა, რომ მუშათა მოძრაობა მხოლოდ მაშინ გადასცილდება ხოლმე ჩანასახობრივი მდგომარეობისა და ბავშვობის სტადიას, მხოლოდ მაშინ ხდება კლასობრივ მოძრაობად, როცა პოლიტიკურ ბრძოლაზე გადადის. რუსული სოციალიზმის პირველმა „Profession de foi“-მ, პლეხანოვის ბროშურამ „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, რომელიც 1883 წელს გამოვიდა, დაადასტურა ეს ჭეშმარიტება რუსეთისადმი შეფარდებით და ცხადყო. სახელდობრ როგორ და სახელდობრ რატომ უნდა გამოიწვიოს რუსეთის რევოლუციურმა მოძრაობამ სოციალიზმისა და პოლიტიკური ბრძოლის შეერთება, მუშათა მასების სტიქიური მოძრაობისა და რევოლუციური მოძრაობის შეერთება, კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური ბრძოლის შეერთება“ [2].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 295.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 4, გვ. 349.

პლეხანოვის შრომაზე „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის“, ლენინი ლაპარაკობდა როგორც ისეთ ღირსშესანიშნავ წიგნზე, რომელზედაც რუსეთში აღიზარდა მარქსისტების მთელი თაობა[1].

პლეხანოვის დასახელებული შრომები რუსული მარქსიზმის ოქროს ფონდში შევიდა. მათ დიდი როლი შეასრულეს არა მარტო ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ მარქსიზმის იდეების პოპულარიზაციის, ისტორიაზე მატერიალისტური თვალსაზრისის გავრცელების საქმეშიც.

ამ შრომებს დიდი გავლენა ჰქონდათ რუსეთის რევოლუციურ წრეებში. მათ ნაროდნიკთა შორის გამოიწვიეს მერყეობა და თავიანთი დოგმების სისწორეში დაეჭვება, ხოლო რუსი მარქსისტები პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი მახვილი იარაღით აღჭურვეს. პლეხანოვის შრომების გავლენით რევოლუციური ახალგაზრდობის ბევრი წარმომაღგენელი მარქსიზმის პოზიციებზე დადგა.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა გამოააშკარავა ნაროდნიკების შეცდომები და ნათელყო, თუ რაოდენ დიდ ზიანს აყენებდა მათი მცდარი დოქტრინა მუშათა რევოლუციურ მოძრაობას. პლეხანოვმა დაასაბუთა, რომ თვითმარქვია სოციალისტების — ნაროდნიკების თეორიას და პრაქტიკას მეცნიერულ სოციალიზმთან საერთო არა ჰქონდა რა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლეხანოვმა გამოააშკარავა უსუსურობა ნაროდნიკების მტკიცებისა, თითქოს რუსეთისათვის კაპიტალიზმი „შემთხვევით“ მოვლენას წარმოადგენდა და თითქოს შეუძლებელი იყო რუსეთში კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის ზრდა-განვითარება.

შემდეგ, პლეხანოვმა დაასაბუთა, რომ რადგან საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატი მეურნეობის ყველაზე მოწინავე ფორმასთან — მსხვილ წარმოებასთან არის დაკავშირებული, იგი, როგორც კლასი, განუწყვეტლივ იზრდება და დიდი მომავალი აქვს; ხოლო მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ ფორმასთან — წვრილ წარმოებასთან დაკავშირებული ერთპიროვნული გლეხობა განუწყვეტლივ იშლება კულაკებად, პროლე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, გვ. 335. სტრიქონქვეშა შენიშვნა.

ტარებად და ნახევრადპროლეტარებად, რის გამოც მას არ შეიძლება დიდი მომავალი ჰქონდეს.

აქედან გამოდიოდა პლეხანოვი, როცა მიუთითებდა, რომ ოევოლუციონერები ვალდებული არიან დაეყრდნონ მუშათა კლასს, როგორც ძლიერ რევოლუციურ ძალას, რომელსაც ბადებს კაპიტალიზმის განვითარება.

პლეხანოვმა დაასაბუთა, რომ რუსეთში სოციალიზმი უნდა დამყარებულიყო არა გლეხური თემის, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით.

პლეხანოვმა გააკამტვერა აგრეთვე ნაროდნიკების მესამე, ღრმად მცდარი და მავნე შეხედულება საზოგადოებრივ განვითარებაში პიროვნებისა და მასების როლის შესახებ. იმის გამო, რომ ნაროდნიკები უმთავრეს როლს ანიჭებდნენ „გმირებს“, გამოჩენილ პიროვნებებს, მათ იდეებს, ხოლო ხალხი, კლასები მათ არარაობად მიაჩნდათ, პლეხანოვი ნაროდნიკებს აცხადებდა იდეალისტებად და ასაბუთებდა, რომ სიმართლე მარქსისტული მატერიალიზმის მხარეზეა. პლეხანოვმა დაასაბუთა მარქსისტული მატერიალიზმის ღრმად მეცნიერული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც საზოგადოების წინსვლას განსაზღვრავს არა გამოჩენილი ადამიანების იდეები და სურვილები, არამედ საზოგადოების არსებობის მატერიალური პირობების განვითარება, რომ ადამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიური მდგომარეობა განსაზღვრავს მათ იდეებს, რომ ისტორია, ხალხი ქმნის გმირებს და არა პირიქით.

პლეხანოვმა და მისმა ჯგუფმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ლეგალური მარქსიზმისა და ეკონომისტების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. პლეხანოვის მიერ გამოცემული კრებული „ვადემეკუმ“ დაუნდობლად აკრიტიკებდა ეკონომისტებს და ააშკარავებდა მათ შეცდომებს. აღნიშნულ კრებულში დაიბეჭდა ლენინის მიერ გადასახლებაში შედგენილი 17 სოციალ-დემოკრატის პროტესტი, რომელიც ეკონომისტების შემცდარი შეხედულებების წინააღმდეგ იყო მიმართული.

სტატიაში „რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“, ლენინი აღნიშნავდა, რომ ეკონომისტების წინააღ-

მდეგ დასაწყისში მხოლოდ პლეხანოვი და მთელი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი იბრძოდა[1].

მაღალ შეფასებას აძლევდა რა პლეხანოვის ღვაწლს, ლენინი წერდა: „მისი პირადი დამსახურება წარსულში უდიდესია. 20 წლის, 1883 -- 1903, განმავლობაში მან მოგვცა მრავალი ჩინებული თხზულება, განსაკუთრებით ოპორტუნისტების, მახისტების, ნაროდნიკების წინააღმდეგ“[2].

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა ფრიად თვალსაჩინო როლი შეასრულა საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე რუსეთის მდგომარეობის გაშუქების საქმეში. ჯგუფი ყოველნაირად ცდილობდა, რომ სოციალისტური პარტიები სათანადოდ ყოფილიყვნენ ინფორმირებული რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მდგომარეობის შესახებ.

პლეხანოვის რევოლუციური მოღვაწეობის ოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი გაზეთ „ისკრის“ რედაქციის სახელით მიესალმებოდა იუბილარს და აღნიშნავდა: „ისკრის“ რედაქცია სულით და გულით უერთდება გ. ვ. პლეხანოვის რევოლუციური მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავის საიუბილეო დღესასწაულს. დაე ამ დღესასწაულმა განამტკიცოს რევოლუციური მარქსიზმი, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უხელმძღვანელოს პროლეტარიატის მსოფლიო გამათავისუფლებელ ბრძოლას და გაუმკლავდეს ახალი სახელწოდებით ასეთი ხმაურით გამოსული მარად ძველი ოპორტუნიზმის შემოტევას. დაე ამ დღესასწაულმა განამტკიცოს კავშირი ათასობით ახალგაზრდა რუს სოციალ-დემოკრატებსა, რომელნიც მთელ თავიანთ ძალღონეს სწირავენ მძიმე პრაქტიკულ მუშაობას, და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფს შორის, რომელიც მოძრაობას მატებს მისთვის ესოდენ საჭირო: თეორიული ცოდნის უდიდეს მარაგს, ფართო პოლიტიკურ გონებრივ არეს და მდიდარ რევოლუციურ გამოცდილებას“[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 20, გვ. 298.

[2] იქვე, გვ. 437.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 398.

პლეხანოვის გარდაცვალებიდან ორიოდე თვის შემდეგ, 1918 წლის აგვისტოში, ლენინმა ა. ვ. ლუნაჩარსკის დაავალა პლეხანოვის თხზულებათა პოპულარული გამოცემის თაობაზე პოლაპარაკება ეწარმოებინა პლეხანოვის ოჯახის წევრებთან. ეს მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა.

ლენინი ამით არ დაკმაყოფილდა და, ჯერ ისევ სამოქალაქო ომის ქარიშხლიან დღეებში, საჭიროდ მიიჩნია შედგომოდნენ პლეხანოვის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას, რაც უკვე 1922 წელს განხორციელდა.

ლენინი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა პლეხანოვის სტატიებს ფილოსოფიის საკითხებზე. ბროშურაში „ერთხელ კიდევ პროფკავშირებზე, მიმდინარე მომენტზე და ტროცკისა და ბუხარინის შეცდომებზე“, 1921 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „...უადგილო არ იქნება, მგონია, აღვნიშნოთ პარტიის ახალგაზრდა წევრთა საყურადღებოდ, რომ შეუძლებელია შეგნებულ, ნამდვილ კომუნისტად იქცეთ უიმისოდ, თუ არ შეისწავლეთ — დიახ, თუ არ **შეისწავლეთ** — ყველაფერი, რაც კი ფილოსოფიის შესახებ პლეხანოვს დაუწერია, ვინაიდან ეს ყველაზე უკეთესია მარქსიზმის მთელ საერთაშორისო ლიტერატურაში“. იქვე. სტრიქონქვეშა შენიშვნაში, ლენინი წერდა: „აქვე უნდა ითქვას, რომ კარგი იქნება, ჯერ ერთი, პლეხანოვის თხზულებათა გამოცემიდან, რომელიც ახლა გამოდის, გამოიყოს ყველა სტატია ფილოსოფიის შესახებ ცალკე ტომად ან ტომებად, დაერთოს დაწვრილებითი საძიებელი და სხვ., ვინაიდან ეს კომუნიზმის სავალდებულო სასწავლო წიგნთა სერიაში უნდა შევიდეს. მეორეც, ჩემი აზრით, მუშათა სასელმწიფომ ფილოსოფიის პროფესორებს უნდა მოსთხოვოს, რომ მათ იცოდნენ მარქსისტული ფილოსოფიის გადმოცემა პლეხანოვის მიერ და შეეძლოთ მოსწავლეებისათვის ამ ცოდნის გადაცემა“ [1].

ლენინი ახასიათებდა პლეხანოვს, როგორც მოწინავე რუსეთის კულტურის დიდ წარმომადგენელს.

„ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში... — წერდა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 103.

ლენინი, — არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები“ [1].

ნაროდნიკების წინააღმდეგ პლეხანოვისა და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის ბრძოლამ საფუძვლიანად გამოუთხარა ძირი ნაროდნიკების გავლენას, მაგრამ მათი იდეური განადგურება სრულებითაც არ იყო დამთავრებული.

საჭირო იყო ნაროდნიკობის იდეური განადგურების საქმის ბოლომდე მიყვანა, რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში მარქსიზმის საბოლოო გამარჯვებისა და მუშათა მოძრაობასთან მარქსიზმის შეერთების უზრუნველყოფა, მოწინავე მუშების ვიწრო წრეებში მარქსიზმის პროპაგანდიდან მუშათა ფართო მასებში პოლიტიკური აგიტაციისაკენ, მუშათა მოძრაობასთან დაუკავშირებელი მარქსისტული წრეებიდან მუშათა კლასთან სისხლხორცეულად დაკავშირებული მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაკენ შემობრუნება; დასასრულ, საჭირო იყო „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფისა და პლეხანოვის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება.

ეს ამოცანები ბრწყინვალედ გადასწყვიტა ვ. ი. ლენინმა. 1895 წლიდან, როცა ლენინმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ ჩამოაყალიბა, დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი, პროლეტარული ეტაპი. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი, ხელმძღვანელი ძალა გახდა მუშათა კლასი.

ამ დროიდან რუსეთის რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციონერთა მოღვაწეობის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა უკვე არა პლეხანოვის ჯგუფი, არამედ ლენინის მიერ შექმნილი „ბრძოლის კავშირი“. ლენინი იყო მომავალი ბოლშევიკური პარტიის ჩანასახის, პირველი ნამდვილად რევოლუციური, მარქსისტული ორგანიზაციის სულისჩამდგმელი და უშუალო ხელმძღვანელი.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 21.

1894 წელს გამოქვეყნდა ლენინის ისტორიული შრომა „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, რამაც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ნაროდნიკებს.

შრომაში მოცემულია ნაროდნიკობის, განსაკუთრებით 90-იანი წლების ლიბერალური ნაროდნიკობის ღრმა და გამანადგურებელი კრიტიკა.

ლიბერალურმა ნაროდნიკობამ 70-იანი წლებისა და 80-იანი წლების დასაწყისის რევოლუციური ნაროდნიკობა შეცვალა. ეს უკანასკნელი, ჯერ კიდევ ფენებად დაუყოფელი სოფლის ინტერესებს გამოხატავდა. ლიბერალური ნაროდნიკობა კი კაპიტალიზმის განვითარების გამო უკვე დიფერენცირებული სოფლის, გლეხობის კულაკური ფენების ინტერესების გამომხატველი იყო.

ლენინმა მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კეთილსინდისიერებით შეისწავლა რუსეთის ეკონომიკის მაშინდელი მდგომარეობა და ნათლად ასახა, თუ როგორ ვითარდებოდა კაპიტალიზმი თვით ყველაზე მეტად სამიწათმოქმედო რაიონებშიც კი. იქ, სადაც ნაროდნიკებს შრომის იდილია და თემური ეკონომიკის განვითარება ეჩვენებოდათ, ლენინმა დაინახა შრომის ბარბაროსული ექსპლოატაცია და ადამიანთა ცალკე ჯგუფების ხელში კაპიტალის დაგროვება.

ნაროდნიკების კრიტიკაში ლენინი არ შეჩერებულა იქ, სადაც პლეხანოვი შეჩერდა. შრომაში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ ლენინი გლეხობას განიხილავდა როგორც პროლეტარიატის საიმედო მოკავშირეს; მასში პირველად არის წამოყენებული მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური კავშირის იდეა და ნათლად არის განსაზღვრული რუსი მარქსისტების პრაქტიკული ამოცანა — მუშათა მოძრაობაში ლიბერალიზმის ჰეგემონიის ლიკვიდაცია.

ლენინმა გენიალურად იწინასწარმეტყველა, რომ „რუსი მუშა აღსდგება და სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს რუსეთის პროლეტარიატს (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად)

აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ" [1].

ფუნდამენტალური შრომით „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" ვ. ი. ლენინმა დაასრულა ნაროდნიკობის იდეური ვანადგურება.

90-იანი წლების მიწურულს ვ. ი. ლენინმა გადასახლებაში მოხაზა საერთო რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოცემის გეგმა და გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრებთან ერთად გამოსცა გაზეთი „ისკრა", რითაც ახალი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა არა მარტო რუსეთის რევოლუციის, არამედ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 356.

დასკვნა

რუსეთის ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში ეცნობოდნენ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებელთა შრომებს. მოწინავე რუს საზოგადოებრივ მოღვაწეებს ამ წლებში მარქსთან პირადი მიმოწერაც ჰქონდათ.

70-იანი წლების დასაწყისისათვის დაინტერესებულ რუსი მკითხველს შეეძლო თავის მშობლიურ ენაზე გასცნობოდა მარქსისა და ენგელსის მთავარ ნაწარმოებებს. „კომუნისტური პარტიის მანიფესტისა“ და „კაპიტალის“ რუსული თარგმანები ამ დროისათვის უკვე არსებობდა.

მაგრამ 80-იანი წლების დასაწყისამდე რუსეთში არ იყო მარქსიზმის გავრცელებისათვის საჭირო პირობები; რევოლუციურ წრეებში ბატონობდა უაღრესად მცდარი, მუშათა კლასისათვის მავნე ნაროდნიკული შეხედულებები, რაც აბრკოლებდა მშრომელთა რევოლუციური ინიციატივის განვითარებას.

რუსეთში მარქსიზმის გავრცელება უზრუნველყო კაპიტალიზმის განვითარებამ და სამრეწველო პროლეტარიატის ზრდამ. მხოლოდ ამ პირობებში გახდა შესაძლებელი რუსეთში მარქსისტული წრეებისა და ჯგუფების ჩამოყალიბება და მათი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების რევოლუციურმა პროპაგანდამ იდეურად მოამზადა ნიადაგი მარქსიზმის გავრცელებისათვის რუსეთში.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფი იყო, ხოლო პლეხანოვი — პირველი რუსი მარქსისტი, რომლებიც გაბედულად გამოვიდნენ მარქსიზმის ენერგიული პროპაგანდით და დაიცვეს და ღაასაბუთეს მეცნიერული სოციალიზმის იდეები.

პლეხანოვის ჯგუფის გავლენით და მისგან დამოუკიდებლად თვით რუსეთში შექმნილმა მარქსისტულმა სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფებმა და წრეებმა ფრიად თვალსაჩინო როლი შეასრულეს რუსეთის მუშათა მოძრაობის განვითარების საქმეში. მაგრამ არც „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი და არც იმ დროს თვით რუსეთში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები არ ყოფილან პრაქტიკულად დაკავშირებული მუშათა მოძრაობასთან.

ვ. ი. ლენინის მიერ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ დაარსებამდე გადაუჭრელი იყო მუშათა მოძრაობის მარქსიზმთან შეერთების ამოცანა.

პლეხანოვმა და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მარქსიზმის გასავრცელებლად რუსეთში: რუსულ ენაზე თარგმნეს და გამოსცეს მარქსისა და ენგელსის უმნიშვნელოვანესი შრომები და უზრუნველყვეს მათი ფარულად გავრცელება რუსეთში; პლეხანოვმა თავის ღირსშესანიშნავ შრომებში ჩინებულად განმარტა მეცნიერული სოციალიზმის იდეები.

გამომაყღავნეს და გააკამტეერეს რა ნაროდნიკების ძირითადი შემცდარი შეხედულებები, პლეხანოვმა და მისმა ჯგუფმა ბევრი სერიოზული შეცდომაც დაუშვეს ნაროდნიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პლეხანოვმა ბრწყინვალედ გამოააშკარავა ნაროდნიკების იდეების რეაქციული ბუნება და დამაჯერებლად დაასაბუთა მარქსიზმის სისწორე, მაგრამ ამას იქით იგი აღარ წასულა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლეხანოვი არ აფასებდა გლეხობის დემოკრატიული მოძრაობის ძალასა და მნიშვნელობას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში, არასწორად, შეცდომით სწყვეტდა საკითხს თუ ვინ უნდა ყოფილიყო ამ

ბრძოლაში პროლეტარიატის მოკავშირე; მუშათა კლასის შესაძლებელ მოკავშირედ მას მიაჩნდა ლიბერალური ბურჟუაზია. ხოლო გლეხობას განიხილავდა როგორც რეაქციულ ძალას.

პლეხანოვის ეს შეცდომები წარმოადგენდა მისი მომავალი მენშევიკური შეხედულებების ჩანასახს.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებმა თავი ვერ დააღწიეს მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისტული ელემენტების გავლენას. მათ უღალატეს პროლეტარიატის საქმეს და არა მარტო ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა გავლენის ქვეშ მოექცნენ, არამედ მეთაურობდნენ კიდეც ოპორტუნისტულ მიმდინარეობებს.

პოლიტიკური მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში პლეხანოვმა უარყო თავისი ადრინდელი ბევრი სწორი დებულება და მენშევიკურ გზას დაადგა.

პლეხანოვი ადრე სწორად აფასებდა რუსეთის ლიბერალური საზოგადოების მოსალოდნელ პოზიციას. ამ სწორ თვალსაზრისზე მან ხელი აიღო თავისი მოღვაწეობის მენშევიკური პერიოდის დასაწყისშივე. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, როცა ვ. ი. ლენინი ლიბერალების პოზიციას ისეთსავე შეფასებას აძლევდა, როგორსაც ადრე პლეხანოვი იძლეოდა, პლეხანოვი ლენინის სწორი, მარქსისტული თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოდიოდა.

პლეხანოვმა შესცვალა თავისი ადრინდელი სწორი პოზიცია აგრარულ საკითხშიაც. შრომაში „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ და შემდეგაც, ბროშურაში „სოციალისტების ამოცანების შესახებ რუსეთში შიმშილობასთან ბრძოლაში“ (1892 წ.) პლეხანოვი მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნას აყენებდა. შემდეგ კი იგი თავს ესხმოდა ლენინს ერთადერთი სწორი, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში გლეხობის როლის ღრმა გაგებიდან გამომდინარე წინადადებისათვის, რომ პარტიის პროგრამაში შეტანილი ყოფილიყო მიწის ნაციონალიზაციის მოთხოვნა.

პრინციპულმა უთანხმოებამ ლენინსა და „შრომის განთა-

ვისუფლების" ჯგუფის წევრთა შორის თავი იჩინა „ისკრის" რედაქციაში პარტიის პროგრამის გამომუშავების პროცესში. ლენინი თავდადებით იბრძოდა მუშათა პარტიის ნამდვილად რევოლუციური პროგრამისათვის. „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრები კი ხშირად ლენინის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

რსდმპ II ყრილობაზე „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ, როგორც „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის" წარმომადგენლები. ეს იყო ჯგუფის უკანასკნელი დამოუკიდებელი გამოსვლა. 1903 წლის აგვისტოდან „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის არსებობა შეწყდა.

იხსენებდა რა ამ პერიოდს, ი. ბ. სტალინი საკ. კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე. 1927 წელს ამბობდა: „ეს იყო პერიოდი პარტიის მობრუნებისა ლიბერალებთან შეთანხმებიდან ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისაკენ. ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მომზადებიდან — მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლისაკენ ცარიზმისა და ფეოდალიზმის სრული განადგურებისათვის. პარტიის სათავეში მაშინ იდგა ექვსეული: პლეხანოვი, ზასულიჩი, მარტოვი, ლენინი, აქსელროდი, პოტრესოვი. მობრუნება საპედისწერო აღმოჩნდა ამ ექვსეულის ხუთი წევრისათვის. ისინი გადმოვარდნენ ურმიდან. ლენინი დარჩა მარტოდმარტო. გამოვიდა ისე, რომ პარტიის ძველი ლიდერები, პარტიის დამაარსებელნი (პლეხანოვი. ზასულიჩი. აქსელროდი) პლუს ორი ახალგაზრდა (მარტოვი, პოტრესოვი) აღმოჩნდნენ ერთის, ასევე ახალგაზრდის, ლენინის წინააღმდეგ. რომ იცოდეთ, რამდენი გოდება, ტირილი და ღრიალი იყო მაშინ იმის გამო, რომ პარტია დაიღუპება, პარტია ვერ გასძლებს, რომ ძველი ლიდერების გარეშე არაფერი არ გამოვაო. მაგრამ გოდება და ჩივილი გაქრა, ფაქტები კი დარჩა. ფაქტები კი ისეთი იყო. რომ სწორედ ხუთეულის ჩამოშორებით მოახერხა პარტიამ გზაზე გამოსვლა" [1].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 10. გვ. 396 — 397.

1903 — 1908 წლებში პლეხანოვი მარჯვნივ — მენშევიზმისაკენ შემობრუნდა. ეს შემობრუნება გამოვლინდა ჯერ ორგანიზაციული ოპორტუნიზმის სახით, შემდეგ კი, განსაკუთრებით რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლებში, ტაქტიკური ოპორტუნიზმის სახით. ამ დროს პლეხანოვმა მენშევიკური ხასიათის უდიდესი შეცდომები დაუშვა მარქსიზმის უმნიშვნელოვანეს ზოგადპოლიტიკურ საკითხებში.

კ. კაუცკის ბროშურის რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში, 1906 წელს, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ პლეხანოვის „თეორიული ნაშრომები — უმთავრესად ნაროდნიკებისა და ოპორტუნისტების კრიტიკა — მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მტკიცე შენაძენად რჩება, და ვერავითარი „ფრაქციულობა" ისე ვერ დააბრმავებს ადამიანს, რომელსაც რაიმე „ჭკუის ფიზიკური ძალა" გააჩნია, რომ ამ შენაძენის დიდი მნიშვნელობა დაივიწყოს ან უარყოს. მაგრამ როგორც რუსი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ბელადი რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, როგორც ტაქტიკოსი, პლეხანოვი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ დარგში მან ისეთი ოპორტუნიზმი გამოიჩინა, რომელმაც რუს ს.-დ. მუშებს ასჯერ უფრო მეტი ზიანი მიაყენა, ვიდრე ბერნშტეინის ოპორტუნიზმმა გერმანელ მუშებს" [1].

ისტორიის შემდგომმა მსვლელობამაც მთელი სიზუსტით გაამართლა პლეხანოვის, როგორც რუსი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ბელადისა და ტაქტიკოსის, ლენინის მიერ მოცემული ეს შეფასება.

სტოლიპინის რეაქციის წლებში პლეხანოვი მენშევიკ-პარტიელი იყო, მხარს უჭერდა არალეგალური პროლეტარული პარტიის შენარჩუნებას და ლენინთან ერთად იბრძოდა ლიკვიდატორებისა და მახისტების წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინი იწონებდა და მხარს უჭერდა ამ ბლოკს. იგი მიუთითებდა, რომ ლენინი ყოველთვის მთელი სიმკაცრით იბრძოდა ანტიპარტიული ბლოკების წინააღმდეგ პარტიაში, მაგრამ ყოველთვის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 11. გვ. 498.

უჭერდა მხარს პრინციპულსა და რევოლუციურ ბლოკებს, სწორედ ასეთ პრინციპულსა და რევოლუციურ ბლოკს წარმოადგენდა ამ დროს ლენინელთა და პლეხანოვის მომხრეთა ღროებითი პარტიული ბლოკი, რამაც სასარგებლო სამსახური გაუწია რევოლუციას.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ პლეხანოვი საბოლოოდ მარჯვნივ გადაიხარა და ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ბანაკში გადავიდა; თვით ომის დროს კი პლეხანოვი სოციალ-შოვინიზმის ბანაკში აღმოჩნდა.

მენშევიზმის პოზიციებზე პლეხანოვის გადასვლამ მის ფილოსოფიურ შეხედულებებშიც ჰპოვა გამოხატულება. მან დაიწყო მარქსიზმის პირდაპირი რევიზია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მთელ რიგ საკითხებში.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებს თავიანთი ჯგუფისა და საკუთარი მოღვაწეობის მნიშვნელობის გაზვიადების ტენდენციაც ჰქონდათ.

„ჩორნი პერედელს“ პლეხანოვი აცხადებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედად. სტატიაში „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიის მარცხიანი ისტორია“, 1912 წელს პლეხანოვი წერდა:

„ზემლია ი ვოლიას“ საზოგადოება, როგორც ცნობილია, გაიყო ორ ახალ საზოგადოებად: „ნაროდნაია ვოლიად“ და „ჩორნი პერედელად“. „ჩერნოპერედელცების“ შესახებ ლაპარაკობენ, რომ მათი მიმართულება უნაყოფო იყო. მაგრამ მისგან განვითარდა რუსეთის სოციალ-დემოკრატია...“ [1]

იგივე აზრი გაიმეორა ლ. დეიჩმა 1924 წელს სტატიაში „ჩორნი პერედელი“.

ხანგრძლივი — 37-წლიანი ემიგრაციიდან პლეხანოვი რუსეთში დაბრუნდა 1917 წელს, რუსეთის მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. რუსეთში დაბრუნების შემდეგაც პლეხანოვი ბურჟუაზიული პარტიების ლიდერებთან ერთად გამოდიოდა მენშევიკური შეხედულებებით ომისა და რევოლუციის საკითხებზე.

---

[1] Г. В. Плеханов, соч. 1927, т. 24, стр. 152.

პლეხანოვის ამგვარი პოლიტიკური მეტამორფოზა ისეთი ადამიანის მოღვაწეობის ბუნებრივი დასასრული იყო, რომელსაც უკან ეწეოდა ფრიად სერიოზული ოპორტუნისტული შეცდომები.

„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა საპატიო ადგილი დაიკავა რუსეთის მარქსიზმის გავრცელებისა და რევოლუციური აზრის განვითარების ისტორიაში. ამ ჯგუფის ორგანიზატორი გ. ვ. პლეხანოვი, მთელი მისი შეცდომების მიუხედავად, რუსეთის რევოლუციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწედ დარჩა.

ნაროდნიკობისათვის ძირის გამოთხრა, რუსეთში მარქსიზმის გავრცელება, მოწინავე ადამიანების შეგნებაში ამ მოძღვრების პრინციპების განმტკიცება, გასული საუკუნის დასასრულის რუსეთის მდგომარეობის მარქსისტული ანალიზი, მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნისათვის გზის გაწმენდა — „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფისა და მისი ორგანიზატორის გ. ვ. პლეხანოვის დიდი ისტორიული დამსახურებაა.

შინაარსი

	ბ3·
წინასიტყვაობა	3
თავი I. ისტორიული ვითარება, რომელშიაც აღმოცენდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი	7
თავი II. „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნა და მოღვაწეობა.	49
თავი III. მარქსიზმის ფუძემდებლები და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. ჯგუფის მნიშვნელობა.	110
დასკვნა	134

რედაქტორი ი. ყიფიანი
მხატვარი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი გ. იაშვილი
კორექტორი ეკ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 13/VII-57 წ. ხელმოწერილია
დასაბეჭდად 29/X-57 წ. ქაღალდის ზომა 84X108 1/32.
ფიზ. თაბახი 4.5. პირობითი თაბახი 7,38.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,22.
უე 03332. ტირაჟი 3000. შეკვეთის № 786.
ფასი 3 მან.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

Георгий Аркадьевич Сакварелидзе

Группа Г. В. Плеханова „Освобождение труда“

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси
1957